

**საშელავათო პოლიტიკის
ეფექტურობისა და შედეგების კვლევა
საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში
2010-2019**

თბილისი, 2020



unag
UN Association of Georgia



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE



კვლევა ჩატარდა და მისი ანგარიში გამოიცა სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის მიერ. პროექტი განხორციელდა საქართველოს გაეროს ასოციაციის პროექტის “ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერა” ფარგლებში ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაფინანსებით. კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და საქართველოს გაეროს ასოციაციის შეხედულებებს.

This research was conducted and the report was prepared by the Centre for Civil Integration and Inter-Ethnic Relations (CCIIR). The research was conducted in the framework of the Promotion of Integration, Tolerance and Awareness (PITA) Project funded by the United States Agency for International Development (USAID) and implemented by the United Nations Association of Georgia (UNAG). The views and opinions expressed herein are entirely those of the authors and should not be attributed in any manner to the USAID and the UNAG.

ISBN: 978-9941-8-2238-4

საშელავათო პოლიტიკის
ეფექტურობისა და შედეგების
კვლევა საქართველოს
უმადლესი განათლების
სისტემაში

2010-2019 წლების ქრილში

ავტორები:

შალვა ტაბატაძე

ნათია გორგაძე

კახა გაბუნია

რედაქტორები: ელენე ჯაჯანიძე, თამარ ანთაძე

© სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი
ურთიერთობების ცენტრი

სარჩევი

წინათქმა	5
შესავალი	6
თავი I. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიღებისას არსებული საშეღავათო პოლიტიკის მიმოხილვა საქართველოში	8
თავი 2. კვლევის მეთოდოლოგია.....	13
2.1. კვლევის მიზანი და ამოცანები	13
2.2. კვლევის მეთოდები და ინსტრუმენტები.....	13
1) მეთორმეტე კლასის მოსწავლეთა გამოკითხვა	13
2) ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი პროგრამის სტუდენტთა გამოკითხვა	13
3) საბაკალავრო საფეხურის სტუდენტთა ფოკუსჯგუფი	20
4) კურსდამთავრებულთა ფოკუსჯგუფი	20
5) საბაკალავრო საფეხურის ლექტორთა, პროგრამის ხელმძღვანელებთან და ადმინისტრაციასთან ფოკუსჯგუფები და ჩაღრმავებული ინტერვიუები	21
6) სამაგიდე კვლევა და მეორადი სტატისტიკური მონაცემების ანალიზი.....	22
თავი 3. ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი პროგრამის ტრანსფორმაცია 2010-2019 წლებში უნივერსიტეტების მიხედვით.....	23
თავი 4. 2010-2019 წლებში კვლევების სისტემის შემოღების შემდეგ არსებული სიტუაცია	37
4.1. სტუდენტთა გადანაწილება უმაღლეს საგანმანათლებლო	39
დაწესებულებების მიხედვით	39
4.2. პროგრამებს შორის გადანაწილება	42
4.3. დამთავრების დაბალი მაჩვენებელი.....	46
4.4. გრანტის გაცემის მაჩვენებელი დინამიკაში და პროპორციებით გამოწვეული უთანასწორობა ..	48
4.5. ზოგად უნარებში ტესტირების შედეგების ანალიზი.....	49
დასკვნა	51
თავი 5. მეთორმეტეკლასელთა გამოკითხვის შედეგები და მიგნებები	52
5.1. სკოლის მოსწავლეთა მომზადება, ენობრივი და საგნობრივი კომპეტენციები და სოციალური უნარები	52
5.2. სკოლის შემდგომი გეგმები	53
დასკვნა	59
თავი 6: ერთწლიანი პროგრამის განხორციელების ეფექტურობა/შედეგები და გამოწვევები/ძირითადი მიგნებები	60
6.1. გამოკითხულ სტუდენტთა დემოგრაფიული მონაცემები	60
6.2. სტუდენტთა მიერ პროგრამის ეფექტიანობის ზოგადი შეფასება.....	62
6.3. მასწავლებლების მიერ გამოყენებული მეთოდების შეფასება	65
6.4. კლასგარეშე აქტივობების შეფასება	74
6.6. პროგრამის ინფრასტრუქტურის შეფასება.....	77
6.7. სტუდენტების შეფასებები სამიზნე უნივერსიტეტების ღონეზე.....	78
6.8. დამოკიდებულებები სქესობრივ ჭრილში	88
6.9. სტუდენტთა აღქმების შედარებითი ანალიზი წინა წლების	89
გამოკითხვებთან მიმართებით	89
6.10 . შედეგების ურთიერთმიმართება 2013 და 2020 წლის გამოკითხვებში	90
6.11. შედეგების ურთიერთმიმართება 2016 და 2020 წლის გამოკითხვებში	93
დასკვნა	98

თავი 7. საბაკალავრო საფეხურზე არსებული პრობლემატიკა	99
7.1. კვოტირების სისტემით ჩარიცხულ სტუდენტებში სწავლის მიტოვების მაღალი მაჩვენებლის მიზეზების შეფასება	100
7.2. აკადემიური, სოციალური და სამოქალაქო ინტეგრაცია	103
7.3. საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ეთნიკური უმცირესობების პრობლემების შესწავლა საბაკალავრო დონეზე	108
დასკვნა	116
თავი 8. სისტემის ეფექტურობა კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და შემდგომი ინტეგრაციის კონტექსტში	117
თავი 9. რეკომენდაციები პოლიტიკის გასაუმჯობესებლად	124
გამოყენებული ლიტერატურა.....	134
ცხრილები	137
დიაგრამები	139

წინათქმა

წარმოდგენილი კვლევა მისაღებ გამოცდებზე 2009 წელს ინიცირებული ეროვნული უმცირესობებისთვის კვოტირების სისტემის 10-წლიანი გამოცდილების შეჯამების მცდელობაა. კვოტირების სისტემის განხორციელებისას მისი ეფექტურობის კვლევა სხვადასხვა ორგანიზაციის თუ მეცნიერის შესწავლის საგანს წარმოადგენდა, თუმცა, ამჯერად განზრახულია ამ ათი წლის განმავლობაში არსებული მდგომარეობის ერთიანი შეფასება, წარმატებების ხაზგასმა, გამოწვევებისა და პრობლემების წარმოჩენა და მათზე დაფუძნებით - სამომავლო პოლიტიკისთვის რეკომენდაციების შემუშავება. შესაბამისად, იგი მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს ეროვნული უმცირესობების მიმართ განხორციელებული პოლიტიკის გაანალიზებისა და გადახედვის, შეცვლისა და გაუმჯობესებისაკენ სწრაფვისათვის.

აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ ავტორების გარდა, კვლევის განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე პროცესში უამრავი ადამიანი იყო აქტიურად ჩართული. ჩვენ მიგვაჩნია, რომ მათი თავდაუზოგავი შრომის, შემართებისა და მაღალი მოტივაციის გარეშე ამ ფართომასშტაბიანი კვლევის ჩატარება შეუძლებელი იქნებოდა და ამიტომ სავალდებულოდ მივიჩნიეთ მათთვის მადლობის გადახდა.

პირველ რიგში, დიდ მადლობას ვუხდით კვლევის დაფინანსებისათვის საქართველოს გაეროს ასოციაციას, რომელმაც საშუალება მოგვცა, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროექტის „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერა“ ფარგლებში კვლევა განგეხორციელებინა. ასევე, დიდი მადლობა უნდა გადავუხადოთ ორგანიზაციის თანამშრომლებს, ელენე ჯაჯანიძესა და თამარ ანთაძეს დაუღალავი შრომისათვის პროექტის განხორციელების ყველა ეტაპზე. დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ საველე სამუშაოების, მონაცემთა შეგროვებისა და მონაცემების დამუშავებისათვის პროექტში ჩართულ სტუდენტებს. დიდი მადლობა კვლევაში მონაწილე სკოლებს, რომლებმაც მაქსიმალური მხარდაჭერა გაგვიწიეს კვლევის შეუფერხებლად განსახორციელებლად. უმალეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, პროგრამის ხელმძღვანელებს, რომელთა მხარდაჭერაც უმნიშვნელოვანესი იყო კვლევის მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზისთვის. და ბოლოს, იმედს ვიტოვებთ, რომ კვლევაში წარმოჩენილი საკითხები არ დარჩება განათლების პოლიტიკის მესვეურთა, უნივერსიტეტებისა და ფაკულტეტების ადმინისტრაციებისა და პროგრამის ხელმძღვანელებს ყურადღების მიღმა. გვჯერა, რომ რეკომენდაციების გათვალისწინება საშეღავათო პოლიტიკის ეფექტურობას აამალლებს და საბოლოო მიზანთან - ეროვნულ ინტეგრაციასთან მიგვაახლოებს.

შესავალი

ადნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს კვლევის ანგარიშს, რომელიც ჩატარდა საქართველოში „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათმორისი ურთიერთობების ცენტრის“ მიერ საქართველოს გაეროს ასოციაციის პროექტის „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერა“ ფარგლებში. პროექტი დაფინანსებულია ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ და მიზნად ისახავს ეთნიკური უმცირესობებისთვის მისაღებ გამოცდებზე შემოღებული კვოტირების სისტემის ეფექტურობის შეფასებას საქართველოში.

დოკუმენტის პირველი ნაწილი მოკლედ მიმოიხილავს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში (უსდ) მიღებისას არსებულ საშეღავათო პოლიტიკას, მათ შორის 2009-2019 წლებში.

მეორე ნაწილში წარმოდგენილია კვლევის მეთოდოლოგია.

კვლევის მესამე ნაწილი აღწერს ქართული ენაში მომზადების პროგრამაში უნივერსიტეტების მიერ განხორციელებულ ცვლილებებსა და გაანალიზებს მათ საჭიროებებს.

კვლევის მეოთხე თავში წარმოგიდგენთ კვოტირების სისტემის შემოღების შედეგად არსებულ ვითარებას, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში 2010-2019 წლებში ჩარიცხვის მსურველთა და ჩარიცხულთა (უმაღლესებში დარეგისტრირებულთა) დინამიკას, მათ გადანაწილებას პროგრამების მიხედვით, გრანტის გაცემის და მიღების სპეციფიკას, ზოგადი უნარების გამოცდებთან დაკავშირებულ ვითარებას, საბაკალავრო პროგრამის დამთავრებასთან დაკავშირებულ მდგომარეობას.

კვლევის მეხუთე ნაწილში წარმოდგენილი იქნება არაქართულენოვანი სკოლების მეთორმეტეკლასელთა მზაობა ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისა და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად; აგრეთვე - მათი არჩევანი სკოლის შემდგომი საქმიანობის შესახებ და ამ არჩევანის განმაპირობებელი ფაქტორები; ასევე განხილული იქნება, თუ რამდენად ეფექტურად ხორციელდება აბიტურიენტთა რეკრუტირება და რამდენად არიან ინფორმირებულნი მეთორმეტეკლასელები საშეღავათო პოლიტიკის შესახებ.

მექვსე თავში განვიხილავთ ქართულ ენაში მომზადების პროგრამის ეფექტურობას სტუდენტთა შეფასების თვალსაზრისით სწავლების, ინფრასტრუქტურის, რესურსების, სამოქალაქო და სტუდენტურ ინტეგრაციაზე მიმართული აქტივობების, აგრეთვე სტუდენტების საბაკალავრო პროგრამაზე სწავლისა და სტუდენტური ცხოვრებისთვის მზაობის თვალსაზრისით. აქვე გავანალიზებთ არსებულ მდგომარეობას უნივერსიტეტების მიხედვით და არსებულ ვითარებას დინამიკაში შევადარებთ 2013 და 2016 წლებში ჩატარებული კვლევების შედეგებთან.

მეშვიდე თავი წარმოადგენს საბაკალავრო დონეზე კვოტირების სისტემით ჩარიცხული სტუდენტების წინაშე არსებული პრობლემებისა და გამოწვევების კვლევას, აგრეთვე პოზიტიურ გამოცდილებასა და პრაქტიკებს ამ თვალსაზრისით.

საშელავათო პოლიტიკის ეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმალესი განათლების სისტემაში

მერვე თავში განვიხილავთ უმალესდამთავრებული ახალგაზრდების წინაშე მდგარ გამოწვევებს მათი დასაქმებისა თუ სამოქალაქო ინტეგრაციის თვალსაზრისით.

კვლევის მეცხრე თავში წარმოგიდგენთ კვლევის შედეგებზე დაფუძნებულ რეკომენდაციებს, რომლებიც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს კვოტირების სისტემის ეფექტურობას მისი თანმდევი სისტემების მუშაობის ეფექტურობასთან ერთად.

თავი I. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიღებისას არსებული საშეღავათო პოლიტიკის მიმოხილვა საქართველოში

კვლევის ანგარიშის ეს ნაწილი 2005 წლიდან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიღებისას არსებული საშეღავათო პოლიტიკის სხვადასხვა მიმართულების განხილვას მიეძღვნება: ესაა მისაღები გამოცდების რეფორმირების პერიოდი, რომლის შემდეგაც თვალსაჩინო გახდა ეთნიკური უმცირესობების აბიტურიენტების ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხვის პრობლემატიკა. 2005 წლის რეფორმამდე მისაღები გამოცდების ადმინისტრირებას მთლიანად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ახორციელებდნენ. 2005 წლიდან შემუშავდა სტანდარტული და უნარ-ჩვევების ტესტირებაზე დაფუძნებული ერთიანი ეროვნული გამოცდების ახალი სისტემა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2004 წელს წარმოდგენილი საგანმანათლებლო რეფორმა მიზნად ისახავდა ყველა აბიტურიენტისათვის თანაბარი პირობების შექმნას საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩაბარებისას. სწორედ ამ რეფორმის ფარგლებში შემუშავდა და დაინერგა ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოში, რომლის მიხედვითაც ყველა აბიტურიენტი ვალდებული გახდა, ჩაებარებინა სამი აუცილებელი ტესტი: **ქართულ ენაში**, **ზოგად უნარ-ჩვევებსა** (ქართულ ან რუსულ ენაზე) და **უცხო ენაში**. რეფორმის პირველი წელი საკმაოდ ნეგატიური აღმოჩნდა ეთნიკური უმცირესობებისთვის. მაგალითად, 2005 წელს ახალქალაქის რაიონიდან ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მხოლოდ 2 აბიტურიენტი გახდა სტუდენტი, ნინოწმინდის რაიონიდან - 1 და მარნეულის რაიონიდან - მხოლოდ 17. ეს მაჩვენებელი გაცილებით დაბალი იყო ერთიანი ეროვნული გამოცდების სისტემის შემოღებამდე არსებულ მაჩვენებელზე (ტაბატაძე და გორგაძე, 2013; ტაბატაძე და გორგაძე, 2016; ტაბატაძე და გორგაძე, 2017).

საქართველომ ერთიანი ეროვნული გამოცდების პირველივე წლიდან დაიწყო „საშეღავათო პოლიტიკის“ განხორციელება ეთნიკური უმცირესობების აბიტურიენტებთან მიმართებით, თუმცა 2005-2010 წლებში მუდმივად იცვლებოდა ამ პოლიტიკის ფორმები, მეთოდები და მიდგომები, ხოლო 2010 წლიდან დაინერგა კვოტირების სისტემა, რომელიც, თავის მხრივ, გარკვეულწილად იცვლებოდა არსებული გამოწვევებიდან გამომდინარე (ტაბატაძე და გორგაძე, 2013; ტაბატაძე და გორგაძე, 2016; ტაბატაძე და გორგაძე, 2017).

მოკლედ მიმოვიხილავთ საშეღავათო პოლიტიკის სხვადასხვა მიმართულებას 2005 წლიდან 2019 წლის ჩათვლით:

სახელმწიფო 2005 წლიდან სოციალური პროგრამების ფარგლებში აფინანსებდა ეთნიკური უმცირესობების სტუდენტთა უმაღლეს განათლებას. 2004 წელს მიღებული უმაღლესი განათლების შესახებ კანონის 43.1 მუხლი ითვალისწინებდა

საშეღავათო პოლიტიკის ეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში

სტუდენტებისათვის სახელმწიფო სტიპენდიების გაცემას უნივერსიტეტიდან ან ფინანსურ და მატერიალურ დახმარებებს სხვა წყაროებიდან. ხელისუფლება ფინანსურად გაჭირვებული სტუდენტებისათვის სოციალურ პროგრამებს ახორციელებდა განსაკუთრებულ შემთხვევებში (მუხლი 6.1.გ და 52.8). სოციალური პროგრამების ფარგლებში გათვალისწინებული იყო არაქართულენოვანი სკოლის კურსდამთავრებულთა დაფინანსებაც. სახელმწიფო 15 სტუდენტს აფინანსებდა ქვემო ქართლიდან, 15-ს - ჯავახეთიდან და 10-ს - თბილისიდან. სოციალური პროგრამის ფარგლებში არაქართულენოვანი სკოლის კურსდამთავრებულთა უმაღლესი განათლების დაფინანსების პრაქტიკა დღემდე ხორციელდება. ანუ დაფინანსების ნაწილში საშეღავათო პოლიტიკა მოქმედებდა 2010 წლის კვოტირების სისტემის შემოღებამდეც, თუმცა, საშეღავათო პოლიტიკა არ ვრცელდებოდა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხვის ნაწილში (ტაბატაძე და გორგაძე, 2013; ტაბატაძე და გორგაძე, 2016; ტაბატაძე და გორგაძე, 2017).

2005 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების ნეგატიური ეფექტების შესამცირებლად განათლების და მეცნიერების სამინისტრომ გარკვეულწილად შეცვალა „საშეღავათო პოლიტიკის“ ფორმები და, დაფინანსების გარდა, საშეღავათო პოლიტიკის სხვა ელემენტებიც შესთავაზა ეთნიკური უმცირესობების აბიტურიენტებს. კერძოდ, 2006 წელს ცვლილებები შევიდა ერთიანი ეროვნული გამოცდების დებულებაში და აბიტურიენტებს მიეცათ უფლება, ზოგადი უნარების ტესტი, უცხო ენებისა და არჩევითი საგნების ტესტირება რუსულ ენაზე ჩაებარებინათ. საშეღავათო პოლიტიკის ნაწილი იყო აგრეთვე 2006 წლიდან მოსამზადებელი კურსების ორგანიზება ნინოწმინდისა და ახალქალაქის „ენის სახლებში“ ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის ოფისის ფინანსური მხარდაჭერით და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანამონაწილეობით (ტაბატაძე, 2009). 2006 წელს გატარებული ცვლილებების შედეგად, ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ეთნიკური უმცირესობების აბიტურიენტთა რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა. ქვემო ქართლიდან 25 აბიტურიენტი გახდა სტუდენტი, ხოლო ჯავახეთიდან ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა 31-მდე გაიზარდა. თუმცა, 2007 წელს ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობამ კვლავ იკლო, რაც ძირითადად განპირობებული იყო ახალქალაქში თბილისის ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის ჯავახეთის ფილიალისთვის აკრედიტაციის გაუქმებით. დღის წესრიგში დადგა საშეღავათო პოლიტიკის უფრო ეფექტური მექანიზმების ამუშავება (ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ევროპული ჩარჩო-კონვენციის შესრულების ანგარიში, 2006).

2008 წლიდან განათლების და მეცნიერების სამინისტრო უფრო მკვეთრ ნაბიჯებზე წავიდა ეთნიკური უმცირესობების აბიტურიენტთა ხელშეწყობისთვის. კერძოდ, ცვლილებები შევიდა ერთიანი ეროვნული გამოცდების დებულებაში და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს მიეცათ უფლება, ზოგადი უნარების გამოცდა ჩაებარებინათ სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზეც. ამასთანავე, მათთვის აქტიურად

საშელავათო პოლიტიკისეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში

გაგრძელდა ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის მოსამზადებელი შესაბამისი პროგრამა, რომელსაც უკვე უშუალოდ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აფინანსებდა სამოქალაქო ინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში. მნიშვნელოვანი იყო ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჯავახეთის ფილიალის ბაზაზე საჯარო სამართლის იურიდიული პირის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, ახალქალაქის კოლეჯის დაფუძნება და აკრედიტაცია. 2008 წელს, ზოგადი განათლების რეფორმიდან გამომდინარე, ქართულენოვან სკოლებს არ ჰყავდათ კურსდამთავრებულები, რამაც კიდევ უფრო გაზარდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხვის შანსები. ზემოთ მითითებული კომპლექსური ღონისძიებების ერთობლიობამ გაზარდა ერთიანი ეროვნულ გამოცდებზე 2008 წელს დარეგისტრირებულ და ჩარიცხულ აბიტურიენტთა რაოდენობა. მაგალითად, სომხურ ენაზე უნარების ტესტირება გაიარა 113 აბიტურიენტმა და აქედან 46 აბიტურიენტი გახდა სტუდენტი (40,7%), ხოლო აზერბაიჯანულენოვანი ტესტი ჩააბარა 250 აბიტურიენტმა, თუმცა მათგან მხოლოდ 29 გახდა სტუდენტი (11,6%). სტატისტიკური მონაცემებითაც ნათელია, რომ უნარების ტესტების მშობლიურ ენაზე ჩაბარების პოლიტიკამ გაზარდა ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩამბარებელთა და ჩარიცხულთა რაოდენობა (განსაკუთრებით სომხურენოვანი აბიტურიენტების). 2009 წელს არაქართულენოვან სკოლებს კურსდამთავრებულები არ ჰყოლიათ, შესაბამისად, აბიტურიენტებს საშუალება ჰქონდათ ორი წლის განმავლობაში უკეთესად მომზადებულიყვნენ ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის (ტაბატაძე და გორგაძე, 2013; ტაბატაძე და გორგაძე, 2016; ტაბატაძე და გორგაძე, 2017).

როგორც უკვე აღინიშნა, 2005 წლიდან განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ეთნიკური უმცირესობებისთვის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩასარიცხად საშელავათო პოლიტიკის სხვადასხვა ფორმასა და მექანიზმს მიმართავდა, რამაც გარკვეული შედეგი გამოიღო, თუმცა ეს ვერ აღმოჩნდა გარდამტეხი ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობისა და მათთვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის მკვეთრად გასაზრდელად. 2005-2009 წლის ერთიანი ეროვნულ გამოცდებზე ეთნიკური უმცირესობების პრობლემატიკის გათვალისწინებით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გადაწყვიტა საშელავათო პოლიტიკის ყველაზე რადიკალური ფორმისთვის, კვოტირების სისტემის შემოღებისთვის მიემართა. კერძოდ, უმაღლესი განათლების შესახებ კანონში 2009 წლის 19 ნოემბერს მიღებული ცვლილებების შესაბამისად, დადგინდა სტუდენტთა კვოტა, რომლებიც გაივლიდნენ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას. განისაზღვრა, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს სტუდენტთა მიღებას ერთიანი ეროვნული გამოცდებით (აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი, ოსურენოვანი და აფხაზურენოვანი აბიტურიენტების მხოლოდ ზოგად უნარებში მათ მშობლიურ ენაზე

საშეღავათო პოლიტიკის ეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში

ტესტირების საფუძველზე) სტუდენტთა ჩასარიცხად გამოაცხადებდა ვაკანსიებს - ერთიანი ეროვნული გამოცდებით მისაღებ სტუდენტთა საერთო რაოდენობის 5-5%-ის ოდენობით სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი და 1-1%-ს ოსურენოვანი და აფხაზურენოვანი აბიტურიენტებისთვის (მუხლი 52.5¹). ამასთანავე, შესაბამის წელს დარეგისტრირებულ და ტესტების შედეგების საფუძველზე ჩასარიცხ აბიტურიენტთა რაოდენობის გათვალისწინებით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მოტივირებული გადაწყვეტილებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობის საფუძველზე, შესაძლებელი იყო პროცენტული გადანაწილების შეცვლა მათი ჯამის ფარგლებში (ტაბატაძე და გორგაძე, 2013; ტაბატაძე და გორგაძე, 2016; ტაბატაძე და გორგაძე, 2017).

აფხაზურენოვანი და ოსურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტების ჩარიცხვის აღნიშნული წესი ძალაში შევიდა 2012-13 სასწავლო წლის დასაწყისიდან (მუხლი 90.23). იმ პერიოდისთვის კვოტირების სისტემის პერიოდულ განისაზღვრა და მისი განხორციელება გადაწყდა 2018-19 სასწავლო წლის ჩათვლით (მუხლი 90.25). 2018-2019 წელი სწორედ ის აკადემიური წელია, როდესაც სკოლას დაამთავრებდნენ ის მოსწავლეები, რომლებიც 2007 წელს შევიდნენ სკოლაში და პირველი კლასიდან ახალი თაობის სასწავლო გეგმით ეუფლებოდნენ განათლებას, ანუ ზოგადი განათლების რეფორმის ეფექტურობის პირობებში, 2019 წლისთვის კვოტირების სისტემის საჭიროება აღარ უნდა ყოფილიყო, რადგან უკვე არაქართულენოვან სკოლებს რეფორმის ფარგლებში უნდა მოემზადებინათ თანაბარკონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულ-ები, რომლებიც კონკურენციის პირობებში მერიტოკრატიული სისტემით შეძლებდნენ საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოხვედრას.

ახალი ინიციატივის მიხედვით, ამოქმედდა ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (მუხლი 52.5), რომლითაც ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების ტესტის (აზერბაიჯანული, სომხურენოვანი, ოსურენოვანი და აფხაზურენოვანი) შედეგების საფუძველზე აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ან ახალდაფუძნებულ ლიცენზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული საქართველოს მოქალაქის მიერ უნარ-ჩვევებისა და ცოდნის (წერა, კითხვა, მოსმენა, ლაპარაკი) შეძენა ქართულ ენაში იმ დონეზე, რაც აუცილებელია ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის / სტომატოლოგის / ვეტერინარის ან დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის გასაგრძელებლად. შესაბამისად, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს ქართულ ენაზე უმაღლესი განათლების მისაღებად აუცილებელი უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეძენას. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულ-, სომხურ-, ოსურ- და აფხაზურენოვანი

საშელავათო პოლიტიკისეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში

ტესტის შედეგების საფუძველზე ჩარიცხული სტუდენტები ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის / სტომატოლოგის / ვეტერინარის ან დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლას აგრძელებენ ქართულ ენაზე. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა განისაზღვრა 60-კრედიტიან პროგრამად (მუხლი 473.2). კანონის შესაბამისად, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაიცემა ამ პროგრამის დასრულების დამადასტურებელი სერტიფიკატი (ტაბატაძე და გორგაძე, 2013; ტაბატაძე და გორგაძე, 2016; ტაბატაძე და გორგაძე, 2017).

ცვლილებებით განისაზღვრა საქართველოს მთავრობის უფლებამოსილება, დაადგინოს სახელმწიფო სასწავლო გრანტის დაფინანსების მოცულობა და ოდენობა იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც გადიან ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას (მუხლი 6.1.გ²). არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, 2009-2019 წლებში დაფინანსებას იღებდა 100 სომხურენოვანი და 100 აზერბაიჯანულენოვანი აბიტურიენტი ყოველწლიურად, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ აზერბაიჯანულენოვან სკოლადამთავრებულთა, ისევე, როგორც უმაღლესში ჩარიცხულთა რაოდენობა თითქმის ორჯერ აჭარბებს სომხურენოვანთა რაოდენობას - გრანტების გადანაწილება კი მაინც თანაბრად ხდება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა 2012-2013 სასწავლო წლის დაწყებამდე განახორციელა ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი პროგრამების აკრედიტაცია. 2010 წლიდან ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის პირველი აკრედიტაციის ჩატარებამდე, ანუ 2012-2013 სასწავლო წლამდე, აკრედიტებული ან ახალდაფუძნებული ლიცენზირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ჩაითვალა აკრედიტებულად. აღნიშნული პროგრამების ხელახალი აკრედიტაციის პროცესი რამდენჯერმე გადაიდო, თუმცა, საბოლოოდ ოცი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ქართულის ენის ერთწლიანმა პროგრამამ გაიარა ახალი ან ხელახალი აკრედიტაცია 2019 წელს. კვლევის ანგარიშის შემდგომ თავებში დეტალურად განვიხილავთ ქართული ენის ერთწლიანი პროგრამების ტრანსფორმაციის პროცესს პირველიდან მეორე აკრედიტაციის პერიოდში.

თავი 2. კვლევის მეთოდოლოგია

2.1. კვლევის მიზანი და ამოცანები

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავდა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ეთნიკური უმცირესობებისთვის 2010 წლიდან შემოღებული საშეღავათო პოლიტიკის ეფექტურობის შესწავლას. კონკრეტულად კი - კვლევის შედეგად მივიღებდით ამომწურავ ინფორმაციას საშეღავათო პოლიტიკის შემადგენელი შემდეგი საკითხების ირგვლივ:

- (ა) რამდენად ეფექტურად ხორციელდება აბიტურიენტთა რეკრუტირება და რამდენად ინფორმირებულია მოსახლეობა საშეღავათო პოლიტიკის შესახებ;
- (ბ) რა განაპირობებს საქართველოსა თუ საზღვარგარეთის ქვეყნებში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების არჩევას;
- (გ) რამდენად ამზადებს თანამედროვე არაქართულენოვანი საჯარო სკოლა მოსწავლეებს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების შესაბამისად;
- (დ) რა ენობრივი კომპეტენციები აქვთ განვითარებული მოსწავლეებს საჯარო სკოლებში;
- (ე) როგორია მე-12 კლასელთა სკოლის დამთავრების შემდგომი არჩევანი?
- (ვ) როგორია ქართული ენის ერთწლიანი პროგრამები დაგეგმვის, განხორციელების, ინფრასტრუქტურის, სასწავლო და სტუდენტური გარემოს თვალსაზრისით;
- (ზ) რა არის ის კონკრეტული პრობლემები და საკითხები, რომლებსაც აწყდებიან ეთნიკური უმცირესობების აბიტურიენტები, ერთწლიანი ქართული ენის პროგრამის სტუდენტები თუ საბაკალავრო საფეხურის სტუდენტები საშეღავათო პოლიტიკის განხორციელების პერიოდში.
- (თ) რა შესაძლებლობები ექნებათ კურსდამთავრებულებს დასაქმებისა და სოციალური ინტეგრაციის თვალსაზრისით.

2.2. კვლევის მეთოდები და ინსტრუმენტები

კვლევის ამოცანებიდან გამომდინარე, კვლევის მეთოდოლოგია აერთიანებს რაოდენობრივ და თვისებრივ მეთოდებს; კერძოდ, კვლევის ფარგლებში გამოყენებულ იქნა შემდეგი ინსტრუმენტები: 1) არაქართულენოვანი სკოლების მე-12 კლასის მოსწავლეთა გამოკითხვა; 2) ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი პროგრამის სტუდენტების გამოკითხვა; 3) კვოტირების სისტემით ჩარიცხული საბაკალავრო საფეხურის სტუდენტთა ფოკუსჯგუფი; 4) კვოტირების სისტემით ჩარიცხული

საშელავათო პოლიტიკისეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში

კურსდამთავრებულების ფოკუსჯგუფი; 5) ჩაღრმავებული ინტერვიუ პროგრამების ხელმძღვანელებსა და პედაგოგებთან; 6) სამაგიდე კვლევა.

კვლევისათვის განისაზღვრა შემდეგი საკვლევი საკითხები:

- 1) არაქართულენოვანი სკოლების მე-12 კლასის მოსწავლეთა გამოკითხვა.
 - ა) რამდენად მიიღწევა არაქართულენოვან სკოლებში ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები;
 - ბ) რა ენობრივ კომპეტენციებს ფლობენ არაქართულენოვანი სკოლის მოსწავლეები;
 - გ) რა სოციალური უნარები აქვთ არაქართულენოვანი სკოლის მოსწავლეებს;
 - დ) რა არის ეთნიკური უმცირესობებისათვის ქვეყნის არჩევის საფუძველი/მოტივაცია, სადაც უმაღლეს განათლებას მიიღებენ.
- 2) ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი პროგრამის სტუდენტების გამოკითხვა. ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი პროგრამის ეფექტურობის შეფასება შემდეგი მნიშვნელოვანი მიმართულებებით: სწავლა-სწავლების პროცესი, ინფრა-სტრუქტურა, მასწავლებელთა კვალიფიკაცია, კლასგარეშე აქტივობები, სოციალურ და სტუდენტურ ინტეგრაციაზე მიმართული აქტივობები.
- 3) კვოტირების სისტემით ჩარიცხული საბაკალავრო საფეხურის სტუდენტთა ფოკუსჯგუფი.
 - ა) საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ეთნიკური უმცირესობების პრობლემების შესწავლა საბაკალავრო დონეზე;
 - ბ) კვოტირების გზით ჩარიცხული სტუდენტების გამოწვევების შეფასება აკადემიური, სოციალური და სამოქალაქო ინტეგრაციის თვალსაზრისით;
 - გ) კვოტირების სისტემით ჩარიცხულ სტუდენტებში სწავლის მიტოვების მაღალი მაჩვენებლის განსაკუთრებული მიზეზების შეფასება.
- 4) კვოტირების სისტემით ჩარიცხული კურსდამთავრებულების ფოკუსჯგუფი.
 - ა) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კურს-დამთავრებულთა მომზადების შეფასება მათი სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში აქტიურად ჩართულობის თვალსაზრისით;
 - ბ) კურსდამთავრებულთა დასაქმების პრობლემებისა და გამოწვევების იდენტიფიცირება.
- 5) ჩაღრმავებული ინტერვიუ პროგრამების ხელმძღვანელებსა და პედაგოგებთან.
- 6) სამაგიდე კვლევა.
 - (ა) კვოტირების სისტემაში საკანონმდებლო და პოლიტიკის ცვლილებების აღწერა;
 - (ბ) ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი პროგრამის განვითარების შეფასება პროგრამის დაწყებიდან მიმდინარე აკრედიტაციის პროცესამდე;

საშელავათო პოლიტიკისეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში

(გ) იმ ფაქტორების იდენტიფიცირება, რომლებიც გავლენას ახდენენ ქართული ენის ერთწლიან პროგრამაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანაზე;

(დ) კვოტირების სისტემის ფარგლებში განაცხადის შეტანის, ჩარიცხვისა და პროგრამის დატოვების მაჩვენებლების სტატისტიკური ანალიზი 2010 წლიდან დღემდე.

1) მეთორმეტე კლასის მოსწავლეთა გამოკითხვა

მეთორმეტე კლასის მოსწავლეთა შერჩევა

შერჩევა ცალ-ცალკე განხორციელდა სომხური და აზერბაიჯანულენოვანი სკოლებისთვის. ეს მიდგომა შეირჩა კონკრეტული ეთნიკური ჯგუფებისთვის კვლევის შედეგების განზოგადების მიზნით. სომხურენოვანი სკოლების მეთორმეტე კლასის მოსწავლეები შეირჩნენ შემდეგი სკოლებისა და პოპულაციის მიხედვით:

ცხრილი 1. სკოლები სიდიდისა და მოსწავლეების რაოდენობის მიხედვით სამიზნე რაიონებში

რაიონი	სკოლების რაოდენობა	მცირე	საშუალოდიდი	დიდი	მოსწავლეთა რაოდენობა პატარა სკოლებში	მოსწავლეთა რაოდენობა საშუალო სკოლებში	მოსწავლეთა რაოდენობა დიდ სკოლებში	მოსწავლეთა სრული რაოდენობა
ახალქალაქი	42	21	15	6	1533	1958	2148	5639
ნინოწმინდა	22	7	11	4	472	1520	1003	2995
ახალციხე	9	6	1	2	300	108	822	1230
წალკა	9	5	4		297	543		840
მარნეული	5	3	1	1	215	115	229	559
ბოლნისი	2	1		1	59		206	265
თეთრიწყარო	1	1			82			82
ასპინძა	1		1			187		187
ბორჯომი	1	1			97			97
სულ	92	45	33	14	3055	4431	4408	11894

სომხურენოვანი სკოლების მეთორმეტეკლასელთა რაოდენობაა 950, ხოლო კვლევისთვის შეირჩა 274. საერთო ჯამში, 33 სომხური სკოლა და 274 მეთორმეტეკლასელი

საშელავათო პოლიტიკისეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში

შეირჩა გამოკითხვისათვის. მოსწავლეთა პოპულაციის საერთო და შერჩეული მაჩვენებლის გადანაწილება სკოლის მასშტაბის მიხედვით არის შემდეგი:

ცხრილი 2. სომხურენოვანი სკოლებიდან კვლევაში მონაწილეთა შერჩევა

	პატარა	საშუალო	დიდი	ჯამი
მე-12 კლასელთა პოპულაცია სომხურენოვან სკოლებში	242	355	353	950
შერჩეული მოსწავლეები	75	100	99	274

ცხრილი 3. სომხურენოვანი სკოლების შერჩევის გადანაწილება რაიონების მიხედვით:

რაიონი	პატარა	საშუალო	დიდი	ჯამი
ახალქალაქი	7	5	3	15
ნინოწმინდა	4	3	2	9
ახალციხე	2	1	1	4
წალკა	1	1	0	2
მარნეული	1	1	0	2
ბოლნისი			1	1
ჯამი	15	11	7	33

იგივე მიდგომა იქნა გამოყენებული აზერბაიჯანული სკოლების შერჩევის შემთხვევაშიც. აზერბაიჯანულენოვანი სკოლის მეთორმეტეკლასელი მოსწავლეები შეირჩნენ შემდეგი სკოლებისა და პოპულაციის მიხედვით:

ცხრილი 4. აზერბაიჯანულენოვანი სკოლების მოსწავლეთა შერჩევა რაიონების მიხედვით

რაიონი	სკოლების რაოდენობა	პატარა	საშუალო	დიდი	მოსწავლეთა რაოდენობა პატარა სკოლებში	მოსწავლეთა რაოდენობა საშუალო სკოლებში	მოსწავლეთა რაოდენობა დიდ სკოლებში	მოსწავლეთა სრული რაოდენობა
მარნეული	36	20	11	5	3280	3712	3130	10122
ბოლნისი	16	13	3	0	2122	1037	0	3159
დმანისი	7	6	1	0	877	361	0	1238
გარდაბანი	10	4	4	2	657	1423	1693	3773
საგარეჯო	3	0	1	2	0	384	2178	2562
ლაგოდეხი	2	0	1	1	0	362	511	873

აზერბაიჯანულენოვან სკოლებში მეთორმეტე კლასელების რაოდენობაა 1250, აქედან კვლევისთვის შეირჩა 293. საერთო ჯამში, 20 აზერბაიჯანულენოვანი სკოლა და 293

**საშელავათო პოლიტიკისეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს
უმალესი განათლების სისტემაში**

მეთორმეტე კლასის მოსწავლე შეირჩა გამოკითხვისთვის. მოსწავლეთა პოპულაციის საერთო და შერჩეული მაშვენებლის გადანაწილება სკოლის მასშტაბის მიხედვით არის შემდეგი:

ცხრილი 5. აზერბაიჯანულენოვანი სკოლებიდან შერჩეული პოპულაცია მოსწავლეთა რაოდენობის პროპორციის შესაბამისად

	პატარა	საშუალო	დიდი	ჯამი
აზერბაიჯანულენოვანი სკოლის მე-12 კლასის მოსწავლეთა პოპულაცია	400	418	432	1250
შერჩეული მოსწავლეები	94	98	101	293

ცხრილი 6. აზერბაიჯანულენოვანი სკოლების შერჩევის გადანაწილება რაიონების მიხედვით:

რაიონი/სკოლები	პატარა	საშუალო	დიდი	ჯამი
მარნეული	5	3	1	9
ბოლნისი	3	2	0	5
დმანისი	2	0	0	2
გარდაბანი	1	1	1	3
საგარეჯო	0	1	1	2
ჯამი	11	6	3	20

გარდა ამისა, ზოგიერთი სკოლა შეირჩა დამატებით იმ შემთხვევისათვის, თუ რომელიმე სკოლამ ან მოსწავლემ უარი თქვა გამოკითხვაში მონაწილეობაზე.

მოსწავლეთა გამოკითხვის პროცედურა

საველე სამუშაოებისათვის შერჩეულ იქნა ინტერვიუერთა ჯგუფი. შერჩევა დაფუძნებული იყო სამ ძირითად კრიტერიუმზე: ა) ინტერვიუერთად მუშაობის გამოცდილება; ბ) ქვემო-ქართლში, სამცხე-ჯავახეთსა და კახეთის რეგიონებში მუშაობის გამოცდილება; გ) სახელმწიფო და ეთნიკური უმცირესობების ენების ფლობა. სულ ჯამში შეირჩა 29 ინტერვიუერი. გარდა ამისა, CCIIR-ის შვიდი თანამშრომელი ჩართული იყო საველე მუშაობის პროცესში საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

საშელავათო პოლიტიკისეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში

საველე სამუშაოები განხორციელდა 9-20 დეკემბრის პერიოდში. სულ 570 მე-12 კლასის მოსწავლე გამოიკითხა ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და კახეთის რეგიონებიდან.

გამოკითხვა განხორციელდა სპეციალურად შემუშავებული კითხვარის მეშვეობით. კითხვარი შვიდი სექციისგან შედგებოდა. პირველი ოთხი სექცია საერთო იყო ყველა მონაწილისთვის და მოიცავდა მოსწავლეთა თვითშეფასებას ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან მიმართებით, მოსწავლეთა მიერ ენობრივი კომპეტენციების თვითშეფასებას; მოსწავლეთა თვითშეფასებას აკადემიური მოსწრების შესახებ და სკოლის შემდგომ გეგმებს. მეხუთე-მეშვიდე სექციები განსხვავდებოდა სკოლის შემდგომი გეგმების შესაბამისად. მეხუთე სექცია განკუთვნილი იყო საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩაბარების მსურველთათვის, მეექვსე სექცია მოიცავდა კითხვებს იმ მეთორმეტეკლასელთათვის, ვინც საზღვარგარეთ აპირებდა უმაღლესი განათლების მიღებას, ხოლო მეშვიდე სექცია პროფესიული განათლების მიღების მსურველთათვის იყო განკუთვნილი.

2) ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი პროგრამის სტუდენტთა გამოკითხვა

სტუდენტთა გამოკითხვის ინსტრუმენტი

ქართული ენის ერთწლიანი პროგრამის სტუდენტთა გამოკითხვა განხორციელდა სპეციალური ინსტრუმენტის - წინასწარ შემუშავებული კითხვარის მეშვეობით. კითხვარი მოიცავდა ოთხ სექციას: ა) სასწავლო პროცესის შეფასება (პროგრამის ზოგადი შეფასება, მასწავლებელთა მიერ სწავლების მეთოდებისა და სტრატეგიების გამოყენება; დამატებითი აქტივობები და სხვ); ბ) ინფრასტრუქტურის, რესურსებისა და აღჭურვილობების შეფასება; გ) აქტივობები სოციალური და აკადემიური ინტეგრაციისათვის; დ) პროგრამის დასრულების შემდგომი გეგმები. კითხვარის პილოტირება მოხდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში. კითხვარის პილოტირების შედეგად განხორციელდა რამდენიმე ცვლილება, კერძოდ: I) პასუხების ფორმულირება გახდა უფრო მკაფიო; II) შემუშავდა სასწავლო სტრატეგიების დასახელებები; III) განხორციელდა ზოგიერთი სასწავლო სტრატეგიის უნიფიცირება უფრო მასშტაბური სტრატეგიის ქოლგის ქვეშ.

ქართულ ენაში მომზადების პროგრამის სტუდენტთა შერჩევა

შერჩევა განხორციელდა იმ მიზნით, რომ შედეგების განზოგადება მომხდარიყო კვლევაში მონაწილე თითოეულ უნივერსიტეტზე ინდივიდუალურად. შესაბამისად, განისაზღვრა, რომ შერჩეულ სტუდენტთა რაოდენობა გამოკითხვაში მონაწილე

**საშელავათო პოლიტიკისეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს
უმალლესი განათლების სისტემაში**

თითოეული უნივერსიტეტის სტუდენტის პოპულაციის შესაბამისი ყოფილიყო. ცხრილში მოცემულია კვლევის პოპულაცია და შერჩეულ სტუდენტთა რაოდენობა უნივერსიტეტების მიხედვით.

ცხრილი 7. ქართული ენის ერთწლიანი პროგრამის სტუდენტთა შერჩევა უნივერსიტეტების მიხედვით

უნივერსიტეტი	ქართულ ენაში მომზადების პროგრამის სტუდენტთა რიცხვი	შერჩეული სტუდენტები
თსუ	310	172
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	68	62
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	70	64
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	308	169
სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტი (ახალციხე და ახალქალაქის ფილიალი)	70	64
ილიაუნი	280	162
ბათუმის უნივერსიტეტი	5	5
ქუთაისის უნივერსიტეტი	11	11
თელავის უნივერსიტეტი	8	8
გორის უნივერსიტეტი	8	8
საქართველოს შსს აკადემია	11	11

ქართულ ენაში მომზადების პროგრამის სტუდენტთა გამოკითხვის პროცედურები

საველე სამუშაოებისათვის შეირჩა ინტერვიუერთა ჯგუფი. შერჩევა დაფუძნებული იყო სამ ძირითად კრიტერიუმზე: ა) ინტერვიუერთად მუშაობის გამოცდილება; ბ) ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთსა და კახეთის რეგიონებში მუშაობის გამოცდილება; გ) სახელმწიფო და ეთნიკური უმცირესობების ენების ფლობა.

სულ ჯამში შეირჩა 30 ინტერვიუერი. გარდა ამისა, CCIIR-ის შვიდი თანამშრომელი ჩართული იყო საველე მუშაობის პროცესში საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. საველე სამუშაოები განხორციელდა 2019 წლის 20-30 დეკემბრის პერიოდში. საერთო ჯამში, გამოკითხა ქართულ ენაში მომზადების პროგრამის დაახლოებით 700 სტუდენტი.

3) საბაკალავრო საფეხურის სტუდენტთა ფოკუსჯგუფი

კვლევის ფარგლებში სულ დაიგეგმა და ჩატარდა საბაკალავრო საფეხურის სტუდენტთა 5 ფოკუსჯგუფი შემდეგი უნივერსიტეტების სტუდენტებთან: სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. ფოკუსჯგუფები ჩატარდა 2020 წლის თებერვლის თვეში. ყველა ფოკუსჯგუფის ჩატარებისას გაკეთდა აუდიო ჩანაწერი, რომელიც შემდგომში ტრანსკრიპტებად დამუშავდა.

სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის საბაკალავრო საფეხურის სტუდენტთა ფოკუსჯგუფში მონაწილეობდა სულ 7 სტუდენტი, აქედან 3 ბიჭი და 4 გოგო.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტიდან ფოკუსჯგუფში მონაწილეობა მიიღო საბაკალავრო სფეხურის სამმა სტუდენტმა (სამივე მდედრობითი სქესის წარმომადგენელი).

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 7 საბაკალავრო საფეხურის სტუდენტი მონაწილეობდა ფოკუსჯგუფში, აქედან 1 ბიჭი, 6 გოგო.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფოკუსჯგუფში მონაწილეობა 4-მა სტუდენტმა მიიღო, მათ შორის იყო 1 გოგო და 3 ბიჭი.

ილიაუნის ფოკუსჯგუფში 4 მონაწილიდან ოთხივე ბიჭი იყო.

4) კურსდამთავრებულთა ფოკუსჯგუფი

კვლევის ფარგლებში ჩატარდა სულ ორი ფოკუსჯგუფი 1+4 პროგრამის კურსდამთავრებულებთან. პირველი ფოკუსჯგუფი ჩატარდა სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტში, ფოკუსჯგუფში მონაწილეობდა სულ 3 კურსდამთავრებული, სამივე გოგო. ფოკუსჯგუფი ჩატარდა 2020 წლის თებერვალში.

კურსდამთავრებულთა მეორე ფოკუსჯგუფში მონაწილეობდნენ ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სამედიცინო უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტების კურსდამთავრებულები. სამედიცინო უნივერსიტეტიდან მონაწილეობა ორმა, ილიაუნიდან - სამმა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან - ორმა, ხოლო თსუ-დან - ორმა კურსდამთავრებულმა მიიღო. მათგან ორი გოგო, ხოლო 7 ბიჭი იყო. ფოკუსჯგუფი განხორციელდა 2020 წლის მარტში და ჩატარდა zoom-ის ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით ქვეყანაში არსებული კოვიდ-19 პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების შესაბამისად.

5) საბაკალავრო საფეხურის ლექტორთა, პროგრამის ხელმძღვანელებთან და ადმინისტრაციასთან ფოკუსჯგუფები და ჩაღრმავებული ინტერვიუები

წინამდებარე კვლევის ფარგლებში ასევე დაიგეგმა და განხორციელდა ფოკუსჯგუფები პროფესორ-მასწავლებლებთან შემდეგ ხუთ უნივერსიტეტში: სამცხე-ჯავახეთის სახ. უნივერსიტეტი, თბილისის სახ. სამედიცინო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ფოკუსჯგუფები ჩატარდა 2020 წლის თებერვალში.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ფოკუსჯგუფში მონაწილეობდა სულ 5 პროფესორ-მასწავლებელი, აქედან 1 მამაკაცი, 4 ქალი.

თსუ-ში კვლევაში მონაწილეობა 6-მა ლექტორმა, ერთმა მამაკაცმა და ხუთმა ქალმა მიიღო.

სამედიცინო უნივერსიტეტში ფოკუსჯგუფში 5-მა ქალმა ლექტორმა მიიღო მონაწილეობა.

რაც შეეხება ილიაუნის, აქ ფოკუსჯგუფში მონაწილეობა 4-მა ლექტორმა მიიღო (3 ქალი, 1 მამაკაცი)

სამიზნე უნივერსიტეტებში, ფოკუსჯგუფების გარდა, ჩატარდა ჩაღრმავებული ინტერვიუები სხვადასხვა სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან. საბაკალავრო პროგრამის წარმომადგენლები წინასწარ შეირჩნენ უნივერსიტეტების მიერ მოწოდებული ინფორმაციისა და შესაბამისი სტატისტიკური მონაცემების შესწავლის შედეგად: თითოეული უნივერსიტეტიდან შეირჩა 2-3 პროგრამა, რომელსაც, სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ყველაზე მეტი ქართულ ენაში მომზადების პროგრამის კურსდამთავრებული სტუდენტი ირჩევს.

სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტში ჩაღრმავებული ინტერვიუები ჩატარდა ქართული ფილოლოგიის პროგრამისა და ბიზნეს-ადმინისტრირების პროგრამის ხელმძღვანელებთან. ჩაღრმავებული ინტერვიუები ჩატარდა 2020 წლის თებერვალში.

2020 წლის თებერვალშივე ჩატარდა ჩაღრმავებული ინტერვიუები სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინისა და ფარმაციის პროგრამების და თსუ-ს ორი პროგრამის - ბიზნესის ადმინისტრირებისა და მულტილინგვური განათლების პროგრამის ხელმძღვანელებთან.

ამავე პერიოდში ჩაღრმავებული ინტერვიუ ჩატარდა ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან სტუ-სა და ილიაუნიში. კერძოდ, სტუ-ში - სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის პროგრამების ხელმძღვანელებთან, ხოლო ილიაუნიში - სამართლის სკოლის სასწავლო პროცესის ადმინისტრატორთან და ანგლისტიკის პროგრამის კურიკულუმის ექსპერტთან.

6) სამაგიდე კვლევა და მეორადი სტატისტიკური მონაცემების ანალიზი

სამაგიდე კვლევის ფარგლებში შევისწავლეთ 2009-2019 წლის საკანონმდებლო ცვლილებები, ასევე, 2009-2019 წლებში ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი პროგრამის განვითარების საკითხი თითოეული უნივერსიტეტის შემთხვევაში. განათლების, კულტურის, მეცნიერებისა და სპორტის სამინისტროდან, განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნული სამსახურისაგან, გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრისა და თითოეული უნივერსიტეტისაგან მიღებული ინფორმაციის მიხედვით განხორციელდა სტატისტიკური ანალიზი გამოცდებზე მიღების, ჩარიცხვისა და პროგრამის დატოვების მაჩვენებლების შესახებ.

თავი 3. ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი პროგრამის ტრანსფორმაცია 2010-2019 წლებში უნივერსიტეტების მიხედვით

როგორც უკვე აღინიშნა, კანონში შეტანილი ცვლილებების მიხედვით, ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი პროგრამების აკრედიტაცია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უზრუნველყო 2012-2013 სასწავლო წლის დაწყებამდე. ამ პროგრამების ხელახალი აკრედიტაცია ზოგიერთ უნივერსიტეტში უნდა განხორციელებულიყო 2016 წელს, თუმცა უმაღლესი განათლების შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებებით, პროგრამების ხელახალი აკრედიტაციის ვადამ გადაიწია.

ქართულ ენაში მომზადების პროგრამებს მოქმედების ვადა განესაზღვრა 2019 წლის 31 დეკემბრამდე (საქართველოს მთავრობის #1109 განკარგულება, 2018 წლის 18 მაისი). შესაბამისად, ხელახალი აკრედიტაციის გავლისათვის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს მიეცათ პერიოდი 2019 წლის 1 ივლისიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. ყველა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ გაიარა აკრედიტაცია და 2020 წლიდან ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ახალი პროგრამებით, განახლებული სილაბუსებით დაიწყებს ფუნქციონირებას.

2018 წლის 25 დეკემბერს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 24 დეკემბერს N1131/ი ბრძანებით შექმნილი დარგობრივი საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, სამუშაო ჯგუფმა მუშაობა დაიწყო ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლის პროექტზე. სამუშაო ჯგუფის წევრებმა დარგობრივი მახასიათებლის პროექტის შემუშავების პროცესში იხელმძღვანელეს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 23 მაისის N340 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების, ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესით“.აკრედიტაციის პროცესი დაეფუძნა 2019 წელს შემუშავებულ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივ მახასიათებლებს (განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის დირექტორის ბრძანება #323/ი, 2019 წლის 03.05). ეს დოკუმენტი შემუშავდა უნივერსიტეტთაშორისი ქსელის ინიციატივით (შეიქმნა 2017 წელს საქართველოს გაეროს ასოციაციისა და სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის პროექტის (PITA) ფარგლებში და აერთიანებს საქართველოს 11 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას).

უნივერსიტეტთაშორისი ქსელის ფარგლებში შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა დოკუმენტის შემუშავებისას გაითვალისწინა, ერთი მხრივ, სფეროსთან დაკავშირებული ეროვნული მოთხოვნები და საჭიროებები, მეორე მხრივ, საერთაშორისო პრაქტიკა და სტანდარტები. მახასიათებლების შემუშავებისას გათვალისწინებული იქნა კვოტირების

საშელავათო პოლიტიკის ეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში

სისტემის თაობაზე ჩატარებული უახლესი კვლევების შედეგად წარმოჩენილი პრობლემები.

ქართულ ენაში მომზადების პროგრამებს საშუალება მიეცათ, დაყრდნობოდნენ ერთიან სტანდარტს და გაეთვალისწინებინათ სხვადასხვა კვლევის შედეგად იდენტიფიცირებული პრობლემური საკითხები.

კერძოდ:

- ქართული ენის ფლობის დონეების განსაზღვრა და ამ დონეების ინტეგრირება ქართული ენის ერთწლიან პროგრამაზე სტუდენტების მიღებისა და სწავლების ეტაპებზე;
- მასწავლებელთა გადამზადების უზრუნველყოფა სწავლების თანამედროვე მეთოდების სათანადო გამოყენებისათვის, რაც გულისხმობს სტუდენტის საჭიროებებზე მორგებულ და სოციალური უნარების განვითარებაზე ორიენტირებულ სწავლებას, თუმცა არ შემოიფარგლება ტექნოლოგიების ეფექტური დანერგვით სწავლებაში;
- სასწავლო რესურსების მორგება მკაფიოდ განსაზღვრულ დონეებზე, მათი გამდიდრება როგორც თემატური და შინაარსობრივი ასპექტებით, ასევე სოციალური უნარების განვითარებაზე ორიენტირებული მეთოდებით;
- ქართულ ენაში ენობრივი კომპეტენციების შეფასების სისტემის შექმნა ეროვნულ ან საუნივერსიტეტო დონეზე;
- ენობრივ კომპეტენციებზე დაფუძნებით პროგრამებში ინტენსიური კურსებისა და სხვა ტიპის პროგრამების გაჩენა;
- სასწავლო პროცესში ტექნოლოგიების დანერგვა და შემუშავებული სასწავლო რესურსების გამოყენება, რათა საბაკალავრო დონეზე სტუდენტთათვის უცხო არ იყოს ტექნოლოგიებთან დაკავშირებული სასწავლო კურსების გავლა და დაძლევა;
- სასწავლო რესურსების, სახელმძღვანელოებისა და დამხმარე მასალების ფლობის დონეებთან შესაბამისობაში მოყვანა, რაც უზრუნველყოფს ენის ფლობის დონეებს შორის მოქნილ ტრანზიტს გამართული მეთოდისა და მიდგომების გამოყენების საშუალებით;
- პროფესორ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამების შემუშავება და განხორციელება;
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამებში ტექნოლოგიების გამოყენების კომპონენტის გაძლიერება;
- სტუდენტებისათვის ინდივიდუალური და ჯგუფური აკადემიური კონსულტაციების დანერგვა პროგრამის ფარგლებში.

საშელავათო პოლიტიკისეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში

აღსანიშნავია, რომ 2019 წლამდე არ არსებობდა „ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის“ დარგობრივი მახასიათებელი.

ახლად შემუშავებულ მახასიათებლებში რამდენიმე პრინციპული საკითხი აისახა: პირველი მათგანი სტუდენტთა საწყის კომპეტენციებს ეხება. სტუდენტთა გადანაწილება ჯგუფებში ხორციელდება ქართულ ენაში ჩატარებული წინასწარი გამოცდის შედეგების საფუძველზე: წერიტი და კითხვის უნარები - წერილობითი პრეტესტის, ხოლო მოსმენა-ლაპარაკის კომპეტენციები განისაზღვრება აუდიოტექსტის და ზეპირი ინტერვიუს ჩატარების საფუძველზე, სასწავლო წლის პირველი სემესტრის დაწყებამდე. საწყისი ენობრივი კომპეტენციების განსაზღვრის შედეგად (ოთხივე მიმართულებით) განხორციელდება მათი გადანაწილება სხვადასხვა დონის (A და B ბლოკების) ჯგუფებში.

დარგობრივი კომპეტენციები ენობრივი უნარების მიხედვითაა ჩაშლილი¹.

ამასთანავე, გათვალისწინებულ იქნა ენის დაუფლების ევროპული სტანდარტი. ენის სრულფასოვანი ათვისებისათვის ევროსაბჭოს ენობრივი სტანდარტი სავალდებულოდ მიიჩნევა ენის შემსწავლელებში ეგზისტენციალური კომპეტენციისა (*Isavioiv-etre*) და სწავლის უნარის (*savioiv-apprendre*) განვითარებას. ეგზისტენციალური კომპეტენცია ატარებს კულტურულად განპირობებულ ხასიათს და, ამდენად, დიდი მნიშვნელობა აქვს ინტერკულტურული ურთიერთობისათვის; სწავლის უნარი შეიძლება აგრეთვე განისაზღვროს როგორც სხვა რამის, ახლის აღმოჩენის უნარი - იქნება ეს სხვა ენა, კულტურა, ახალი ადამიანები თუ ცოდნის ახალი სფერო. სწავლის უნარს, როგორც ზოგადსასწავლო ცნებას, აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა (CEFR). შესაბამისად, წინამდებარე დარგობრივ მახასიათებელში დამატებითი ინფორმაციის სახით წარმოდგენილი ინტერკულტურული და სწავლის კომპეტენცია დარგობრივი მახასიათებლის საფუძველზე შექმნილი „ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის“ აუცილებელი კომპონენტი გახდა.

2019 წლის 27 მარტის სხდომაზე დარგობრივი მახასიათებლები საბჭოს წევრებმა მიიღეს. მახასიათებლების ამოქმედების ვადად განისაზღვრა 2020 წლის 1 ივნისი. დარგობრივი მახასიათებლის საფუძველზე შემუშავებული „ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა“ განკუთვნილია საქართველოს მოქალაქეებისთვის, რომელთაც დაამთავრეს არაქართულენოვანი (აზერბაიჯანული, სომხური, ოსური, რუსული, აფხაზურენოვანი) სკოლა; დღეს არსებული რეალური სიტუაცია ამ ტიპის სკოლებში ვერ უზრუნველყოფს არაქართულენოვანი აბიტურიენტების კონკურენტუნარიანობას ქართულენოვან სკოლადამთავრებულ აბიტურიენტებთან, რის

¹ შენიშვნა: A ბლოკი გულისხმობს ინტენსიურ კურსებს და მეტი საკონტაქტო საათების ოდენობას პირველ სემესტრში; ასევე, ტუტორთა აქტიურ დახმარებას; B არჩევითი ბლოკი შედარებით მაღალი ენობრივი კომპეტენციის (B1 და მეტი) მქონე სტუდენტებზეა გათვლილი.

საშელავათო პოლიტიკისეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში

გამოც სახელმწიფომ აიღო ვალდებულება, საშელავათო პოლიტიკის ფარგლებში, ყველა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში განხორციელებულიყო ერთწლიანი (60 კრედიტი) საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის გულისხმობს კვოტის (სტუდენტთა მისაღები სრული კონტინგენტის 5-5 პროცენტი - აზერბაიჯანულ- და სომხურენოვანი, 1-1 პროცენტი - აფხაზური და ოსურენოვანი აბიტურიენტებისთვის) შემოღებას ყველა (როგორც სახელმწიფო, ასევე - კერძო) სასწავლებელში. ეს ცვლილებაც მნიშვნელოვანი გახლდათ, ამ პროცესში აქტიურად ჩაერთნენ კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიც.

ქართულ ენაში მომზადების პროგრამის დარგობრივი მახასიათებლების შემუშავებამ დიდად შეუწყო ხელი კონკრეტული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ეფექტური 60-კრედიტიანი პროგრამების შედგენას: 2019 წლის სექტემბერ-დეკემბერში განხორციელებულმა აკრედიტაციის პროცესმა (ყველა უსდ-მ გაიარა აკრედიტაცია და გაიგრძელა ვადა 7 წლით) წარმატებით ჩაიარა. შეტანილ იქნა მთელი რიგი ცვლილებები პროგრამის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

დარგობრივი მახასიათებლების საფუძველზე, თითოეულმა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ, რომელშიც ფუნქციონირებს ქართულ ენაში მომზადების პროგრამა, იმუშავა პროგრამაში სხვადასხვა მიმართულებით ცვლილებების შეტანაზე.

ქართულ ენაში მომზადების პროგრამამ საქართველოს 20 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გაიარა აკრედიტაცია; გთავაზობთ იმ უნივერსიტეტების სიას, სადაც მოქმედებს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა არაქართულენოვანი აბიტურიენტებისთვის.

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
2. თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია
3. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
4. საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
5. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
6. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ქ. ქუთაისი)
7. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
8. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
9. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ქ. ახალციხე, ქ. ახალქალაქი)
10. ევრორეგიონული სასწავლო უნივერსიტეტი (ქ. გორი, ქ. თბილისი)

11. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ქ. თელავი)
12. შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი (ქ. ზუგდიდი)
13. თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
14. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ქ. ბათუმი)
15. ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი (ქ. ბათუმი).
16. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი (ქ. გორი)
17. თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი (ქ. თბილისი, ქ. სიღნაღი)
18. ქალაქ ქუთაისის სამუსიკო კოლეჯი (ქ. ქუთაისი)
19. დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია (ქ. გორი)
20. უმალლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - განათლების აკადემია (თბილისი)

ქვემოთ განვიხილავთ იმ ძირითადი უმალლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროგრამების ტრანსფორმაციას, რომლებიც 2012-2013 წლიდან ახორციელებდნენ პროგრამას და პირველი აკრედიტაციიდან ხელახლა აკრედიტაციამდე მნიშვნელოვნად შეცვალეს პროგრამა. ამასთანავე, გავანალიზებთ ამჟამად შეცვლილი პროგრამების დადებით ასპექტებს და დარჩენილ გამოწვევებს.

ივანე ჯავახიშვილი სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა სერიოზული ცვლილებები შეიტანა მიმდინარე პროგრამაში:

ხელახლა აკრედიტებული პროგრამა **შედგება 28 სილაბუსისგან.**

პირველ სემესტრში სტუდენტები გადიან ექვს 5-კრედიტიან კურსს (წარმოდგენილია 2 ბლოკად: A და B ბლოკის კურსები. ბლოკებში გადანაწილება ხორციელდება პრეტესტის შედეგების საფუძველზე - შემსწავლელის საწყისი ენობრივი კომპეტენციების მიხედვით განისაზღვრება, თუ რომელ მოდულს აირჩევს სტუდენტი (არჩევანი განისაზღვრება პრეტესტირების საფუძველზე).

მეორე სემესტრში 4 სავალდებულო კურსია, რომლებიც შემსწავლელის ენობრივი კომპეტენციების სხვადასხვა მიმართულების განვითარებას ემსახურება:

1. ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა-2;
2. ქართული ენის მართლწერა და ორთოეპია;
3. ფუნქციური წერა;
4. ზეპირმეტყველების სტრატეგიები.

განახლებულ პროგრამაში შეტანილია ინტერკულტურული სწავლების კომპონენტი, რომელიც წარმოდგენილია კურსის „მრავალფეროვნება და ტოლერანტობა“ სახით და ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლების (CLIL) პრინციპებს ეფუძნება.

საშელავათო პოლიტიკისეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში

ამავე სემესტრში დაინერგა კითხვის ენობრივი უნარების მიმართულებით შემუშავებული არჩევითი დარგობრივი კურსების ინოვაციური მიდგომა (11 კურსი); ეს კურსები შეიქმნა შემსწავლელთა მომავალი პროფესიული არჩევანის გათვალისწინებით და გულისხმობს იმ ტერმინოლოგიის, დარგობრივი ლექსიკისა და სპეციფიკური კონსტრუქციების სწავლებას, რომელიც ამა თუ იმ დარგობრივი მიმართულებისთვისაა ნიშანდობლივი.

როგორც უკვე აღინიშნა, მნიშვნელოვანი ცვლილებაა ორი განსხვავებული ბლოკის (A და B) ამუშავება პირველ სემესტრში და განსხვავებული საათობრივი დატვირთვისა და ინტენსივობის შეთავაზება, რათა პირველი სემესტრის შედეგად მოხდეს გათანაბრება საწყისი ენობრივი კომპეტენციების უთანასწორობისა. მნიშვნელოვანი ცვლილება იყო ინტერკულტურული მგრძობელობისა და სამოქალაქო ცნობიერების გაზრდისაკენ მიმართული კურსის შემოტანა და აგრეთვე, საბაკალავრო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, სტუდენტის უკეთ მომზადებისთვის არჩევითი დარგობრივი კურსის შეთავაზება.

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ 2013 და 2016 წლებში ჩატარებული კვლევების შედეგად აღმოჩენილი პრობლემებიდან (რომლებიც უკავშირდებოდა სტუდენტთა სოციალური და აკადემიური ინტეგრაციის საკითხებს) გამომდინარე, პროგრამაში სილაბუსების დონეზე მნიშვნელოვანი აქცენტი გაკეთდა ინტერაქციული სწავლების მეთოდებზე, სწავლებისას კლასგარეშე აქტივობების ჩართვაზე და, ასევე, დამატებით, თსუ-ს ახალგაზრდული ცენტრის ფუნქციონირებაზე, რომელმაც მნიშვნელოვნად გაზარდა სტუდენტთა ინტეგრაციის ხარისხი. მნიშვნელოვანი იყო ტუტორიუმის პროგრამის დანერგვაც, რომელმაც აგრეთვე ხელი შეუწყო სტუდენტთა აკადემიურ და სოციალურ ინტეგრაციას. ყველა ზემოჩამოთვლილი ცვლილება გამომდინარეობდა კვლევების შედეგებიდან და მნიშვნელოვანწილად გააუმჯობესა ამ თვალსაზრისით არსებული ვითარება, თუმცა თსუ-ში არსებული კონტიგენტის სიმრავლიდან გამომდინარე, გარკვეული პრობლემები ამ მიმართულებით რჩება, რომელთა მოგვარებაზეც არის ორიენტირებული პროგრამა.

* * *

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა ახალ პროგრამაში შემდეგი ცვლილებები განახორციელა:

- შეიქმნა ახალი, დიფერენცირებული პროგრამა შესაბამისი ენობრივი დონეების მიხედვით;
- სავალდებულო კურსების გარდა, ახალ პროგრამაში დაემატა სავალდებულო/არჩევითი კურსები ენობრივი დონეების მიხედვით. ქართულის, როგორც მეორე/უცხო ენის სწავლების თანამედროვე მეთოდიკაზე დაყრდნობით ამ კურსებისთვის შეიქმნა სასწავლო მასალები;

საშელავათო პოლიტიკისეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში

- სავალდებულო საგნებში შეიცვალა შეფასების კომპონენტები და ქულათა გადანაწილება;
- პრეტესტს დაემატა კიდევ ერთი კომპონენტი, ლაპარაკის უნარ-ჩვევის დიაგნოსტირება;
- სალექციო კურსები „მინიპროექტი 1“ და „მინიპროექტი 2“ შეიცვალა და ეწოდა „ინტეგრაცია 1“ და „ინტეგრაცია 2“, გადამუშავდა სასწავლო მასალები. კიდევ უფრო გაძლიერდა პროგრამაში ინტეგრაციის კომპონენტი და ტუტორიუმის პროგრამა.

თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტში ქართულ ენაში მომზადების სახელმწიფო პროგრამაში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები: მეორე სემესტრში დაემატა პროფილური კურსი სამედიცინო ტექსტებზე (ბიოლოგია, ანატომია) დაყრდნობით; ასევე, „მრავალფეროვნების და ტოლერანტობის“ კურსი, რომელიც, ასევე, მეორე სემესტრში იკითხება.

პროგრამისთვის შემუშავდა ახალი ინტერნეტპორტალი - Cqool.ge - სადაც ქართულ ენაში მომზადების სახელმწიფო პროგრამის სტუდენტებისთვის ატვირთულია სილაბუსები, ტესტები, სავარჯიშოები, დავალებები.

ცვლილებები განიცადა შეფასების სისტემამ: ამოღებულ იქნა დასწრების 5 ქულა და იგი ჩანაცვლდა ურთიერთშეფასების 5 ქულით.

დარგობრივი მახასიათებლების შესაბამისად, ახალი პროგრამა ითვალისწინებს ჯგუფების დაკომპლექტებას საწყისი ენობრივი კომპეტენციების საფუძველზე. შესაბამისად, პირველ სემესტრში არჩევითი ბლოკებია დაბალი და მაღალი (პირობითად - A და B ბლოკები) სტუდენტებისათვის.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, დარგობრივი მახასიათებლების შესაბამისად, განისაზღვრა სწავლების 2 მოდული (A და B); ჯგუფებში გადანაწილება საწყისი ენობრივი კომპეტენციების მიხედვით, ხდება პრეტესტის საფუძველზე. მეორე სემესტრიდან ქართულ ენაში მომზადების პროგრამაში დაემატა კურსი „ტოლერანტობა და მრავალფეროვნება“. ასევე, კითხვისა და მოსმენის მიმართულებით - დარგობრივი ტექსტების მიხედვით გადიან სტუდენტები კურსს.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროგრამა შედგება 23 სილაბუსისგან. პირველ სემესტრში სტუდენტები გადიან ექვს კურსს (თითოეული კურსი წარმოდგენილია 2 ბლოკად - A და B ბლოკის კურსები). ბლოკებში გადანაწილება ხორციელდება პრეტესტის შედეგების საფუძველზე - ჯგუფებში გადანაწილება ხორციელდება საწყისი ენობრივი

საშელავათო პოლიტიკის ეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში

კომპეტენციების მიხედვით.

A ბლოკზე სწავლება ხორციელდება მეტი საკონტაქტო საათის საფუძველზე (A ბლოკში თითოეული კურსი კვირეული 5-საათიანი საკონტაქტო საათით განისაზღვრება; B ბლოკის სტუდენტთა საკონტაქტო საათებია 3).

მეორე სემესტრში 6 სავალდებულო კურსია, რომელიც შემსწავლელის ენობრივი კომპეტენციების სხვადასხვა მიმართულების განვითარებას ემსახურება. პროგრამაში შეტანილია ახალი კურსი - „ტოლერანტობა და მრავალფეროვნება“.

* * *

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაში შემდეგი ცვლილებები განხორციელდა: სამეტყველო უნარ-ჩვევებს (კითხვის სტრატეგიები, წერის სტრატეგიები, მოსმენა, ზეპირმეტყველება), ქართული ენის პრაქტიკულ გრამატიკა 1 და ორთოეპია-მართლწერას სტუდენტები სწავლობენ პირველ სემესტრში. მეორე სემესტრში სავალდებულო საგნად შემოვიდა „ტოლერანტობა და მრავალფეროვნება“. არჩევით საგნად - „დარგობრივი ლექსიკა“ (ჰუმანიტარული, ეკონომიკის, სამართალმცოდნეობის, მათემატიკის, დაწყებითი განათლების მიმართულებით).

* * *

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე 2010 წლიდან ფუნქციონირებს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა 2011 წლის 4 ნოემბერს მოხდა პროგრამის აკრედიტაცია. განხორციელების მანძილზე პროგრამაში სისტემატურად ხდებოდა საგანმანათლებლო პროგრამებისადმი წაყენებული მოთხოვნების შესაბამისი ცვლილებების ასახვა, რაც გამოიხატებოდა სასწავლო კომპონენტების, სწავლა-სწავლების მეთოდოლოგიისა და შეფასების სისტემის სრულყოფაში, ლიტერატურის მუდმივ განახლებაში, საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტის გამოცდილების გაზიარებაში, ინტერნაცი-ონალიზაციის კომპონენტის დანერგვაში, პროგრამის შიდა და გარე შეფასების კომპონენტების განვითარებაში. ამდენად, აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მანძილზე დაგროვდა სოლიდური გამოცდილება მსგავსი პროფილის პროგრამის განხორციელების სფეროში. ამ გამოცდილების ანალიზმა მკაფიოდ წარმოაჩინა ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გაგრძელების პერსპექტივა და განხორციელების შესაძლებლობა.

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ახალი კურიკულუმი შედგება 23 სილაბუსისგან. პირველ სემესტრში სტუდენტები გაივილიან ექვს 5-კრედიტიან სასწავლო კურსს (თითოეული კურსი წარმოდგენილია 2 ვერსიად: A და B ბლოკის კურსები. ბლოკებში გადანაწილება ხორციელდება პრეტესტის შედეგების საფუძველზე –

საშელავათო პოლიტიკისეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში

შემსწავლელის საწყისი ენობრივი კომპეტენციების მიხედვით განისაზღვრება, თუ რომელ ბლოკს აირჩევს სტუდენტი.

A ბლოკზე სწავლება ხორციელდება მეტი საკონტაქტო საათის საფუძველზე (A ბლოკში თითოეული კურსი კვირეული 5-საათიანი საკონტაქტო საათით განისაზღვრება; კურსი ინტენსიური სწავლების სტრატეგიითაა აგებული და უზრუნველყოფს ამ ბლოკის სტუდენტთა ენობრივი კომპეტენციების დაახლოებას B ბლოკის სტუდენტთა კომპეტენციებთან პირველი სემესტრის ბოლოს). სწავლების მეთოდები და სტრატეგიები ენის ინტენსიური სწავლების კონტექსტში განიხილება.

მეორე სემესტრში 5 სავალდებულო და ერთი არჩევითი სასწავლო კურსია, რომელიც შემსწავლელის ენობრივი კომპეტენციების სხვადასხვა მიმართულების განვითარებას ემსახურება. ახალ პროგრამაში შეტანილია ინტერკულტურული სწავლების კომპონენტი, რომელიც წარმოდგენილია კურსის „ტოლერანტობა და მრავალფეროვნება“ სახით და ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლების პრინციპებს ეფუძნება (კურსი შემუშავდა ეუთოს ეუუკ-ის პროექტის „საქართველოს ახალგაზრდობის მრავალფეროვნებისა და ტოლერანტობისათვის მომზადება“ ფარგლებში).

ამავე სემესტრისთვის შემუშავებულია არჩევითი დარგობრივი კურსები (6 კურსი); ეს არჩევითი დარგობრივი კურსები შეიქმნა შემსწავლელთა მომავალი პროფესიული არჩევანის გათვალისწინებით და გულისხმობს იმ ტერმინოლოგიის, დარგობრივი ლექსიკისა და სპეციფიკური კონსტრუქციების სწავლებას, რომლებიც ამა თუ იმ დარგობრივი მიმართულებისთვისაა (ფილოლოგია, ისტორია, მათემატიკა, სამართალი, ბიოლოგია და ბიზნესი/ეკონომიკა) ნიშანდობლივი.

პროგრამის არსებობის მანძილზე სასწავლო კურსებს შეეხო ცვლილება, კერძოდ, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა პროგრამის გარკვეული მოდიფიცირება. სასწავლო კურსი „ლექსიკა და კითხვის სტრატეგიები“ ჩანაცვლდა შემდეგი სასწავლო კურსით: „ტოლერანტობა და მრავალფეროვნება“. აღნიშნული სასწავლო კურსი 2018 წლიდან სავალდებულო საგნად იკითხება 1+4 პროგრამის ფარგლებში.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე. პროგრამამ პირველი აკრედიტაცია გაიარა 2011 წელს.

2019 წლის აკრედიტაციისთვის ცვლილებები შევიდა სილაბუსების თემატიკასა და სტუდენტთა შეფასების სისტემაში. პირველი სემესტრის სასწავლო კურსში „წერა“ შეტანილ იქნა კარნახით წერა, სემესტრის განმავლობაში ორჯერ, რაც აისახა შეფასების სისტემაში. გამდიდრდა მეორე სემესტრის სასწავლო კურსის „ქართული ენის კომუნიკაციური ასპექტები-2“-ის შინაარსი. თემატიკაში შეტანილ იქნა ისეთი ტექსტები, რომლებიც სტუდენტებს მეტ ინფორმაციას მისცემს საქართველოს, ქართული ენისა და

საშელავათო პოლიტიკისეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში

ქართული კულტურის, ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების შესახებ. ყველა საგანში როგორც შუალედური, ისე დასკვნითი გამოცდები ტარდება კომბინირებული ფორმით.

დახვეწისა და სრულყოფის მიზნით პროგრამაში ძირეული ცვლილებები შევიდა ხელახალი აკრედიტაციისთვის მომზადების პროცესში:

პროგრამის მოცულობაა 60 კრედიტი. 55 კრედიტი ეთმობა სავალდებულო სასწავლო კურსებს, 5 კრედიტი - არჩევით კურსებს.

სასწავლო გეგმით, პირველ სემესტრში სტუდენტები გაივლიან ექვს 5-კრედიტიან კურსს (თითოეული კურსი წარმოდგენილია 2 ბლოკად: A და B ბლოკის კურსები. ბლოკებში გადანაწილება ხორციელდება პრეტესტის შედეგების საფუძველზე – შემსწავლელის საწყისი ენობრივი კომპეტენციების მიხედვით განისაზღვრება, თუ რომელ ბლოკში შეძლებს სტუდენტი სწავლის დაწყებას.

A ბლოკი გათვალისწინებულია ქართული ენის ფლობის დაბალი კომპეტენციის მქონე სტუდენტებისთვის, სწავლება ხორციელდება მეტი საკონტაქტო საათის საფუძველზე (კურსი კვირეული 4-საათიანი საკონტაქტო საათით განისაზღვრება); კურსი ინტენსიური სწავლების პრინციპითაა აგებული და უზრუნველყოფს ამ ბლოკის სტუდენტთა ენობრივი კომპეტენციების დაახლოებას B ბლოკის სტუდენტთა კომპეტენციებთან პირველი სემესტრის ბოლოს. B ბლოკი შედარებით მაღალი ენობრივი კომპეტენციის მქონე სტუდენტებზეა გათვლილი (თითოეული კურსი კვირეული 3-საათიანი საკონტაქტო საათით განისაზღვრება); მეორე სემესტრში ხუთი 5-კრედიტიანი სავალდებულო კურსია, რომლებიც შემსწავლელის ენობრივი კომპეტენციების სხვადასხვა მიმართულებით განვითარებას ემსახურება (კითხვა, წერა, ლაპარაკი, ლექსიკა და გრამატიკა, ორთოეპია-მართლწერა);

მეორე სემესტრის სასწავლო პროგრამა მიზნად ისახავს: განსხვავებული ტიპის ტექსტებზე მუშაობას, ენათა კონტაქტების, ენისა და კულტურის, ტოლერანტობის, ინტერკულტურული საკითხების შესწავლას, რაც ასახულია სასწავლო კურსში „ქართული ენის კომუნიკაციური ასპექტები -2“. მეორე სემესტრში შემოღებულ იქნა 5-კრედიტიანი არჩევითი სასწავლო კურსები: „დარგობრივი ლექსიკა“ (ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება), „მრავალფეროვნება და ტოლერანტობა“ (ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება). სასწავლო კურსი „დარგობრივი ლექსიკა“ ბლოკის სახითაა წარმოდგენილი, საიდანაც სტუდენტი ირჩევს მისთვის სასურველ ერთ-ერთს. ბლოკის სასწავლო კურსები ითვალისწინებს სხვადასხვა დარგის (მაგ., ბიზნესი, ეკონომიკა, განათლება და ა.შ.) ლექსიკის, ტერმინოლოგიისა და სპეციფიკური კონსტრუქციების შესწავლას, რომლებსაც ირჩევენ სტუდენტები უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის საფეხურზე. სასწავლო კურსი „მრავალფეროვნება და ტოლერანტობა“ ინტერკულტურული დისციპლინაა და საგნის ინტეგრირებული სწავლების პრინციპებს ეფუძნება (კურსი შემუშავდა ეუთოს ეუუკ-ის პროექტის „საქართველოს ახალგაზრდობის მრავალფეროვნებისა და ტოლერანტობისათვის მომზადება“ ფარგლებში).

საშელავათო პოლიტიკის ეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში

პირველი აკრედიტაციის შემდეგ განხორციელდა ღონისძიებები სწავლისა და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N 111 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ–ს ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად, ცვლილებები შევიდა სასწავლო კურსების სილაბუსებში შეფასების სისტემასთან დაკავშირებით, ამასთან, დაკონკრეტდა გამოყენებული სწავლა/სწავლებისა და შეფასების მეთოდები, რომელთა საფუძველიც იყო მინისტრის N3 ბრძანება.

* * *

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (აზერბაიჯანულენოვანთათვის / სომხურენოვანთათვის / აფხაზურენოვანთათვის / ოსურენოვანთათვის) აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხორციელდება 2012 წლიდან (აკრედიტაციის გადაწყვეტილების №346, 06.09.2012). ამ დროის განმავლობაში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მოთხოვნათა შესაბამისად პროგრამაში პერიოდულად აისახებოდა ცვლილებები, თუმცა იგი საგრძნობლად შეიცვალა ხელახლა აკრედიტირებულ პროგრამაში. ეს შეეხო როგორც რაოდენობრივ, ისე შინაარსობრივ მხარეს. კერძოდ:

- დაიხვეწა შეფასების კრიტერიუმები;
- სწავლის შედეგების უკეთ მიღწევის მიზნით 20-კრედიტიანი „ქართული ენა-1“ და 15 კრედიტიანი „ქართული ენა-2“ დაიყო 5-5 კრედიტიან სასწავლო კურსებად. კრედიტების რაოდენობასთან შესაბამისობაში მოვიდა სასწავლო კურსების შინაარსიც;
- კრედიტების გადანაწილების შედეგად პროგრამაში მოიმატა საგნების რაოდენობამ და პროგრამის სასწავლო გეგმა წარმოდგენილია 4, 5 და 6 კრედიტიანი სასწავლო კურსებით. ესენია: 1. „ლექსიკა და დარგის ტერმინოლოგია“ (6 კრედიტი), 2. „წერითი და ზეპირი მეტყველების სტრატეგიები“, 3. „ფუნქციური წერა“, 4. პროგრამას დაემატა ახალი სასწავლო კურსი „ტოლერანტობა და მრავალფეროვნება“ (4 კრედიტი), რომლის მიზანია ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების აღქმისა და მრავალფეროვან გარემოში ადაპტირების უნარის გამომუშავება და სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება (კურსი შემუშავდა ეუთოს ეუუკ-ის პროექტის „საქართველოს ახალგაზრდობის მრავალფეროვნებისა და ტოლერანტობისათვის მომზადება“ ფარგლებში).
- ენის ფლობის დონის ასახვის მიზნით პროგრამაში გამოიყო A და B ბლოკის სასწავლო კურსები, შესაბამისად, განისაზღვრა პრეტესტის საფუძველზე სტუდენტთა დაყოფა A და B ჯგუფებად. A ბლოკის სასწავლო კურსები ინტენსიური სწავლების სტრატეგიითაა აგებული და უზრუნველყოფს ამ ჯგუფის სტუდენტთა ენობრივი კომპეტენციების დაახლოებას B ჯგუფის სტუდენტთა

საშელავათო პოლიტიკის ეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში

კომპეტენციებთან I სემესტრის ბოლოს. II სემესტრში სტუდენტთა ორივე ჯგუფისათვის განსაზღვრულია 6 სავალდებულო კურსი.

პროგრამაში 60 კრედიტი მხოლოდ სავალდებულო სასწავლო კურსებს ეთმობა. აქედან 30 კრედიტი – I სემესტრში, ხოლო 30 კრედიტი – II-ში.

პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის მიერ დამუშავდა არსებული სილაბუსები და მომზადდა ახალი სასწავლო კურსები. საბიბლიოთეკო ფონდი შეივსო და განახლდა სასწავლო კურსების შესაბამისი ლიტერატურით (სახელმძღვანელოებითა და რიდერებით).

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამამ გაიარა შიდა და გარე შეფასება.

2019 წლის სექტემბრიდან საპილოტე რეჟიმში ამოქმედდა განახლებული პროგრამა. ამჟამად პროგრამაზე ირიცხება 12 აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტი.

2019 წლის 13 დეკემბერს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა წარდგენილ იქნა განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის სააკრედიტაციო კომისიის წინაშე და გაიარა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

* * *

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება 2007 წლიდან, როდესაც აღნიშნული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ჩამოყალიბდა საქართველოს მთავრობის 2007 წლის 22 აგვისტოს N176 დადგენილებით სსიპ – გორის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სსიპ – ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეორგანიზაცია - გაერთიანების გზით. უკანასკნელად საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცია განხორციელდა 2014 წელს (აკრედიტაციის საბჭოს 2014 წლის 04 დეკემბრის N245 გადაწყვეტილება).

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების ფორმაა - დასწრებული სწავლება. პროგრამის ხანგრძლივობაა 1 აკადემიური წელი (2 სემესტრი), ხოლო მოცულობა - 60 ECTS კრედიტი. ერთი სემესტრი მოიცავს 19 სასწავლო კვირას. სტუდენტის საშუალო წლიური დატვირთვა შეადგენს 60 კრედიტს (სემესტრში 30 კრედიტი).

2014-2018 წლებში განხორციელებული ცვლილებები:

- აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაციების შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმას დაემატა სპეციალობის არჩევითი კურსი, „ტოლერანტობა და მრავალფეროვნება“;
- „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებაში შეტანილი იმ ცვლილებების გათვალისწინებით, რომელიც ძალაში შევიდა 2016 წლის პირველი სექტემბრიდან, პროგრამის სასწავლო

საშელავათო პოლიტიკისეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში

კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული სწავლა-სწავლების მეთოდები და შეფასების კრიტერიუმები, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები, აგრეთვე სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა მოყვანილ იქნა შესაბამისობაში ზემოაღნიშნულ ცვლილებებთან;

- პროგრამის შიდა საუნივერსიტეტო შეფასების რეკომენდაციის შესაბამისად, განხორციელდა პროგრამისათვის საჭირო ბაზის გაძლიერება თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით.

2019 წელს განხორციელებული ცვლილებები:

- პროგრამის სასწავლო კურსი „ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები (მოსმენა)“ ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: „ქართული ენის სამეტყველო უნარები (მოსმენა)“;
- პროგრამის სასწავლო კურსი „ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები (კითხვა)“ ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: „ქართული ენის სამეტყველო უნარები (კითხვა)“;
- პროგრამის სასწავლო კურსი „ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები (ლაპარაკი)“ ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: „ქართული ენის სამეტყველო უნარები (ლაპარაკი)“;
- პროგრამის სასწავლო კურსი „ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები (წერა)“ ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: „ქართული ენის სამეტყველო უნარები (წერა)“;
- მოხდა პროგრამის 10-კრედიტიანი სასწავლო კურსის: „ენის კომუნიკაციური ასპექტები 1“ და „ენის კომუნიკაციური ასპექტები 2“ გამსხვილება და ჩამოყალიბდა 5 კრედიტის სახით, ხოლო გამოთავისუფლებული 5 კრედიტი დაეთმო სასწავლო კურსს: „მრავალფეროვნება და ტოლერანტობა“.
- პროგრამის განხორციელების შიდა საუნივერსიტეტო შეფასების რეკომენდაციის შესაბამისად პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბდა გამსხვილებული სახით;
- პერმანენტულად ხორციელდება სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სახელმძღვანელოებისა და სხვა სასწავლო მასალის განახლება.

ქართული ფილოლოგიის მიმართულების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს სხდომის 2019 წლის 27 მარტის ოქმი N1 დანართი N2-თ დამტკიცებული დარგობრივი მახასიათებლის საფუძველზე ეროვნული თავდაცვის აკადემიის „ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა“-ში შევიდა შემდეგი ცვლილებები:

1. ქართულ ენაში ჩატარებული წინასწარი გამოცდის საფუძველზე, საწყისი ენობრივი კომპეტენციების განსაზღვრის შედეგად (ოთხივე მიმართულებით), მოხდება არაქართულენოვან სტუდენტთა გადანაწილება სხვადასხვა დონის (A და B ბლოკების) ჯგუფებში, ამ მიზნით მომზადდა შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსები.

2. ქართულ ენაში მომზადების პროგრამაში აუცილებელ კომპონენტად უნდა განიხილებოდეს ინტერკულტურული და სწავლის კომპეტენციები, რომლებიც

საშელავათო პოლიტიკისეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში

ითვალისწინებენ საკუთარი პოზიციის ეთიკური ნორმების დაცვით ჩამოყალიბებას, კულტურული განსხვავებულობის აღქმისა და სხვა კულტურათა პატივისცემის უნარს. შესაბამისად სასწავლო კურსი „წერიტი მეტყველება“ გაძლიერდა და ისწავლება სწავლების პირველ სემესტრში, ხოლო მეორე სემესტრში დაემატა სასწავლო კურსი „მრავალფეროვნება და ტოლერანტობა“ (ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება), რომელიც ითვალისწინებს ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებს.

საგანმანათლებლო პროგრამის ახალი სტრუქტურით, შემდეგი კურსებია გათვალისწინებული: ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი); ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა, ქართული ენის კომუნიკაციური ასპექტები; ქართული წერიტი მეტყველების პრაქტიკული კურსი, ფუნქციური წერა; მრავალფეროვნება და ტოლერანტობა; ქართული ენის ლექსიკა და სამხედრო ტერმინოლოგია.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების უმრავლესობამ მნიშვნელოვნად შეცვალა საკუთარი პროგრამა დაგროვილი გამოცდილებიდან და ჩატარებული კვლევების შედეგებიდან გამომდინარე, ამ ცვლილებებს აქვთ საერთო მახასიათებლებიც, რომლებიც თითქმის ყველა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში განხორციელდა, კერძოდ: (ა) ენობრივი კომპეტენციების საფუძველზე, ორი განსხვავებული ბლოკის (A და B) ამუშავება პირველ სემესტრში განსხვავებული საათობრივი დატვირთვითა და ინტენსივობით; (ბ) ინტერკულტურული კომპეტენციების განვითარებაზე ორიენტირებული კურსის დამატება სასწავლო პროგრამაში; (გ) საბაკალავრო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, სტუდენტის უკეთ მომზადებისთვის არჩევითი დარგობრივი კურსის შეთავაზება მეორე სემესტრიდან; (დ) სილაბუსებში ინტერაქციული სწავლების მეთოდებზე და სწავლებისას კლასგარეშე აქტივობების ჩართვაზე აქცენტირება; (ე) სხვადასხვა კლასგარეშე პროგრამისა და მხარდამჭერი ცენტრების ამუშავება; (ვ) მასწავლებელთათვის პროფესიული განვითარების პროგრამების შეთავაზება; (ზ) სასწავლო რესურსებისა და პროგრამის ბიბლიოთეკის გამდიდრება

თავი 4. 2010-2019 წლებში კვოტირების სისტემის შემოღების შემდეგ არსებული სიტუაცია

2010-2019 წლებში ქართული ენის ერთწლიან პროგრამაზე სულ ჩაირიცხა 5510 აზერბაიჯანულენოვანი და 2653 სომხურენოვანი აბიტურიენტი. ჩარიცხულ სტუდენტთა საერთო რაოდენობამ შეადგინა 8163. საკმაოდ მაღალია აზერბაიჯანულენოვან აბიტურიენტთა რეგისტრაციის მაჩვენებელი, რაც 11 755 შეადგენს, თუმცა საატესტატო გამოცდების ბარიერის გამო, რეალურად გამოცდაზე გამსვლელთა რაოდენობა მხოლოდ 9555 აბიტურიენტია, რომელთაგან 6563-მა გადალახა მინიმალური ბარიერი.

რაც შეეხება სომხურენოვან აბიტურიენტებს, დარეგისტრირებულ აბიტურიენტთა რაოდენობამ 4362 შეადგინა, რომელთაგან 3673 გავიდა გამოცდაზე და 2851-მა გადალახა მინიმალური ზღვარი.

დეტალური ინფორმაცია წლების მიხედვით დარეგისტრირებულ გამოცდაზე გასულ, ზღვარდაძლეული და ჩარიცხული აბიტურიენტების შესახებ 2010-2019 წლებში მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილებში:

ცხრილი 8. აზერბაიჯანულენოვან დარეგისტრირებულთა, გამოცდაზე გასულთა და სწავლის გაგრძელების უფლების მოპოვების მაჩვენებელი 2010-2019 წლებში

წელი	აზერბაიჯანულენოვანი დარეგისტრირებულები	გამოცდაზე გავიდა	ზღვარი გადალახა	მოიპოვა სწავლის გაგრძელების უფლება ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე
2010	335	303	194	178
2011	377	351	262	250
2012	579	541	407	386
2013	1189	1083	737	704
2014	834	742	479	456
2015	1181	888	556	522
2016	1610	1121	717	660
2017	1703	1203	727	673
2018	1866	1438	1166	788
2019	2081	1887	1318	893
სულ:	11755	9557	6563	5510

**საშელავათო პოლიტიკისეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს
უმადლესი განათლების სისტემაში**

ცხრილი 9. სომხურენოვან დარეგისტრირებულთა, გამოცდაზე გასულთა და სწავლის გაგრძელების უფლების მოპოვების მაჩვენებელი 2010-2019 წლებში

წელი	სომხურენოვანი დარეგისტრირებული	გამოცდაზე გავიდა	ზღვარი გადალახა	მოიპოვა სწავლის გაგრძელების უფლება ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე
2010	253	188	137	123
2011	277	238	188	179
2012	290	262	207	198
2013	270	248	190	186
2014	345	307	219	217
2015	427	355	244	219
2016	535	435	345	300
2017	658	506	388	373
2018	664	561	474	422
2019	643	573	459	436
სულ:	4362	3673	2851	2653

თუკი სტატისტიკას დინამიკაში განვიხილავთ, თვალსაჩინოა რამდენიმე ტენდენცია: (1) 2013 წელს, როცა საატესტატო გამოცდები ცენტრალიზებულად არ ჩატარდა და სკოლებს მიეცათ შეფასების შესაძლებლობა, ხასიათდებოდა როგორც დარეგისტრირებულთა, აგრეთვე გამოცდებზე გასულთა მკვეთრი ზრდით აზერბაიჯანულენოვან აბიტურიენტებში, თუმცა ეს ვერ აისახა ჩარიცხულთა რაოდენობის ზრდაზე; (2) 2014 წლიდან 2019 წლამდე მკვეთრი ზრდა არის დაფიქსირებული სომხურენოვან აბიტურიენტებში. 2010-2013 წლებში რაოდენობის ზრდა არ აღინიშნებოდა, ხოლო 2014-დან 2017 წლების პერიოდში რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა, რაც შესაძლებელია ამ მიზნობრივ ჯგუფზე წარმოებული საინფორმაციო კამპანიის შედეგი იყოს; 3) აზერბაიჯანულენოვან აბიტურიენტებში დარეგისტრირებულ და გამოცდაზე გასულთა შორის დიდი განსხვავება - დარეგისტრირებულ აზერბაიჯანულენოვან აბიტურიენტთა 18,7% აღარ/ვეღარ გავიდა გამოცდაზე 2010-2019 წლებში.

**საშელავათო პოლიტიკისეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს
უმადლესი განათლების სისტემაში**

**4.1. სტუდენტთა გადანაწილება უმაღლეს საგანმანათლებლო
დაწესებულებების მიხედვით**

2010-2019 წლებში კვოტირების სისტემით ჩარიცხულ სტუდენტთა გადანაწილება იძლევა საინტერესო სურათს. სტუდენტების აბსოლუტური უმრავლესობა 5 უნივერსიტეტში ნაწილდება: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ), ილიას უნივერსიტეტი (ილიაუნი), საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (სტუ), თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი (თსმუ) და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი (სჯსუ). ამათგან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ცალსახა ლიდერია სტუდენტთა რაოდენობის მიხედვით და კვოტირებული სტუდენტების 42% სწორედ ამ უნივერსიტეტს ირჩევს სასწავლებლად, ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია დეტალური ინფორმაცია 2010-2019 წლებში უნივერსიტეტების მიხედვით სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ:

ცხრილი 10. ჩარიცხულ აბიტურიენტთა გადანაწილება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიხედვით 2010-2019 წლებში.

უმადლესი საგანმანათლებლო დაწესებულება	წელი											სულ	%
	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019			
თსუ	177	304	367	337	314	309	342	387	438	455	3430	42%	
ილიას უნივერსიტეტი	7	5	58	214	114	140	229	183	244	262	1456	17.80%	
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	22	29	31	180	123	172	224	255	276	294	1606	19.70%	
თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტი	20	40	50	67	52	52	67	89	87	84	608	7.50%	
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	30	42	38	48	54	52	55	97	102	87	605	7.40%	
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	10	4	18	22	5	8	16	27	34	88	232	2.80%	
სხვა უნივერსიტეტები	35	5	22	22	11	8	27	8	29	59	226	2.80%	
სულ	301	429	584	890	673	741	960	1046	1210	1329	8163	100.00%	

ცხრილიდან თვალსაჩინოა გარკვეული დინამიკაც: (1) უნივერსიტეტების მიხედვით სტაბილური მაჩვენებელი აქვს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს სტუდენტთა რაოდენობის მიღების თვალსაზრისით. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის სამედიცინო სახელმწიფო უნივერსიტეტი იმაზე ნაკლებ სტუდენტს იღებს ვიდრე

საშელავათო პოლიტიკის ეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში

გამოყოფილი კვოტების რაოდენობა; (2) კვოტირების სისტემის შემოღების საწყის ეტაპზე დაბალი მიღება ჰქონდათ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს და მათი დინამიკა მკვეთრად გაიზარდა და ისინი ამჟამად იღებენ სტუდენტთა საკმაოდ დიდ რაოდენობას; (3) კერძო უნივერსიტეტები ფაქტობრივად ჩართულები არ არიან კვოტირების სისტემის პროცესში იშვიათი გამონაკლისის გარდა, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია და კერძო სექტორის მონაწილეობა ბევრად ეფექტურს გახდის სისტემას, როგორც განათლების ხარისხის თვალსაზრისით აგრეთვე კერძო სექტორის გაძლიერების თვალსაზრისითაც და 2020 წლიდან ახალი აკრედიტაციის შედეგად ჩართული კერძო უსდ-ი მნიშვნელოვანი ცვლილებას კვოტირების სისტემის ეფექტურობისთვის; (4) რეგიონალური სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ნაკლებად არიან ჩართულები კვოტირების სისტემის პროცესში (გარდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისა), არადა მათთვის გამოყოფილი კვოტირებული ადგილების რაოდენობა საკმაოდ დიდია და აუთვისებელი რჩება.

უნივერსიტეტების მიხედვით სტუდენტთა გადანაწილების კონტექსტში საინტერესო სურათი იკვეთება სომხურენოვან და აზერბაიჯანულენოვან სტუდენტებში ცალ-ცალკე და აქ გამოკვეთილი ტენდენციების ანალიზი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შესაძლებლობას მისცემს რეკრუტირების სწორი პოლიტიკის საწარმოებლად.

ცხრილი 11. სომხურენოვანი სტუდენტების გადანაწილება უნივერსიტეტების მიხედვით 2010-2019 წლებში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	სულ	%
თსუ	62	110	125	101	113	116	160	181	203	211	1382	52.10%
ილიას უნივერსიტეტი	3	3	7	10	7	18	38	36	52	69	243	9.10%
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	7	8	8	10	24	18	16	17	23	28	159	6%
თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტი	6	14	8	14	14	15	25	39	38	35	208	7.80%
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	30	42	38	48	54	52	55	97	102	87	605	22.80%
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	2	0	2	0	0	0	0	0	0	0	4	0.15%
სხვა უნივერსიტეტები	13	2	10	3	5	0	6	3	4	6	52	1.05%
სულ	123	179	198	186	217	219	300	373	422	436	2653	100.00%

სომხურენოვანი სტუდენტების უნივერსიტეტების მიხედვით გადანაწილება გარკვეული ინფორმაციის მატარებელია: (1) ნათელს ჰყენს სტუდენტების ცალსახა პრიორიტეტს. სომხურენოვან სტუდენტთა 52% თბილისის ივანე ჯავახიშვილის

**საშელავათო პოლიტიკისეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს
უმაღლესი განათლების სისტემაში**

სახელმწიფო უნივერსიტეტს ირჩევს, რაც ცალსახად მიუთითებს ამ ჯგუფის პრეფერენციებს უნივერსიტეტების არჩევანში; (2) მეორე მნიშვნელოვანი არჩევანი სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტია, რაც ტერიტორიული ფაქტორითაა განპირობებული, რაც შეეხება ტექნიკური უნივერსიტეტისა და ილიას უნივერსიტეტის არჩევანს, ის ნაკლებად თვალსაჩინოა სომხურენოვან სტუდენტებში, ოდნავ უმჯობესი, თუმცა ანალოგიური ვითარებაა სამედიცინო უნივერსიტეტთან მიმართებითაც; (3) სომხურენოვანი სტუდენტებიც ნაკლებად ირჩევენ კერძო ან რეგიონალურ უნივერსიტეტებს; (4) კიდევ ერთი სპეციფიკური მახასიათებელი აქვს სომხურენოვან აბიტურიენტებს, მათი რაოდენობა შედარებით დაბალია აზერბაიჯანულენოვანთან შედარებით და ზრდის ტენდენცია ნაკლებად შეიმჩნეოდა 2010-2014 წლებში, თუმცა ეს ვითარება იცვლება 2015 წლიდან და სომხურენოვანი აბიტურიენტების და სტუდენტების რაოდენობაც მზარდ ტენდენციას ამჟღავნებს 2018 წლამდე.

აზერბაიჯანულენოვან სტუდენტებსაც რამდენიმე მნიშვნელოვანი მახასიათებელი აქვთ; (1) მეტ-ნაკლებად პროპორციული გადანაწილება 4 დიდ სახელმწიფო უნივერსიტეტში; (2) აბიტურიენტთა და ჩარიცხულ სტუდენტთა მზარდი რაოდენობა; (3) 2013 წელს როგორც აბიტურიენტების, ასევე, ჩარიცხულ სტუდენტთა ყველაზე დიდი რაოდენობა, რაც, სავარაუდოდ, გამოწვეული იყო 2013 წელს საატესტატო გამოცდების სკოლების მიერ ადმინისტრირებით: მეტმა სკოლის კურსდამთავრებულმა შეძლო ატესტატის აღება, ხოლო სხვა წლებში საატესტატო გამოცდები გახლდათ ერთგვარი დაბრკოლება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩასაბარებლად. ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში დეტალური ინფორმაციაა მოცემული აზერბაიჯანულენოვანი აბიტურიენტების გადანაწილების შესახებ წლებისა და უნივერსიტეტების მიხედვით:

ცხრილი 12. აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტების გადანაწილება უნივერსიტეტების მიხედვით 2010-2019 წლებში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	სულ	%
ოსუ	115	194	242	236	201	193	182	206	235	244	2048	37.20%
ილიას უნივერსიტეტი	4	2	51	204	107	122	191	147	192	193	1213	22%
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	15	21	23	170	99	154	208	238	253	266	1447	26.30%
თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტი	14	26	42	53	38	37	42	50	49	49	400	7.30%
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0.00%
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	8	4	16	22	5	8	16	27	34	88	228	4.10%
სხვა უნივერსიტეტები	22	3	12	19	6	8	21	5	25	53	174	3.10%
სულ:	178	250	386	704	456	522	660	673	788	893	5510	100.00%

4.2. პროგრამებს შორის გაღაღაწილება

კვლევის ფარგლებში ჩვენ გამოვიკვლიეთ ვითარება 1+4 პროგრამის სტუდენტებში. ანუ ღავინტერესდით, თუ რა ფაკულტეტები და პროგრამები დაამთავრეს ამ პროგრამის მონაწილეებმა 2015-2019 წლებში. მონაცემების ანალიზმა არაქართულენოვან სტუდენტებში აჩვენა, რომ ყველაზე პოპულარული მიმართულება 1+4 პროგრამის სტუდენტებისთვის ჰუმანიტარული და ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამებია (ჰუმანიტარული ფაკულტეტი-თსუ 23,2%, ილიას უნივერსიტეტი 33,3%, სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტი 22,80%). რაც შეეხება ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტს ის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია ტექნიკურ უნივერსიტეტის სტუდენტებშიც კი (ბიზნესის ადმინისტრირების (თსუ-ს კურსდამთავრებულთა 20.45%, ილიაუნის - 29%; სამცხე-ჯავახეთის - 48%; ტექნიკური უნივერსიტეტის - 38%). პოპულარულია, თუმცა ზემოჩამოთვლილ ორ ფაკულტეტთან მიმართებით ნაკლებად მიმზიდველია იურიდიული და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტები. მაგალითად, იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა თსუ-ს 1+4 პროგრამის კურსდამთავრებულთა - 14,2%-მა, ილიაუნის-10.8%-მა, ხოლო სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის - 9.8%-მა. ანალოგიური ვითარებაა სოციალური და პოლიტიკური მეცნიერების ფაკულტეტზე.

საინტერესოა 1+4 პროგრამის სტუდენტებში ჰუმანიტარული მეცნიერების მიმართულების პოპულარობა. თუ ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებს კიდევ დეტალურად ჩავშლით, თვალსაჩინოა, რომ ქართული ფილოლოგია გახლავთ ყველაზე პოპულარული. შეიძლება გამოვთქვათ ვარაუდი, რომ ქართული ფილოლოგია ასოცირდება ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის პროფესიასთან და ამ მიმართულებით დასაქმების პერსპექტივასთან. ანუ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ განათლების მიმართულება პოპულარულია 1+4 პროგრამის კურსდამთავრებულებში, თუმცა მათ არ აქვთ სრული ინფორმაცია მასწავლებლის პროფესიაში შესასვლელად საჭირო კვალიფიკაციის შესახებ და ქართული ფილოლოგია მიაჩნიათ მართებულ გზად განათლების მეცნიერების მიმართულების ნაცვლად. ქართული ფილოლოგიის პროგრამის კურსის დამთავრება ვერ იძლევა მასწავლებლის პროფესიაში შესვლის შესაძლებლობას განათლების მაინორ პროგრამის გავლის შემთხვევაშიც კი. შესაბამისად, ეს მცდარი და არაინფორმირებული არჩევანი პრობლემატურია 1+4 პროგრამის კურსდამთავრებულებისთვის. ვარაუდს, რომ ქართული ფილოლოგიის არჩევანი მასწავლებლის პროფესიის პოპულარობითაა გამოწვეული, ადასტურებს კიდევ ერთი ფაქტი: 2015 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა განათლების და ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე მულტილინგვური განათლების პროგრამა და ამ პროგრამაზე 1+4 პროგრამის მონაწილეთა დაახლოებით 10% აკეთებს არჩევანს. მასწავლებლის პროფესიის არჩევანი განსაკუთრებით აქტუალურია, თუკი გავანალიზებთ დასაქმების ბაზრის შესაძლებლობებს და სკოლას, როგორც დამსაქმებელს და ამ თვალსაზრისით არსებულ პრობლემებსა და გამოწვევებს, რაზეც დეტალური საუბარი ქვემოთ გვექნება.

**საშელავათო პოლიტიკის ეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს
უმალესი განათლების სისტემაში**

წარმოგიდგენთ ცხრილებს, რომლებიც დეტალურად აღწერს არსებულ ვითარებას კურსდამთავრებულთა მიერ პროგრამების არჩევის შესახებ.

ცხრილი 13. კურსდამთავრებულები უნივერსიტეტებისა და პროგრამების მიხედვით 2015-2019 წლები - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (EMIS-ის მონაცემები)

უსდ/პროგრამა	კვალიფიკაციის მინიჭების წელი					
	2015	2016	2017	2018	2019	სულ
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი			1	2	2	5
მშენებლობა				1		1
სამართალი				1		1
სოციალური მეცნიერებები					1	1
ქართული ენა და ლიტერატურა			1		1	2
სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი					1	1
ბიზნესის ადმინისტრირება					1	1
სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია			2	2	2	6
ინფორმატიკა			1	1	2	4
მენეჯმენტი			1	1		2
სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია				1	1	2
არქიტექტურა					1	1
ინტერიერის დიზაინი				1		1
სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი			7	19	33	59
დიპლომირებული მედიკოსი				11	26	37
დიპლომირებული სტომატოლოგი			6	4	5	15
ფარმაცია			1	2	2	5
ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია				2		2
სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი		1	2	2		5
ინგლისური ენა და ლიტერატურა			1			1
მათემატიკა		1				1
ქართული ენა და ლიტერატურა			1	2		3
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	12	64	90	110	125	401
ამერიკისმცოდნეობა			3	1	1	5
არაბისტიკა			1		2	3
არმენოლოგია			2	2	1	5
ბიზნესის ადმინისტრირება	7	14	16	22	23	82

საშელავათო პოლიტიკის ეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში

გეოგრაფია		4	4	2	1	11
დაწყებითი განათლება		1		1	1	3
ეკონომიკა		4	5	4	5	18
ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია			1			1
ესპანური ფილოლოგია			1			1
თურქოლოგია		3				3
ინგლისური ფილოლოგია		1	5	6	12	24
ირანისტიკა			1			1
ისტორია			1	1	1	3
კავკასიოლოგია (რუსულენოვანი)				2	3	5
კავკასიოლოგია (ქართულენოვანი)			2	6	1	9
კომპიუტერული მეცნიერება		1	1		3	5
მათემატიკა		1	5	4	3	13
მედიცინა (ქართულენოვანი)				13	17	30
მულტილინგვური განათლება (დაწყებითი განათლების საფეხური)					12	12
პოლიტიკის მეცნიერება				1	1	2
ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია			1	1	2	4
ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია (ქართული რუსულენოვანი კომპონენტებით)		1				1
რუსული ფილოლოგია (რუსულენოვანი)		1		1	1	3
რუსული ფილოლოგია (ქართულენოვანი)			1	1	2	4
საერთაშორისო სამართალი		1	1	1		3
საერთაშორისო ურთიერთობები		2	10	6	6	24
სამართალი	5	16	8	16	9	54
სტომატოლოგია			4	6	8	18
ტურიზმი		4	5	6	2	17
ფიზიკა					1	1
ფილოსოფია		1				1
ფსიქოლოგია			1			1
ქართული ფილოლოგია		9	10	7	7	33
ქიმია			1			1
სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი		1	16	57	64	138
ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი, საბანკო და საფინანსო საქმე, ტურიზმი) (ძირითადი სპეციალობები)			5	10	17	32
დაწყებითი სკოლის პედაგოგიკა (ძირითადი სპეციალობა), სკოლამდელი აღზრდა (დამატებითი სპეციალობა)				2	2	4

**საშელავათო პოლიტიკისეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს
უმადლესი განათლების სისტემაში**

დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები (გეოგრაფია და GIS ტექნოლოგიები, გეოლოგია, გეოფიზიკა) (ძირითადი სპეციალობები)				2	1	3
ინფორმატიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)			2	6		8
მათემატიკა(ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)			1	2	4	7
საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: ფიზიკა, ბიოლოგია, ეკოლოგია (ძირითადი და დამატებითი სპეციალობები)				3	2	5
საერთაშორისო ურთიერთობები: ევროპა და ახლო აღმოსავლეთი (ძირითადი სპეციალობა)					2	2
სამართალი				5	10	15
სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)				1		1
სოციალური მეცნიერებები: პოლიტიკის მეცნიერება, სოციოლოგია, ფსიქოლოგია, ევროპისმცოდნეობა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობები)			2	8	5	15
ჰუმანიტარული მეცნიერებები (ძირითადი და დამატებითი სპეციალობები: ანგლისტიკა, გერმანისტიკა, ესპანისტიკა, საფრანგეთისმცოდნეობა, იტალიისმცოდნეობა, სლავისტიკა, აღმოსავლეთმცოდნეობა, ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, კინომცოდნეობა, ლიტერატურათმცოდნეობა)		1	6	18	21	46
სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	15	23	22	30	33	123
ბიზნესის ადმინისტრირება	11	11	12	21	4	59
დაწყებითი განათლება	1	2		1	2	6
ეკონომიკა					8	8
ინგლისური ფილოლოგია	3	1	1	1	4	10
ინფორმაციული ტექნოლოგიები		1	1		2	4
ისტორია			1		1	2
სამართალი		2	1	3	6	12
საჯარო მმართველობა					6	6
ქართული ფილოლოგია		6	6	4		16
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	1	8	13	66	11	99
არქიტექტურა				1	4	5
ბიზნესის ადმინისტრირება		1	3	9	2	15
ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა				1		1
ბიზნესის სამართალი		1	1			2
ეკონომიკა				18	2	20

**საშელავათო პოლიტიკისეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს
უმალესი განათლების სისტემაში**

ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია				1		1
ინფორმატიკა		4	5	3	1	13
მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკა				4		4
მშენებლობა		1	2	3		6
საბანკო და საფინანსო ტექნოლოგიები				1		1
საერთაშორისო ურთიერთობები	1			4	1	6
საერთაშორისო ურთიერთობები (რუსულენოვანი)				1		1
სამართალი			1	11	1	13
სამთო და გეოინჟინერია				1		1
ტრანსპორტი				3		3
ფარმაცია		1	1	5		7
სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	1	1	7	6	3	18
ბიზნესის ადმინისტრირება			1	1		2
ეკონომიკა			2			2
ისტორია			1			1
კომპიუტერული ტექნოლოგიები			1			1
მათემატიკა				1		1
საერთაშორისო ურთიერთობები			1			1
სამართალი		1		2	3	6
ქართული ფილოლოგია	1			2		3
ქიმია			1			1
სულ	29	98	160	295	275	857

4.3. დამთავრების დაბალი მაჩვენებელი

სტატისტიკური მონაცემების ანალიზმა აჩვენა: მიუხედავად იმისა, რომ კვოტირების სისტემის შედეგად მკვეთრად გაიზარდა ჩაბარების მსურველთა რაოდენობა, ისევე, როგორც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა, უნივერსიტეტის დამთავრების მაჩვენებელი არის საკმაოდ დაბალი. ეს სტატისტიკა მიუთითებს, რომ საბაკალავრო დონეზე ჩარიცხულ სტუდენტებს გააჩნიათ გარკვეული პრობლემები, რაც ზოგიერთ შემთხვევაში ფინანსურ პრობლემებს და ზოგიერთ შემთხვევაში ენობრივ ან აკადემიურ მოუძნალებლობას უკავშირდება. ამის გამომწვევი მიზეზების დასადგენად ყველა უნივერსიტეტში ჩატარდა ბაკალავრიატის სტუდენტების ფოკუსჯგუფები, სადაც გამოვკვეთეთ საბაკალავრო დონეზე წარმოჩენილი პრობლემები, რაც ხელს უშლის მათ ბაკალავრიატში სწავლასა და პროგრამის დასრულებაში. ფოკუსჯგუფების დისკუსიის შედეგებს დეტალურად მომდევნო თავებში განვიხილავთ, ხოლო აქ გავანალიზებთ ბაკალავრიატის დასრულების მაჩვენებლებს.

**საშელავათო პოლიტიკისეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს
უმალესი განათლების სისტემაში**

კვოტირების სისტემის შედეგად პირველად უნივერსიტეტებში ჩაირიცხნენ 2010 წელს, შესაბამისად 1+4 პროგრამის პირველი კურსდამთავრებულები 2015 წელს გაჩნდნენ. შესაბამისად საინტერესო იყო შეგვედარებინა უნივერსიტეტების მიხედვით 2010-2014 წლებში ჩარიცხულ სტუდენტთა სტატისტიკა 2015-2019 წლებში ბაკალავრიატდამთავრებულთა სტატისტიკასთან. სტატისტიკა აჩვენებს, რომ დაახლოებით 30%-მა დაამთავრა ბაკალავრიატი 1+4 პროგრამის სტუდენტებისგან. ამათგან დამთავრების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტში ფიქსირდება და ის 58% აღწევს, ხოლო სხვა უნივერსიტეტებში ეს მაჩვენებელი 25-35% მერყეობს. სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტში არსებული მაჩვენებელი რამდენიმე მიზეზით შეიძლება აიხსნას: (1) ნაკლები ფინანსური პრობლემები, რადგან უნივერსიტეტი საცხოვრებელ ადგილთანაა და სწავლასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯები ნაკლებია; (2) ნაცნობი კულტურული გარემო, რაც აისახება უფრო ინტეგრირებულ აკადემიურ და სტუდენტურ გარემოსთან; (3) ლექტორთა მაღალი მგრძობელობა სტუდენტთა საჭიროებებისადმი; (4) შეფასების შედარებით ლიბერალური სისტემა. ეს ფაქტორები უფრო დეტალურად იქნება განხილული ფოკუსჯგუფების დისკუსიის ანალიზის თავში. ქვემოთ წარმოგიდგენთ ცხრილს, სადაც დეტალური ინფორმაციაა წარმოდგენილი ამ მიმართულებით:

ცხრილი 14. 2010-2014 წლებში ჩარიცხულთა დამთავრების მაჩვენებელი

უსდ/პროგრამა	2015-2019 კურსდამთავრებულები	2010-2014 ჩამბარებულთა რაოდენობა	%
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	401	1499	26.70%
სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	138	398	34.70%
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	99	385	25.70%
სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	59	229	25.70%
სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	123	212	58%
სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	18	59	30.50%
სხვა უნივერსიტეტები	19	95	20%
სულ	857	2877	29.80%

4.4. გრანტის გაცემის მაჩვენებელი დინამიკაში და პროპორციებით გამოწვეული უთანასწორობა

2010 წლიდან დღემდე სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი აბიტურიენტებისთვის გამოყოფილია კვოტა საერთო ადგილების 5%-ის ოდენობით თითოეულისთვის. ამასთანავე, განისაზღვრა საგრანტო დაფინანსებაც, რომელიც ყოველწლიურად პრემიერ-მინისტრის ბრძანებით განისაზღვრება და თითოეული ამ ჯგუფის სტუდენტებისთვის არ აღემატება 100 გრანტირებულ სტუდენტს, ანუ სომხურენოვან და აზერბაიჯანულენოვან სტუდენტებს ადგილების ერთნაირი რაოდენობა აქვთ გამოყოფილი კვოტირების შედეგად, ისევე, როგორც გრანტების თანაბარ რაოდენობას იღებენ ზოგადი უნარების ტესტის ქულების მიხედვით.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს დადგენილი კვოტა და დაფინანსება უსამართლოა ამ ორი ეთნიკური ჯგუფის სხვადასხვა პროპორციის გამო, კერძოდ:

- (ა) სკოლის მოსწავლეთა რაოდენობა;
- (ბ) მე-12 კლასელთა რაოდენობა, რომლებიც სკოლას ამთავრებენ;
- (გ) ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხვის მსურველთა რაოდენობა;
- (დ) ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულთა რაოდენობა;
- (ე) ზოგადი უნარების ტესტში გრანტის მისაღებად საჭირო სკალირებული ქულების რაოდენობა. თითოეულ ამ პარამეტრს ცალ-ცალკე განვიხილავთ.

სკოლის მოსწავლეთა რაოდენობა აზერბაიჯანულენოვან სკოლებში 25443 მოსწავლეა, იმ დროს როცა ეს მაჩვენებელი 13374-ია სომხურენოვან სკოლებში (განათლების და მეცნიერების სამინისტრო, 2019). რაც შეეხება ამ სკოლებში მე-12 კლასელთა რაოდენობა, ის 1250 შეადგენს აზერბაიჯანულენოვან სკოლებში და 950 მოსწავლეს სომხურენოვან სკოლებში. ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხვის მსურველთა რაოდენობა 2010-2019 წლებში 11755-ს შეადგენდა აზერბაიჯანულენოვნებში, ხოლო მხოლოდ 4362-ს სომხურენოვნებში. ანალოგიური ვითარებაა ჩარიცხულთა მიმართებაშიც. 2010-2019 წლებში უმაღლესებში ჩაირიცხა 5510 აზერბაიჯანულენოვანი და 2653 სომხურენოვანი. რაც შეეხება გრანტის მოსაპოვებლად საჭირო ქულებს, აბიტურიენტთა მაღალი რაოდენობიდან გამომდინარე სკალირებული ქულაც მაღალია საჭირო აზერბაიჯანულენოვნებში. გრანტის მოსაპოვებელი საჭირო სკალირებული ქულის შესახებ წლების მიხედვით დეტალური ინფორმაცია ქვემოთ მოცემულ მე-15 ცხრილშია წარმოდგენილი.

**საშელავათო პოლიტიკისეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს
უმალესი განათლების სისტემაში**

ცხრილი 15. გრანტის მოსაპოვებლად საჭირო სკალირებული ქულა 2010-2019 წლებში

წელი	საშუალო ქულა უნარებში (სომხურენოვანი)	საშუალო ქულა უნარებში (აზერბაიჯანულენოვანი)	საშუალო ქულა გრანტის მოსაპოვებლად (სომხურენოვანი)	საშუალო ქულა გრანტის მოსაპოვებლად (აზერბაიჯანულენოვანი)
2010	140.3 სკალირებული	139.7 სკალირებული	141.1 სკალირებული	144.1 სკალირებული
2011	140.3 სკალირებული	154.3 სკალირებული	145.4 სკალირებული	157.4 სკალირებული
2012	141.9 სკალირებული	142 სკალირებული	148.1 სკალირებული	153.8 სკალირებული
2013	144.9 სკალირებული	141.6 სკალირებული	152.1 სკალირებული	156.9 სკალირებული
2014	144.1 სკალირებული	142.7 სკალირებული	152.2 სკალირებული	154.9 სკალირებული
2015	143.9 სკალირებული	142.6 სკალირებული	150.5 სკალირებული	155.6 სკალირებული
2016	147 სკალირებული	144.7 სკალირებული	157.6 სკალირებული	159.8 სკალირებული
2017	145.8 სკალირებული	143.7 სკალირებული	157.8 სკალირებული	158.3 სკალირებული
2018	146.1 სკალირებული	146.3 სკალირებული	160.7 სკალირებული	163.3 სკალირებული
2019	147.7 (სკალირებული)	149.5 (სკალირებული)	161.4 (სკალირებული)	165.1 (სკალირებული)

ცხრილი შედგენილია გამოცდებისა შეფასების ეროვნული ცენტრის მონაცემების დამუშავების
შედეგად

4.5. ზოგად უნარებში ტესტირების შედეგების ანალიზი

2010-2019 წლების მისაღები გამოცდების შედეგების ანალიზი გვაჩვენებს, რომ კვოტირების სისტემით მოსარგებლე აბიტურიენტებში საკმაოდ მაღალია ზოგადი უნარების ტესტში ჩაჭრილობა. ზოგადი უნარების ტესტებში ჩაჭრილ აბიტურიენტთა პროცენტმა 2010-2019 წლებში აზერბაიჯანულენოვანებში 31,3%, ხოლო სომხურენოვანებში - 22,4% შეადგინა, რაც ქართულენოვან აბიტურიენტებთან შედარებით საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია, რადგან ქართულენოვანებში ეს მაჩვენებელი 10%-ის ფარგლებში მერყეობს (ტაბატაძე და გორგაძე, 2013; ტაბატაძე და გორგაძე, 2017). სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი აბიტურიენტების ზოგადი უნარების გამოცდების შედეგები და მათი შედარება ქართულენოვანი და რუსულენოვანი აბიტურიენტების შედეგებთან ასევე კარგ სურათს იძლევა ანალიზისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ზოგადი უნარების გამოცდა ტარდება აბიტურიენტთა მშობლიურ ენაზე, მათი საერთო შეფასებები გაცილებით დაბალია ქართულენოვან და რუსულენოვან აბიტურიენტთა შეფასებებზე, რაც კიდევ ერთხელ ნათლად მიუთითებს ზოგადი განათლების საფეხურზე სწავლების ხარისხთან დაკავშირებულ პრობლემებზე. ქვემოთ

საშელავათო პოლიტიკის ეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში


გთავაზობთ 2010-2013, აგრეთვე 2015-2018 წლების მონაცემებს ამ თვალსაზრისით. მოყვანილი ცხრილი ნათელს ხდის ამ მიმართულებით არსებულ პრობლემატიკას:

ცხრილი 16. ზოგადი უნარების საშუალო ქულები 2010-2013 წლებში

	საშუალო ქულა წლების მიხედვით			
გამოცდა	2010	2011	2012	2013
ზოგადი უნარები ყველა	37.00	37.58	37.30	37.29
ზოგადი უნარები (ქართული)	37.15	37.75	37.52	37.64
ზოგადი უნარები (რუსული)	38.28	39.00	39.43	40.40
ზოგადი უნარები (აზერბაიჯანული)	23.85	26.88	26.68	25.02
ზოგადი უნარები (სომხური)	25.20	26.62	26.94	28.39

ტაბატაძე და გორგაძე, 2013

დიაგრამა 1. საშუალო ქულა წლების მიხედვით



ტაბატაძე და გორგაძე, 2013

ანალოგიური ვითარებაა ზოგადი უნარების ტესტის მაჩვენებლების მიხედვით 2015-2018 წლებშიც, ქართულენოვანი და რუსულენოვანი სკოლების აბიტურიენტებს უფრო მაღალი შედეგები აქვთ ზოგადი უნარების ტესტში (38-დან 41 ქულამდე) ვიდრე სომხურენოვან და აზერბაიჯანულენოვან აბიტურიენტებს (27-დან 32 ქულამდე) (ტაბატაძე, 2018, ტოლერანტობისა და თანასწორობის სამოქმედო გეგმის შეფასება 2015-2018). უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს მნიშვნელოვანი განსხვავება საინტერესოა ორი თვალსაზრისით: (1) დისპროპორცია ნათელს ხდის განათლების ხარისხს შორის არსებულ განსხვავებებს სკოლებში სწავლების ენის შესაბამისად; (2) კვოტირების სისტემის შეჩერების პირობებში სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი სკოლის კურსდამთავრებულნი კვლავ არაკონკურენტუნარიანი იქნებიან და არა მხოლოდ ენობრივი კომპეტენციის გამო (ტაბატაძე, 2018, ტოლერანტობისა და თანასწორობის

**საშელავათო პოლიტიკის ეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს
უმადლესი განათლების სისტემაში**

სამოქმედო გეგმის შეფასება 2015-2018) . ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი დეტალურ ინფორმაციას იძლევა არსებული მდგომარეობის შესახებ 2015-2018 წლებში.

ცხრილი 17. ზოგადი უნარების საშუალო ქულა წლებისა და ტესტის ენის მიხედვით

წელი	ქართულენოვანი	რუსულენოვანი	სომხურენოვანი	აზერბაიჯანულენოვანი
2015	39.594676	41.074020	28.638676	27.525450
2016	38.561704	38.402685	31.586873	27.923746
2017	39.911807	41.782924	31.965928	28.012873
2018	41.080876	40.832232	32.729964	30.529214

ტაბატაძე, 2018, ტოლერანტობისა და თანასწორობის სამოქმედო გეგმის შეფასება 2015-2018

დასკვნა

2010-2019 წლების სტატისტიკური მონაცემის ანალიზი რამდენიმე მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა: (ა) აზერბაიჯანულენოვან აბიტურიენტთა რაოდენობა არის მკვეთრად მზარდი, თუმცა ჩაჭრილთა რაოდენობაც არის მაღალი, ისევე როგორც გამოცდაზე ვერ გასულთა დიდი რაოდენობაა 2010-2019 წლებში; (ბ) სომხურენოვან აბიტურიენტებში მზარდი ტენდენცია 2014 წლიდან; (გ) აბიტურიენტებს გააჩნიათ სხვადასხვა უნივერსიტეტებისადმი პრეფერენციები; (დ) რეგიონალური და კერძო უნივერსიტეტების პოტენციალი არ არის ათვისებული; (ე) საბაკალავრო დონეზე მაღალია უნივერსიტეტების მიტოვებისა და ვერ დამთავრების მაჩვენებელი; (ვ) სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტების დაფინანსება თანაბრად ხორციელდება მიუხედავად რაოდენობრივი დისპროპორციისა და გრანტის მოსაპოვებლად განსხვავებული სკალირებული ქულებისა; (ზ) ზოგადი უნარების ტესტში სომხურენოვან და აზერბაიჯანულენოვან აბიტურიენტებს დაბალი შედეგები აქვთ ქართულენოვან და რუსულენოვან აბიტურიენტებთან შედარებით, რაც ზოგადი განათლების საფეხურზე არსებული პრობლემების გამოხატულებაცაა და ამასთანავე განაპირობებს აკადემიურ პრობლემებს საბაკალავრო სწავლების საფეხურზე.

თავი 5. მეთორმეტეკლასელთა გამოკითხვის შედეგები და მიგნებები

მეთორმეტეკლასელთა გამოკითხვით, გვსურდა რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე გაგვეცა პასუხი, რაც მნიშვნელოვანია კვოტირების სისტემის ეფექტურობის შეფასებისა და სამომავლო პოლიტიკის განსასაზღვრისათვის. კერძოდ, ამ მიმართულებით შემდეგი საკითხების შესწავლა დაიგეგმა:

- ა) რამდენად მიიღწევა არაქართულენოვან სკოლებში ზოგადი განათლების მიზნები?
- ბ) მოსწავლეთა თვითშეფასებით, რა ენობრივ კომპეტენციებს ფლობენ არაქართულენოვანი სკოლის მოსწავლეები?
- გ) მოსწავლეთა თვითშეფასებით, რა სოციალური უნარები აქვთ განვითარებული არაქართულენოვანი სკოლის მოსწავლეებს?
- დ) რა არის ეთნიკური უმცირესობებისათვის ქვეყნის არჩევის საფუძველი/ მოტივაცია, სადაც უმაღლეს განათლებას მიიღებენ?
- ე) რა განაპირობებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პროგრამების არჩევანს?
- ვ) რამდენად განსხვავებულია სკოლისშემდგომი არჩევანი სომხურენოვან და აზერბაიჯანულენოვან მოსწავლეებში?

როგორც კვლევის მეთოდოლოგიის ნაწილში დეტალურად აღწერეთ, ამ საკითხებზე პასუხის გასაცემად შევიმუშავეთ კითხვარი და გამოვკითხეთ სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი სკოლების 579 მეთორმეტეკლასელი. ქვემოთ წარმოგიდგენთ გამოკითხვის შედეგების ანალიზს საკვლევი საკითხების მიმართულებების მიხედვით.

5.1. სკოლის მოსწავლეთა მომზადება, ენობრივი და საგნობრივი კომპეტენციები და სოციალური უნარები

უნდა აღინიშნოს, რომ მეთორმეტეკლასელთა თვითშეფასება საკმაოდ მაღალია ყველა მიმართულებით, როგორც ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან მიმართებით (სკოლის მიერ მათი მომზადების თვალსაზრისით), ისე - ენობრივი და საგნობრივი კომპეტენციების, ასევე სოციალური უნარების განვითარების თვალსაზრისით. თვითშეფასება იმდენად მაღალია, რომ არ თანხვდება ამავე სკოლების მოსწავლეების არც ეროვნულ შეფასებებში, არც საერთაშორისო კვლევებში და არც საატესტატო გამოცდებში ნაჩვენებ შედეგებს. შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ მეთორმეტეკლასელები შეეცადნენ საკუთარი თავისა და საკუთარი სკოლის პოზიტიურად წარმოჩენას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პოზიტიურად წარმოჩენის ტონი იცვლება, თუ გავანალიზებთ ერთწლიანი პროგრამის სტუდენტების გამოკითხვას ან შემდგომ, საბაკალავრო საფეხურზე მყოფი სტუდენტების გამოკითხვასა თუ ფოკუსჯგუფების დისკუსიებს. შესაბამისად, ნათელია, რომ სკოლის დამთავრების შემდგომ კრიტიკული მოსაზრებების გამოვლენა

საშელავათო პოლიტიკისეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში

პრობლემატურია სკოლის კურსდამთავრებულთათვის და უმაღლესი განათლების საფეხურზე ეს უნარი მნიშვნელოვნად ვითარდება. შესაბამისად, თვალსაჩინოა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ენობრივი თუ საგნობრივი კომპეტენციების მიღმა, დიდი ყურადღება უნდა დავუთმოთ, მოსწავლეთა სოციალური უნარების განვითარებას და კრიტიკული და აქტიური მოქალაქის აღზრდას.

5.2. სკოლის შემდგომი გეგმები

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, საინტერესო იყო გაგვეჩვენა, სკოლის შემდგომ რა გეგმები აქვთ არაქართულენოვანი სკოლების მეთორმეტეკლასელებს. რამდენად გაიზარდა მათი ორიენტირება ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე? რა ფაქტორები განაპირობებს ამ ზრდას? ასევე, გაგვეჩვენა, მე-12 კლასელთა რა სეგმენტია, რომელიც უმაღლესი განათლების მიღებას საზღვარგარეთ გეგმავს და ამ არჩევანის მიზეზები და საფუძვლები დაგვეჩვენა. შესაბამისად, კითხვარის უდიდესი ნაწილი სწორედ ამ მიმართულებით დასმულ საკითხებზე პასუხის გასაცემად იქნა შედგენილი.

უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხულ მოსწავლეთა დიდი ნაწილი გეგმავს უმაღლესი განათლების მიღებას საქართველოში ან სხვა ქვეყანაში, რაც 77 %-ია (63% საქართველოში, ხოლო 14% - საქართველოს ფარგლებს გარეთ), 6%-ზე მეტი პროფესიული განათლების მიმართულებით გეგმავს საკუთარ მომავალს. საკმაოდ დიდია იმ მოსწავლეთა რიცხვი, რომელთაც არ აქვთ გადაწყვეტილი და არ გააჩნიათ კონკრეტული გეგმები სკოლის დამთავრების შემდგომ და მათი მაჩვენებელი 14%-ს აჭარბებს. 4.20%-ია, ვინც საზღვარგარეთ სამუშაოდ გამგზავრებას გეგმავს. ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი დეტალურ ინფორმაციას იძლევა მოსწავლეთა სკოლის შემდგომი გეგმების შესახებ.

ცხრილი 18. სკოლის შემდგომი გეგმები

	საერთო	სომხური	აზერბაიჯანული
უსდ საქართველო	63%	46%	65.40%
პსდ საქართველო	6.30%	6%	5.10%
უსდ საზღვარგარეთ	14%	19.60%	4.80%
სახელობო არაფორმალური	1.80%	1.40%	1.70%
საკუთარ მეურნეობაში	6.50%	4.50%	6.80%
დავიწყებ მუშაობას	1.20%	0.70%	1.40%
საზღვარგარეთ წავალ	4.20%	3%	4.10%
სხვა	2.20%	3.50%	0.40%
არ ვიცი	14.40%	15%	10.30%

კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოსა და საზღვარგარეთის უსდ-ს შორის არჩევანი თვალსაზრისით განსხვავებულია სომხურენოვან და აზერბაიჯანულენოვან აბიტურიენტებს შორის. სკოლის დამთავრების შემდგომი არჩევანი სომხურენოვან და

საშელავათო პოლიტიკის ეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში

აზერბაიჯანულენოვან მოსწავლეებში ცალ-ცალკე გაანალიზდა. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის გაგრძელებას გეგმავს სომხურენოვანი მოსწავლეების 65,6%, ხოლო აზერბაიჯანულენოვან მეთორმეტეკლასელთა 70.2% აქვე აღსანიშნავია, რომ განსხვავება დაფიქსირდა საქართველოსა და საზღვარგარეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩაბარების სურვილის თვალსაზრისითაც. სომხურენოვან მე-12 კლასელთა 19.6% გეგმავს საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელებას, როცა აზერბაიჯანულენოვანებში ანალოგიური მაჩვენებელი მხოლოდ 4.8%-ია (იხილეთ ცხრილი #18).

მეთორმეტეკლასელთა უმრავლესობა უმაღლესი განათლების მიღებას საქართველოში გეგმავს. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩამბარებელთა 82% მიუთითებს, რომ სწავლის გაგრძელებას ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გეგმავს და მხოლოდ 18% - საზღვარგარეთ. მნიშვნელოვანი განსხვავებაა სწავლების ენის მიხედვით. აზერბაიჯანულენოვან მეთორმეტეკლასელთა 93% ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აპირებს ჩაბარებას, ხოლო 7% - საზღვარგარეთ. სომხურენოვანებში კი ეს მაჩვენებლები 69% და 31%-ია შესაბამისად. აღნიშნული მონაცემები ცალსახად მიუთითებს კვოტირების შემდგომ არსებული სიტუაციის შესახებ: (ა) ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების მსურველთა რაოდენობა მკვეთრად არის გაზრდილი, უფრო მეტიც ის თითქმის მაქსიმალურ ზღვარს აღწევს; (ბ) ეს მაჩვენებელი განსაკუთრებით მაღალია აზერბაიჯანულენოვან სკოლადამთავრებულებში, მათი აბსოლუტური უმრავლესობა ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გეგმავს სწავლის გაგრძელებას; (გ) სომხურენოვანი სკოლების მოსწავლეებში ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების სურვილი მაღალია და მკვეთრად არის გაზრდილი, თუმცა რჩება საკმაოდ სოლიდური ნაწილი, უმაღლესში ჩაბარების მსურველთა დაახლოებით მესამედი, რომელთაც საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელება აქვთ გადაწყვეტილი.

კვლევამ აჩვენა, რომ სკოლის შემდგომი გეგმების განმსაზღვრელი ფაქტორები საკმაოდ მრავალფეროვანია. კითხვაზე, თუ რამ განაპირობა მათი გადაწყვეტილება, ჩაებარებინათ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, გამოკითხულთა 21,7% პასუხობს, რომ მათი აკადემიური მოსწრება იმდენად მაღალია, რომ მათ უმაღლესი განათლება უნდა მიიღონ, ხოლო 42,1% აზრით, მათი კარიერისთვის არის აუცილებელი უმაღლესი განათლება. 21.5% მიიჩნევს, რომ უმაღლესი განათლების პირობებში უფრო მაღალი შემოსავალი ექნებათ. პასუხებიდან თვალსაჩინოა, რომ მეთორმეტეკლასელთა უმრავლესობა უმაღლეს განათლებას კარიერასა და შემოსავალს უკავშირებს. შესაბამისად, ნათელია, თუ რა შეიძლება იყოს საშელავათო პოლიტიკის ეფექტურობის განმსაზღვრელი: ცალსახაა, რომ დასაქმება, შემოსავალი და კარიერული წინსვლა მნიშვნელოვანი მამოტივირებელი ფაქტორია. შესაბამისად, თუკი უმაღლესის დამთავრების შემდგომ

საშელავათო პოლიტიკისეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში

დასაქმებისა და კარიერული წინსვლის თვალსაზრისით პრობლემები შეიქმნება, ცალსახაა, რომ მნიშვნელოვანი მამოტივირებელი ფაქტორი გაქრება. შედეგად, შესაძლოა, მსურველთა რაოდენობაც შემცირდეს და საშელავათო პოლიტიკის საბოლოო შედეგი ვერ იქნეს მიღწეული.


კვლევაში მონაწილეთა უდიდესი ნაწილი საკუთარ მომავალს სწორედ საქართველოში საქმიანობას უკავშირებს. კვლევის ფარგლებში დასმულ კითხვაზე, თუ რამ განაპირობა მათი არჩევანი, უმაღლესი განათლება საქართველოში მიეღოთ, კვლევაში მონაწილეთა 75%-მა დაასახელა ქართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული დიპლომი, რომელიც საქართველოში დასაქმებისთვის მნიშვნელოვანია. შემდეგ მიზეზად კვოტირების სისტემა დასახელდა. სწორედ კვოტირების სისტემის გამო მიუთითებს ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის სურვილს სომხურენოვან მეთორმეტეკლასელთა 15% და აზერბაიჯანულენოვანთა 10%. სხვა ფაქტორებს შედარებით დაბალი წილი აქვთ გადაწყვეტილების მიღებაში, მათ შორის - ფინანსური ფაქტორები და ფინანსური წახალისების მექანიზმები არ დასახელებულა მე-12 კლასელთა მიერ. კვლევის ეს შედეგიც მნიშვნელოვანია. ამ შედეგიდან ნათლად იკვეთება კვოტირების სისტემის ეფექტი, რამაც უპირველესი გავლენა იქონია მე-12 კლასელების საკმაოდ დიდ ნაწილზე, რათა სწავლა გაეგრძელებინათ სწორედ ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

კვლევამ აჩვენა, რომ კვოტირების სისტემის შესახებ მეთორმეტეკლასელთათვის მნიშვნელოვან წყაროს ამავე პროგრამის მონაწილეები წარმოადგენენ. კვოტირების სისტემის საწყის ეტაპზე მნიშვნელოვანი პრობლემა გამოჩნდა კვოტირების სისტემის შესახებ არაქართულენოვანი მოსახლეობის ინფორმირების თვალსაზრისით. ამ გამოწვევის შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციების ინიციატივით, ჩატარდა საინფორმაციო კამპანიები, რაც გულისხმობდა 1+4 პროგრამის კურსდამთავრებულთა მიერ საკუთარ თემსა და სოფლებში, სანათესაო წრეში საინფორმაციო კამპანიის წარმოებას. ამ ინიციატივას შემდგომ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის სამინისტროც შეუერთდა. კვლევამ აჩვენა, რომ არსებულმა ინტერვენციამ შედეგები გამოიღო, რადგან გამოკითხულთა 43%-მა ინფორმაცია მიიღო თანასკოლელისგან, მეგობრისგან, ახლობლისგან ან ოფიციალურად ჩატარებულ შეხვედრებზე პროგრამის სტუდენტისა და კურსდამთავრებულისგან. შესაბამისად, თვალსაჩინოა ამ საინფორმაციო კამპანიის როლი. მნიშვნელოვანი როლი აქვს უშუალოდ სკოლასაც, რადგან გამოკითხულთა 25% მიუთითებს, რომ ინფორმაცია მიიღო ქართული ენის მასწავლებლისგან, ან სხვა მასწავლებლისგან, ან სკოლის დირექტორისგან, რაც თვალსაჩინოს ხდის სკოლის როლსაც და შესაბამისად სკოლები მეტად უნდა გააქტიურდნენ ზუსტი ინფორმაციის მიწოდების თვალსაზრისით საკუთარი მოსწავლეებისთვის კვოტირების სისტემის შესახებ. გამოკითხულთა 15%-მა ვერ გაიხსენა ან არ უპასუხა თუ საიდან ჰქონდათ ინფორმაცია. შედარებით დაბალი ხვედრითი წილი აქვს სამინისტროებისა და რესურს-ცენტრების მიერ

საშელავათო პოლიტიკისეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში

ორგანიზებულ ოფიციალურ შეხვედრებს. დეტალური ინფორმაცია კვოტირების სისტემის შესახებ სტუდენტთა ინფორმაციის წყაროს შესახებ ქვემოთ წარმოდგენილ მე-2 გრაფიკშია მოცემული.


დიაგრამა 2. მეთორმეტეკლასელთა ინფორმაციის წყარო კვოტირების სისტემის შესახებ



საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩაბარების მსურველ მეთორმეტეკლასელთა საუნივერსიტეტო არჩევანი თანხდება 2010-2019 წლების სტუდენტთა მიერ საბაკალავრო პროგრამების და უნივერსიტეტების არჩევის ტენდენციას. უსდ-ის არჩევანი ძირითადად 5 უნივერსიტეტზე ნაწილდება: (1) თსუ; (2) ილიას უნივერსიტეტი; (3) სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი; (4) თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი და 5) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. სხვა უნივერსიტეტების ხვედრითი წილი მინიმალურია. ენობრივი ნიშნით გარკვეული განსხვავებები იკვეთება: (ა) სომხურენოვანი მეთორმეტეკლასელების ცალსახა პრიორიტეტია სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტი ტერიტორიული მდებარეობის გამო და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შედარებით დაბალია მოთხოვნა ილიას, სამედიცინო და ტექნიკურ უნივერსიტეტებზე. რაც შეეხება აზერბაიჯანულენოვან მეთორმეტეკლასელებს მათ არჩევანში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ილიას უნივერსიტეტი ლიდერობს. აღნიშნული ტენდენცია აძლევს უნივერსიტეტებს რეკრუტირების გარკვეული კამპანიის წარმოების საშუალებას. მაგალითად, ილიას უნივერსიტეტს შეუძლია დამატებით სომხურენოვან აბიტურიენტებთან მუშაობა. ქვემოთ წარმოგიდგენთ გრაფიკს, სადაც დეტალურადაა აღწერილი მეთორმეტეკლასელთა არჩევანი უნივერსიტეტების მიხედვით:

საშეღავათო პოლიტიკის ეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში

დიაგრამა 3. მეთორმეტეკლასელთა არჩევანი უნივერსიტეტების მიხედვით




სპეციალობების მიხედვით, არჩევანი თანხვდება ამჟამინდელი სტუდენტების არჩევანს და უდიდესი ნაწილი მოდის ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამაზე 37%, მაღალი ხვედრითი წილი აქვს ჰუმანიტარულ მეცნიერებების პროგრამებსაც 27%, აგრეთვე იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებებს. ძალიან დაბალია ზუსტი და საბუნებისმეტყველო საგნების ხვედრითი წილი. მნიშვნელოვნად არის გაზრდილი განათლების მიმართულების წილი და ის მეთორმეტეკლასელებში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის გაგრძელების მსურველთა 21%-ს შეადგენს, რაც ცალსახად პოზიტიური ტენდენციაა და იძლევა შესაძლებლობას არაქართულენოვანი სკოლებისთვის მომავალი მასწავლებლების ეფექტურად მოსამზადებლად და კვოტირების სისტემის ეფექტების ზოგადი განათლების საფეხურზე განსაგრძობად.

კვლევის ფარგლებში დავინტერესდით არა მხოლოდ იმ მეთორმეტეკლასელების არჩევანით, ვინც ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აბარებს, არამედ მათი მოსაზრებებითაც, ვინც საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელება გადაწყვიტა. საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელების მსურველთა უმრავლესობა სწავლის გაგრძელებას სომხეთში გეგმავს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საზღვარგარეთ სწავლის გამგრძელებელთა უფრო დიდი ხვედრითი წილი სწორედ სომხურენოვან მეთორმეტეკლასელებზე მოდის. შედარებით დაბალია თურქეთის და აზერბაიჯანის წილი, სადაც აზერბაიჯანულენოვანი მეთორმეტეკლასელები გეგმავენ სწავლის გაგრძელებას და აგრეთვე რუსეთის წილიც. აქვე აღსანიშნავია, რომ გამოკითხვა არ ჩატარებულა რუსულ სკოლებში და, შესაბამისად, რუსული სკოლების კურსდამთავრებულთა არჩევანიც საინტერესო იქნება, რათა შევავსოთ კვოტირების სისტემის ეფექტურობა ამ მიზნობრივ ჯგუფზე. აღნიშნულ მიზნობრივ ჯგუფში კვლევა სამომავლოდ იქნება საინტერესო განსხვავებული ინსტრუმენტით / კითხვარით.

საშელავათო პოლიტიკისეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში

დიაგრამა 4. საზღვარგარეთის უსდ-ში ჩაბარების მსურველთა გადანაწილება ქვეყნების მიხედვით საზღვარგარეთ უმაღლესი განათლების მიღების სხვადასხვა საფუძველი არსებობს



მეთორმეტეკლასელებში. მონაწილეთა 50%-ზე მეტი ფიქრობს, რომ მათი არჩევანის ქვეყნებში უმაღლესი განათლება უფრო ხარისხიანია, ხოლო 15 % მიიჩნევს, რომ იმ ქვეყნებში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოხვედრა მათთვის მაინც უფრო მარტივია. აგრეთვე გაერთიანებულად 15%-ის არჩევანი განაპირობა ნაკლებმა ფინანსურმა დანახარჯებმა არჩევანის ქვეყანაში არსებული ნათესაური კავშირების გამო. ეს ინფორმაციაც მნიშვნელოვანია კვოტირების სისტემის სამომავლო დაგეგმვისთვის: (ა) ქართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის პოპულარიზაცია სამიზნე მოსახლეობაში მათთვის გასაგებ ენაზე და 2) გარკვეული ფინანსური პაკეტების დამატებით შეთავაზება როგორც სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროგრამების კვოტირებულ სტუდენტებზე განვრცობის თვალსაზრისით, აგრეთვე საცხოვრებლითა და სტიპენდიით უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ამ უკანასკნელი მიმართულების დაფინანსება მუნიციპალური პროგრამებითაც შეიძლება იყოს შესაძლებელი.

უნდა აღინიშნოს, რომ კვლევაში მონაწილეთა ნაწილმა მიუთითა პროფესიულ სასწავლებლებში სწავლის გაგრძელების სურვილი. პროფესიული სასწავლებლების გარკვეული სპეციალობებიც საკმაო პოპულარობით სარგებლობს და აქ მაღალი კონკურენციაა მისაღებ გამოცდებზე, განსაკუთრებით - სახელმწიფო პროფესიულ სასწავლებლებში, რომლებიც სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ. პროფესიულ სასწავლებელში სწავლის გაგრძელების სურვილი კვლევაში მონაწილეთა 7.2% დააფიქსირა, რაც ცალსახად პოზიტიური მაჩვენებელია მეთორმეტეკლასელებში. პროფესიული სასწავლებლის არჩევანის მიზეზებიდან 30%-ზე მეტმა მათი აკადემიური მოსწრება მიუთითა, 15%-მა ამ პროფესიის მაღანაზღაურებადობა და 12% კი ხელობა, რომელსაც უკვე ფლობს და ფორმალური დიპლომიც ესაჭიროება. ეს მონაცემიც საგულისხმოა პროფესიული განათლების პოპულარიზაციისთვის, ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ - კვოტირების სისტემის გარკვეულწილად პროფესიულ განათლებაზე გავრცელების თვალსაზრისითაც. არაქართულენოვანი სკოლების კურსდამთავრებულთა თუ მოსწავლეთა პროფესიულ სასწავლებლებში ჩარიცხვის საკითხი, პროფესიულ სასწავლებელში სწავლისას როგორც ენობრივი, აგრეთვე სოციალური და აკადემიურ/პროფესიული განათლების თვალსაზრისით - ასევე ცალკე

საშეღავათო პოლიტიკის ეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში

კვლევის საკითხია და შესაძლებელია კვოტირების სისტემის საერთო პოლიტიკაში პროფესიული განათლების მიმართულების აქტიურად ჩართვა.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მეთორმეტეკლასელთა ამ ინსტრუმენტით გამოკითხვის პირველი პრეცედენტი იყო და ამ კვლევამ მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოგვცა სხვადასხვა მიმართულებით გატარებული და გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის გაგრძელების მსურველთა და კვოტირების სისტემის შესახებ ინფორმირებულთა წილი მკვეთრად არის გაზრდილი, თუმცა რჩება საკმაოდ მოზრდილი სეგმენტი, რომელთანაც მუშაობა მნიშვნელოვანია. შემოსავალი და კარიერული წინსვლის პერსპექტივა, უმაღლესი განათლების მიღების მთავარი მოტივატორია და ამასთანავე ინტეგრაციის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. ინფორმაციის მიწოდების წყაროებიდან გამოიკვეთა ეფექტური გზები სკოლისა და პროგრამით უკვე მოსარგებლეთა თვალსაზრისით და ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელება კიდევ უფრო მნიშვნელოვანია. თვალსაჩინოა გარკვეული უნივერსიტეტებისა და პროგრამებზე ფოკუსირების ტენდენცია და ამ არჩევანის დივერსიფიცირება და გამრავლფეროვნება ასევე მნიშვნელოვანი გამოწვევაა. მნიშვნელოვანი პოზიტიური ცვლილებები გამოჩნდა მასწავლებელთა განათლების პროგრამებზე ინტერესის მატების თვალსაზრისით და ეს ტენდენცია შესაძლებელია ეფექტურად გამოვიყენოთ ზოგადი განათლების საფეხურზე არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლებით უზრუნველყოფისათვის. ფინანსური და ხარისხთან დაკავშირებული ფაქტორები მნიშვნელოვნად განსაზღვრავს საზღვარგარეთ სწავლის მიღების სურვილს და ამ ფაქტორებზე რეაგირება იქნება კვოტირების სისტემის სამომავლო დაგეგმვის მნიშვნელოვანი ასპექტი. კვოტირების სისტემა არ არის განვრცობილი პროფესიული განათლების სეგმენტზე და ამ მიმართულებით კვლევა და შესაბამისი დაგეგმვა ასევე მნიშვნელოვანია. რუსულენოვანი სკოლების მიზნობრივი ჯგუფი და მათზე კვოტირების სისტემის გავლენის ეფექტების შესწავლა დამატებითი კვლევის საგანია და ეს დამატებითი კვლევა განსხვავებული ინსტრუმენტით გარკვეულ სურათს მოგვცემს ამ სამიზნე ჯგუფზე კვოტირების სისტემის ეფექტების განვრცობის თვალსაზრისით.


თავი 6: ერთწლიანი პროგრამის განხორციელების ეფექტურობა/შედეგები და გამოწვევები/ძირითადი მიზნები

6.1. გამოკითხულ სტუდენტთა დემოგრაფიული მონაცემები

გამოკითხა ქართული ენის ერთწლიანი პროგრამის 702 სტუდენტი საქართველოს ექვსი უნივერსიტეტიდან. გამოკითხულთაგან, 296 (42.2%) მდებრობითი, ხოლო 284 (40.5%) მამრობითი სქესისაა. 122-მა მონაწილემ, რაც გამოკითხულთა დაახლოებით 17 პროცენტს შეადგენს, სქესის დაზუსტებაზე უარი განაცხადა. გამოკითხულთაგან 304 ადამიანი (43.3%) 17-18 წლის ასაკისაა, 271 (38.6%) კი - 19-20 წლის. მონაწილეთაგან 54 სტუდენტი (7.7%) არის 21-24 წლის ასაკისა.

რაც შეეხება გამოკითხულთა გადანაწილებას რეგიონულ ჭრილში, 441 სტუდენტი ქვემო ქართლიდანაა, 147 - სამცხე-ჯავახეთიდან. გამოკითხულთაგან 49 მონაწილე კახეთიდანაა, 21 სტუდენტი კი სხვადასხვა ადგილიდან, მათ შორის - თბილისიდან. 44 არ იძლევა განმარტებას საცხოვრებელი რეგიონის შესახებ. ქვემოთ მოცემულ მე-5 დიაგრამაში გამოკითხული მონაწილეების გადანაწილება პროცენტული მაჩვენებლით არის წარმოდგენილი:

დიაგრამა 5. კვლევაში მონაწილეთა გადანაწილება რეგიონების მიხედვით




რაიონების მიხედვით, ყველაზე მეტი გამოკითხული მარნეულიდანაა და 233-ს (33.2%) შეადგენს. 77 (11.0%) სტუდენტი გარდაბნიდანაა. ახალქალაქიდან გამოკითხვაში მონაწილეობა 63-მა (9.0%) ადამიანმა მიიღო. 55 (7.8%) პირი ბოლნისიდანაა. ნინოწმინდიდანაა გამოკითხული 47 (6.7%) სტუდენტი, 38 (5.4%) - საგარეჯოდან. გამოკითხულთაგან, 3 (0.4%) სტუდენტი უცხოეთიდანაა.

62-მა (8.8%) სტუდენტმა კითხვაზე პასუხის გაცემა არ ისურვა.

დეტალური მონაცემები სტუდენტების პროცენტული გადანაწილების შესახებ რაიონების მიხედვით, ქვემოთ, მე-6 დიაგრამაშია მოცემული.

საშელავათო პოლიტიკისეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში

დიაგრამა 6. კვლევაში მონაწილეთა გადანაწილება რაიონების მიხედვით



რაც შეეხება უნივერსიტეტების მიხედვით გადანაწილებას, ეს მონაცემები მე-19 ცხრილში დეტალურად არის მოცემული:

ცხრილი 19. კვლევაში მონაწილეთა გადანაწილება უნივერსიტეტების მიხედვით

უნივერსიტეტის სახელწოდება	გამოკითხულ რაოდენობა	სტუდენტთა %
უპასუხოდ	57	8.1
ტექნიკური უნივერსიტეტი	157	22.4
ილიაწნი	149	21.2
სამცხე-ჯავახეთის სახ. უნივერსიტეტი	57	8.1
სოხუმის სახ. უნივერსიტეტი	57	8.1
თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტი	63	9.0
თსუ	162	23.1

ცხრილში კარგად ჩანს, რომ ყველაზე მეტი გამოკითხული სტუდენტი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობს ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე და მათი რაოდენობა 162 ადამიანს შეადგენს. შემდეგია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სადაც 157 სტუდენტი გამოიკითხა, ხოლო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტიდან 149 სტუდენტი გამოკითხული.

**საშელავათო პოლიტიკის ეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს
უმადლესი განათლების სისტემაში**

გამოკითხვის ფარგლებში საინტერესოდ მივიჩნიეთ სტუდენტთა დამოკიდებულების გარკვევა ქართული ენის პროგრამის ეფექტურობის, პროფესორ-მასწავლებლების დამოკიდებულებისა და სწავლა-სწავლების მათ მიერ გამოყენებული მეთოდების/სტრატეგიების, სასწავლო მასალის, ინფრასტრუქტურის შესაბამისობისა და ზოგადი ხელშემწყობი გარემოს არსებობის მიმართულებებით. გარდა ზოგადი დამოკიდებულებების კვლევისა, ეს მონაცემები საუნივერსიტეტო და სქესობრივ ჭრილში გავანალიზეთ, რათა დაგვედგინა ის ტენდენციები, რომლებიც პროგრამის მიმართ სტუდენტების დამოკიდებულებებში იკვეთება.

სტუდენტებს საკუთარი დამოკიდებულებები 5 ქულიან სკალაზე უნდა დაეფიქსირებინათ, სადაც 1 ქულა ყველაზე დაბალ, „აბსოლუტურად არ ვეთანხმები“ პასუხს ასახავდა, ხოლო 5 ქულა კი - ყველაზე მაღალ შეფასებას (სრულიად ვეთანხმები) გულისხმობდა და ამგვარად გამოხატავდა სტუდენტების დამოკიდებულებებს გარკვეულ დებულებებთან მიმართებას. ქვემოთ მოცემულია თითოეული მიმართულებით სტუდენტების დამოკიდებულებების დეტალური ანალიზი.

6.2. სტუდენტთა მიერ პროგრამის ეფექტიანობის ზოგადი შეფასება

ქართული ენის პროგრამის ეფექტურობის მიმართულებით დაფიქსირებული პასუხებით ირკვევა, რომ მთლიანობაში სტუდენტები უფრო მეტად პოზიტიურად განიხილავენ შემოთავაზებულ პროგრამას და, მთლიანობაში, მაღალი - 4 ან 5 ქულით აფასებენ. ქვემოთ მოცემული ცხრილი აჩვენებს, რომ სტუდენტების აზრით, შემოთავაზებული საგნები საკმარისად მრავალფეროვანია, მორგებულია მათ სასწავლო ინტერესებს. ამასთან, შემოთავაზებული საგნები საინტერესოა და ხელს უწყობს ქართული ენის დაუფლებას.

ცხრილი 20. სტუდენტთა მიერ პროგრამის ზოგადი ეფექტურობის შეფასება

დებულება	საშუალო	მოდა	სტანდარტული გადახრა
შემოთავაზებული საგნები მრავალფეროვანია და მორგებულია სტუდენტების საჭიროებებზე	3.96	5	.999
პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებული საგნები საინტერესოა	4.09	5	.935
პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებული საგნები ხელს უწყობს ქართულის ენის დაუფლებას	4.15	5	.973
შემოთავაზებული საგნები ხელს უწყობს საუნივერსიტეტო განათლებისთვის ზოგად მომზადებას	3.93	4	1.025
პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებული დატვირთვა მოსახერხებელია ენის ათვისებისთვის	3.99	4	.922
შემოთავაზებული ყოველდღიური საათობრივი დატვირთვა ხელს უშლის ენის ეფექტურად დაუფლებას	4.15	5	.968
პროგრამის ფარგლებში მეტი ყურადღება ეთმობა დაზეპირებასა და გრამატიკის სწავლებას	3.90	5	1.143

საშეღავათო პოლიტიკის ეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში

ამავდროულად, საგნების საინტერესობისა და ქართული ენის დაუფლებისათვის შესაბამისობის საერთო მაჩვენებელზე ნაკლებია საუნივერსიტეტო განათლებისათვის ზოგადად მომზადების კუთხით ქართული ენის პროგრამის შეფასების საერთო ქულა. სტუდენტების მიერ პროგრამის ფარგლებში ენის ათვისებისათვის დათმობილ სრული დატვირთვა და ყოველდღიური საათობრივი დატვირთვის შეფასებისას იკვეთება ნაწილობრივი შეუსაბამობა; ერთი მხრივ, სტუდენტების დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ შემოთავაზებული პროგრამული დატვირთვა მოსახერხებელია ენის ათვისებისათვის, თუმცა, ასევე, მაღალია იმ დებულების შეფასება, რომელიც ყოველდღიურ, საათობრივ ჭრილში დატვირთვას ხელისშემშლელად მიიჩნევს. ეს გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ სტუდენტებისათვის კიდევ უფრო მოხერხებული იქნებოდა, თუ ყოველდღიური დატვირთვა უკეთ იქნება დარეგულირებული. თუმცა, სხვა, ურთიერთგამომრიცხავი დებულებების შეფასებები მაღალი ქულებით, ასევე გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ სტუდენტები ზოგადად არიან მიდრეკილები პროგრამასთან დაკავშირებით პოზიტიური შეფასებებისკენ.

სტუდენტები მაღალი სიხშირით ეთანხმებიან პროგრამის ფარგლებში დაზეპირებისა და გრამატიკის სწავლებასადმი დიდი ყურადღების შესახებ დებულებებს. ამასთან, პროგრამის საგნებს სტუდენტები მრავალფეროვნად, საინტერესოდ, და ქართული ენის სწავლისათვის შესაბამისად მიიჩნევენ, რაც მეტყველებს იმაზე, რომ სტუდენტებისათვის დაზეპირების და გრამატიკის შესწავლაზე ორიენტირებული პროგრამა მრავალფეროვნად არის მიჩნეული.


ცხრილი 21. პროგრამის საგნების და საათობრივი ბადის შეფასება

დებულებები/საერთო მაჩვენებლები ყველა უნივერსიტეტისათვის	პასუხი არ არის	სრულიად არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	ვეთანხმები და არც არ ვეთანხმები	ვეთანხმები	აბსოლუტურად ვეთანხმები
შემოთავაზებული საგნები მრავალფეროვანია და მორგებულია სტუდენტების საჭიროებებზე	1.40%	2.60%	4.00%	24.50%	30.90%	36.60%
პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებული საგნები საინტერესოა	1.10%	1.30%	6.00%	16.70%	35.50%	39.50%
პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებული საგნები ხელს უწყობს ქართულის ენის დაუფლებას	1.90%	1.60%	4.80%	17.70%	29.10%	45.00%
შემოთავაზებული საგნები ხელს უწყობს საუნივერსიტეტო განათლებისთვის ზოგად მომზადებას	1.10%	3.10%	6.30%	20.50%	34.80%	34.20%
პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებული დატვირთვა მოსახერხებელია ენის ათვისებისთვის	0.90%	0.70%	5.60%	23.80%	34.60%	34.50%
შემოთავაზებული ყოველდღიური საათობრივი დატვირთვა ხელს უშლის ენის ეფექტურად დაუფლებას	0.70%	1.70%	4.60%	17.80%	30.10%	45.20%
პროგრამის ფარგლებში მეტი ყურადღება ეთმობა დაზეპირებასა და გრამატიკის სწავლებას	1.00%	5.40%	7.00%	20.40%	28.50%	37.70%

საშელავათო პოლიტიკისეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში

კითხვარში მოცემული შემდგომი დებულებები საშუალებას იძლევა, რომ მონაცემები სწავლა-სწავლების კონკრეტულ პრაქტიკებთან მიმართებით გაანალიზდეს და შესაბამისი დასკვნები გაკეთდეს. მოცემული დებულებები სწავლების პროცესში გამოყენებულ რესურსებზე, მათ მრავალფეროვნებასა და გამოყენების სიხშირეზე აკეთებს აქცენტებს. ზოგადად, სტუდენტების 76.4% მიიჩნევს, რომ მასწავლებლების უმრავლესობა მრავალფეროვან სასწავლო რესურსებს იყენებს, 7.4% კი არ მიიჩნევს გამოყენებულ რესურსებს მრავალფეროვნად. სტუდენტების 6.4%-მა არ იცის, რამდენად მრავალფეროვანია გამოყენებული რესურსები, ხოლო თითქმის 10% უარს აცხადებს კითხვაზე პასუხის გაცემაზე.

დიაგრამა 7. სტუდენტთა შეფასება მასწავლებლების მიერ გამოყენებული სასწავლო რესურსების მრავალფეროვნების შესახებ



რაც შეეხება სხვადასხვა რესურსის გამოყენების სიხშირეს, ქვემოთ მოცემულ ცხრილში განმარტებულია, თუ რა რესურსები გამოიყენება მასწავლებლების მიერ სწავლა-სწავლების პროცესში უფრო ხშირად და ნაკლები სიხშირით.

ცხრილი 22. მასწავლებელთა მიერ გამოყენებული რესურსები პასუხების სიხშირეების მიხედვით

მასწავლებელი იყენებს შემდეგ რესურსებს:	უპასუხო	არასოდეს	თვეში ერთხელ ან უფრო იშვიათად	თვეში რამდენჯერმე	თითქმის ყველა ლექციაზე	ყველა ლექციაზე
სახელმძღვანელო	1.6	3.6	10.4	22.4	27.9	34.2
დამატებითი ლიტერატურა	1.6	15.4	23.6	30.1	19.8	9.5
სავარჯიშოების კრებული წერითი დავალებებისთვის	2.1	3.3	10.8	22.6	26.2	34.9
აუდიო მოსასმენი მასალა	1.4	23.2	17.7	25.9	16.0	15.8
ფილმები და სხვა ვიდეო მასალები	1.0	28.5	21.9	30.3	12.5	5.7
ელექტრონული და ინტერნეტ რესურსები	1.1	23.4	20.9	29.8	13.7	11.1


საშელავათო პოლიტიკისეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში

როგორც ცხრილში იკითხება, ყველაზე ხშირად გამოყენებული სასწავლო რესურსია სახელმძღვანელო და სავარჯიშოების კრებული. ყველაზე იშვიათად კი - ვიდეომასალები (28.5% აცხადებს, რომ არასდროს გამოიყენება). მეორე მხრივ, ასევე, 23.4% სტუდენტებისა საუბრობს, რომ ელექტრონული და ინტერნეტრესურსები არასდროს გამოიყენება სწავლა-სწავლების პროცესში, ხოლო თითქმის 21% აცხადებს, რომ თვეში ერთხელ ან უფრო იშვიათად გამოიყენება. ერთ-ერთ ვარაუდად, შეიძლება დავუშვათ, რომ ლექტორების დიდი ნაწილი თავს არიდებს ტექნოლოგიების გამოყენებას სწავლების პროცესში. ის, რომ სტუდენტების 70%-ზე მეტი პროგრამაში გამოყენებულ რესურსებს მრავალფეროვნად მიიჩნევს, ხოლო გამოყენებული კონკრეტული რესურსებიდან, პასუხების სიხშირული გადანაწილების მიხედვით, ყველაზე მეტი ინტენსივობით სახელმძღვანელო და სავარჯიშოების კრებული გამოიყენება, შეიძლება მიუთითებდეს იმაზე, რომ სტუდენტებისათვის რესურსების მრავალფეროვნება ჩვეული, ტრადიციული რესურსების გამოყენებას გულისხმობს.

6.3. მასწავლებლების მიერ გამოყენებული მეთოდების შეფასება

მასწავლებლების მიერ სწავლების პროცესში გამოყენებულ მეთოდებსა და სტრატეგიებს მრავალფეროვნად მიიჩნევს სტუდენტების თითქმის სამი მეოთხედი (74.9%). 11,3% კი არ მიიჩნევს მრავალფეროვნად. მეთოდებისა და სტრატეგიების გამოყენების შეფასებაზე უარს აცხადებს 5.7%, ხოლო 8%-ს არ აქვს კითხვაზე პასუხი. ამგვარად, სტუდენტების სამი მეოთხედი მიიჩნევს, რომ მასწავლებლების უმრავლესობა საკმარისად მრავალფეროვან მეთოდებსა და სტრატეგიებს იყენებენ სწავლა-სწავლების პროცესში.

დიაგრამა 8. სტუდენტების მოსაზრებები მასწავლებლების მიერ მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენების შესახებ



სტუდენტების გამოკითხვისას ასევე განხორციელდა ცალკეული სტრატეგიისა და მეთოდის გამოყენების სიხშირის შეფასება. შეფასებაში გამოიკვეთა: სტუდენტთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ყოველ ლექციაზე გრამატიკული წესების დასწავლა ხორციელდება (46.6%). ასევე, ყველაზე ხშირად გამოყენებული სწავლების სტრატეგიაა

**საშელავათო პოლიტიკისეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს
უმალღესი განათღების სისტემაში**

ღებატები (41.2%) და ლექცია (40.7%). ყველაზე იშვიათად მასწავღებღები ინტერაქციული სწავღების მეთოღებიდან იყენებენ როღურ თამაშებს (40%-ზე მეტი სტუღენტი აცხადებს, რომ არასდროს გამოიყენება), ფიღმის ჩვენებისა და განხიღვის (>31% არასდროს), პრეზენტაციის (<20% არასდროს, <22% - თვეში ერთხელ ან უფრო იშვიათად) და დისკუსიის სტრატეგიებს (>34% არასდროს ან იშვიათად). რეაღურად, ზემოთ მოხსენებული სწავღების მეთოღებისა და სტრატეგიების სიხშირე ჯგუფური და წყვიღებში მუშაობის, პრეზენტაციის, დისკუსიის, ფიღმების ჩვენებისა და განხიღვის შემთხვევაში, ფასღება ყოველ ლექციაზე გამოყენების სიხშირესა და თვეში რამდენჯერმე გამოყენების სიხშირეებს შორის სტუღენტების დაახლოებით მესამეღში. გრამატიკული წესების დასწავღის შემთხვევაზე კი სტუღენტების 72%-ზე მეტი აცხადებს, რომ ეს მიღღომა ყოველ ან თითქმის ყოველ ლექციაზეა გამოყენებული.

სტუღენტთა პასუხების სიხშირეთა ასეთი გაღანაწიღება სწავღების მეთოღებისა და სტრატეგიების მრავალფეროვნების შეფასებასთან მიმართებით საფუღვეღს გვამღევს ვივარაუღოთ, რომ სტუღენტები მრავალფეროვნად მიიჩნევენ სწავღების პროცესში გამოყენებულ მეთოღებსა და მიღღომებს იმ შემთხვევაშიც კი, როღესაც გრამატიკული წესების დასწავღასა და ლექციის სტრატეგიის გამოყენებას მნიშვნელოვნად ხშირად იყენებენ მასწავღებღებღები. ეს გვამღევს საფუღვეღს ვივარაუღოთ, რომ ლექტორების დიდი ნაწიღი ინტერაქციულ სწავღებაზე დაფუღნებულ თანამეღროვე მიღღომებთან შეღარებით, უპირატესობას ე.წ. ტრადიციულ მეთოღებს ანიჭებს.

ღბრიღი 23. მასწავღებღების მიერ გამოყენებული სტრატეგიების სიხშირე


	უბასუხო	არასოღეს	თვეში ერთხელ ან უფრო იშვიათად	თვეში რამდენჯერმე	თითქმის ყვეღა ლექციაზე	ყვეღა ლექციაზე
მასწავღებღების უმრავღესობა სწავღებისას იყენებს მრავალფეროვან მეთოღებს და სტრატეგიებს	1.1	74.9	11.3	8.0	4.7	0
ლექცია	1.0	5.3	12.3	18.8	21.9	40.7
პრეზენტაცია	.4	20.5	22.2	35.8	12.7	8.4
როღური თამაში	.4	40.0	24.5	23.1	7.5	4.4
ჯგუფური მუშაობა	.7	16.4	19.5	32.6	17.9	12.8
წყვიღებში მუშაობა	1.4	14.0	22.8	33.9	16.7	11.3
ფიღმის განხიღვა და ჩვენება	.6	31.1	22.9	32.2	8.7	4.6
დისკუსია	.9	17.9	26.8	30.9	14.0	9.5
ღებატები	.7	1.7	9.1	16.2	31.1	41.2
გრამატიკული წესების დასწავღა	1.0	4.6	7.0	15.1	25.8	46.6

საშეღავათო პოლიტიკისეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში

საინტერესოა სტუდენტების მიერ დისკუსიისა და დებატების სტრატეგიების გამოყენების სიხშირის საკმაოდ განსხვავებული შეფასება. სიხშირეთა ამგვარი გადანაწილება არ იძლევა საკმარის ინფორმაციას დასკვნის გამოსატანად, თუ რა მიზნისათვის იყენებენ მასწავლებლები საგაკვეთილო პროცესში აზრთა გაცვლის, საკუთარი მოსაზრების არგუმენტირებულად გადმოცემის, ურთიერთ და ერთობლივი სწავლის მეთოდზე დაფუძნებულ სწავლებას, ცოდნის შექმნისათვის გამიზნულ დისკუსიებს და რამდენად არიან ორიენტირებულები დებატების დროს სტუდენტებისათვის მოსაზრებების გამოთქმისა და პოზიციის დაცვის უნარების განვითარებაზე. მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტები შეიძლება გამოკითხვის დროს დეტალურად არ აანალიზებდნენ იმ ნიუანსებს, რომლებიც დისკუსიასა და დებატებს შორის არსებობს, თუმცა, სიხშირული გადანაწილება გვამძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ სტუდენტებისათვის გაკვეთილების/ლექციების ფარგლებში განხორციელებული აქტივობა მეტად არის დაკავშირებული დებატებთან, ვიდრე დისკუსიასთან. სტუდენტების პასუხები სხვა კითხვებზე საშუალებას მოგვცემს, ასევე, გავაანალიზოთ, რამდენად კარგად იცნობენ ისინი სწავლა-სწავლების სხვადასხვა მეთოდსა და სტრატეგიას და ახდენენ თუ ვერა მათ შორის განსხვავებების იდენტიფიცირებას.

პროგრამის ზოგადი ამოცანებიდან გამომდინარე, სტუდენტებს ასევე უნდა შეეფასებინათ მასწავლებლების მიერ კითხვის უნარების განვითარებისაკენ მიმართული სტრატეგიები და მეთოდები. საგულისხმოა, რომ სტუდენტების თითქმის 80% მიიჩნევს: კითხვის უნარების გაუმჯობესებისათვის მრავალფეროვანი მეთოდები გამოიყენება. გამოყენებული მეთოდები არ მიაჩნია მრავალფეროვნად სტუდენტების 8.5%-ს. პასუხს არ სცემს კითხვას ან არ იცის, როგორ შეაფასოს კითხვის უნარების განვითარებისკენ მიმართული აქტივობები დაახლოებით 13%-მა.

დიაგრამა 9. მასწავლებელთა მიერ კითხვის სწავლებისას გამოყენებული მეთოდები



კონკრეტული მეთოდების და სტრატეგიების გამოყენების სიხშირის აღწერისას იკვეთება, რომ ყველაზე ხშირად გამოყენებული მეთოდია ერთი სტუდენტის წაკითხულის მოსმენა ჯგუფის მიერ. ასევე, სტუდენტთა დაახლოებით მესამედი აცხადებს, რომ ყველა ლექციაზე გამოიყენება რიგრიგობით კითხვის სტრატეგია. 30%-

**საშელავათო პოლიტიკისეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს
უმალღესი განათლებების სისტემაში**

ზე მეტი სტუდენტი ასევე აცხადებს, რომ ტექსტის გააზრებაზე სავარჯიშოები კეთდება ყველა ლექციაზე.

ასევე, ყველა ლექციაზე განხორცილებულ სტრატეგიად სტუდენტების 29.8 % ასახელებს ლექტორის მიერ კითხვას დასმასა და სტუდენტთა პასუხების მოსმენას. სტუდენტების მეოთხედზე მეტი აცხადებს, რომ წაკითხული ტექსტის ირგვლივ კითხვების დასმა სწავლა-სწავლების პროცესში ყველა ლექციაზე გამოყენებული სტრატეგიაა. სტუდენტების თითქმის 20% აცხადებს, რომ წაკითხული ტექსტის ზეპირად გადმოცემისა და ინდივიდუალური კითხვის მეთოდები ყველა ლექციაზე გამოიყენება. კითხვის სწავლების ყველაზე იშვიათ სტრატეგიად სახელდება ინფოგრაფიკების, ცხრილების და ორგანიზატორების გამოყენება და წაკითხული ტექსტების გაგრძელების საკუთარი ვერსიის შექმნა. ამ სტრატეგიებთან დაკავშირებით, სტუდენტების დაახლოებით მესამედი აცხადებს, რომ თვეში რამდენჯერმე ხორციელდება, ხოლო 40%-ზე მეტი აცხადებს, რომ ინფოგრაფიკები, ცხრილები და სხვა ვიზუალური მასალა არასდროს ან თვეში ერთხელ და უფრო იშვიათად გამოიყენება.

ცალკეული მეთოდების შეფასება აჩვენებს, რომ ტექსტის ანალიზისა და კრიტიკული დამოკიდებულებისკენ მიმართული აქტივობების სიხშირე ნაკლებია შინარსის გაგებას, ცოდნის აგებასა და გამოყენებაზე ორიენტირებულ მეთოდებთან შედარებით და მეტწილად ფოკუსირებულია კონკრეტული ტექსტის დამუშავებაზე.


ცხრილი 24. მასწავლებლების მიერ კითხვის სწავლების სტრატეგიების გამოყენების სიხშირე

	უბასუხო	არასოდეს	თვეში ერთხელ ან უფრო იშვიათად	თვეში რამდენჯერმე	თითქმის ყველა ლექციაზე	ყველა ლექციაზე
რიგრიგობით კითხვა	.7	6.0	9.4	24.2	26.8	32.9
ერთი სტუდენტი კითხულობს, სხვები უსმენენ	.4	8.0	12.4	22.1	23.8	33.3
ლექტორი კითხულობს, სტუდენტები უსმენენ	.4	10.3	18.1	24.9	16.5	29.8
ინდივიდუალური კითხვა	.7	9.0	15.2	34.9	21.4	18.8
ტექსტის ჯგუფში კითხვა და შინარსის სხვებისთვის გაცნობა	.4	13.5	18.5	30.8	22.8	14.0
ტექსტის წაკითხვა და ზეპირად გადმოცემა	.6	6.8	18.5	30.3	24.1	19.7
წაკითხულ ტექსტზე დაყრდნობით სავარჯიშოების შესრულება	1.0	2.6	9.3	24.1	32.5	30.6
წაკითხული ტექსტის გარშემო კითხვების დასმა	1.0	4.3	10.0	27.4	31.9	25.5
წაკითხული ტექსტის გაგრძელების საკუთარი ვერსიის შექმნა	.7	14.4	23.2	35.3	16.2	10.1
კითხვის სხვადასხვა ფაზაში დიაგრამას და ცხრილების გამოყენება	2.8	20.2	21.8	34.6	12.8	7.7

საშეღავათო პოლიტიკისეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში

რაც შეეხება მასწავლებლთა მიერ წერიითი უნარების განსავითარებლად მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენების შეფასებას ქართული ენის პროგრამის სტუდენტების მიერ, ტენდენცია კვლავ იმავე ტიპისაა: სტუდენტების თითქმის 79% გამოყენებულ მეთოდებს მრავალფეროვნად მიიჩნევს, ხოლო თითქმის 10% არ თვლის ასე. ასევე, 12%-ზე მეტი ვერ ან არ პასუხობს კითხვას წერიითი უნარების განვითარებისათვის მეთოდების მრავალფეროვნებასთან დაკავშირებით.

დიაგრამა 10. მასწავლებლთა მიერ წერიითი უნარების განსავითარებლად გამოყენებული მეთოდები



თუმცა, კონკრეტული მეთოდების შეფასებისას, სტუდენტების პასუხები არაერთგვაროვნად არის გადანაწილებული შეფასების ქულებს შორის. ნიშანდობლივია, რომ პასუხების დაახლოებით მესამედი „თვეში რამდენჯერმე“ გამოყენების არეალშია განთავსებული. თუმცა, ისეთი აქტივობები, როგორებიცაა ტექსტში გამოტოვებული სიტყვების ჩაწერა, ტექსტში შეცდომით დაწერილი სიტყვების გასწორება ან გრამატიკული შეცდომების გასწორება, ბევრად უფრო ხშირად - ყოველ ან თითქმის ყველა ლექციაზე გამოიყენება, ვიდრე დანარჩენი აქტივობები.

აღსანიშნავია, რომ წაკითხულ ტექსტზე ესეის დაწერის ან სხვადასხვა მასალის გაცნობისა და რეფერატის წერის აქტივობები არასდროს გამოიყენება სტუდენტების 21-30%-ის შეფასებით. ასევე, არასდროს გამოიყენება ტექსტის გადაწერისა და კარნახის სტრატეგია, როგორც წერის უნარის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული აქტივობა - სტუდენტების 20%-ზე მეტის შეფასების მიხედვით.

ამგვარი გადანაწილება საფუძველს იძლევა ვივარაუდოთ, რომ მასწავლებლები ნაკლებად იყენებენ როგორც დამახსოვრებისაკენ მიმართულ მეთოდებს, ასევე, ნაკლებად არიან ორიენტირებულები ანალიზის, სინთეზისა და შეფასების უნარების განვითარებაზე სტუდენტებს შორის და მეტწილად ლექსიკური ერთეულებისა და

**საშეღავათო პოლიტიკისეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს
უმადლესი განათლების სისტემაში**

გრამატიკული წესების დასწავლისა და გამოყენების უნარების გაუმჯობესებას ისახავენ მიზნად.

წერის უნარის განვითარებისაკენ მიმართული მეთოდებისა და მიდგომების საერთო შეფასება ასევე ეფუძნება სტუდენტების მიერ ცალკეული მეთოდების გამოყენების სიხშირეების ანალიზსაც, სადაც სტში გრამატიკული შეცდომების გასწორება, ტექსტში შეცდომით დაწერილი სიტყვების გასწორება და ტექსტში გამოტოვებული სიტყვები ჩაწერა ყველაზე მაღალი სიხშირით დასახელებული სტრატეგიებია.


ცხრილი 25 მასწავლებლების მიერ წერთი უნარების განსავითარებლად გამოყენებული სტრატეგიების სიხშირე

	უბასუხო	არასოდეს	თვეში ერთხელ ან უფრო იშვიათად	თვეში რამდენჯერმე	თითქმის ყველა ლექციაზე	ყველა ლექციაზე
ტექსტის გადაწერა	.9	22.4	20.2	26.1	18.5	12.0
კარნახი	.9	21.5	21.1	31.6	14.7	10.3
სუფთა წერა	.7	16.7	21.9	30.2	18.2	12.3
მოსმენილი ტექსტი შინაარსის დაწერა	.6	15.4	17.4	38.6	17.1	11.0
წაკითხულ ტექსტზე ესეის დაწერა	.4	21.8	21.4	30.5	16.4	9.5
ტექსტში გამოტოვებული სიტყვები ჩაწერა	.7	6.4	14.8	33.0	25.8	19.2
ტექსტში შეცდომით დაწერილი სიტყვების გასწორება	.4	7.1	16.2	33.0	22.5	20.7
ტექსტში გრამატიკული შეცდომების გასწორება	.6	6.6	17.2	29.8	21.2	24.6
სხვადასხვა მასალის გაცნობა და რეფერატის წერა	.9	30.1	22.8	22.6	13.2	10.4
ტექსტიდან სიტყვების ლოგიკურად დაკავშირება	1.3	12.3	19.5	32.3	23.6	11.0

საშეღავათო პოლიტიკისეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში

მოსმენის და ლაპარაკის განვითარებისაკენ მიმართული მეთოდების მრავალფეროვნებას ასევე სტუდენტების თითქმის 78% მრავალფეროვნად მიიჩნევს. 10%-ზე ცოტა მეტი კი არ მიიჩნევს ასე. სტუდენტების ზუსტად 12% არ და ვერ პასუხობს კითხვას.

დიაგრამა 11. მასწავლებელთა მიერ მოსმენისა და ლაპარაკის უნარების განსავითარებლად გამოყენებული მეთოდები



თუმცა, იმავდროულად, დიალოგის გათამაშება, საკუთარი ისტორიების შეთხზვა და გაზიარება, ტექსტის მოსმენა და ანალიზი, ტექსტის მოსმენა და შესაბამისი გრამატიკული დავალებების შესრულება სტუდენტთა დაახლოებით მეხუთედის მიერ სახელდება როგორც თითქმის ყველა ლექციაზე განხორციელებული აქტივობა. ტექსტების მოსმენა და ანალიზი, მოსმენილ ტექსტში მოცემული სიტყვების დასწავლა და გრამატიკული სავარჯიშოების შესრულება ის მეთოდებია, რომლებიც ყველა ლექციაზე გამოიყენება. ინტერვიუები, როგორც ინტერაქციული კომუნიკაციის განვითარების სტრატეგია არასდროს გამოიყენება სტუდენტების 42%-ის პასუხების მიხედვით. სტუდენტების პრეზენტაციები, გამოკითხულთა 20%-ზე მეტის პასუხის მიხედვით, არასდროს გამოიყენება. შესაბამისად, მოსმენისა და ლაპარაკის მიმართულებით შეიძლება ვისაუბროთ მასწავლებლების მიერ ცოდნისა და გამოყენების უნარების განვითარებაზე ორიენტირებული მეთოდებით სწავლების განხორციელებაზე, რაც ტრადიციული სწავლების ქვაკუთხედს წარმოადგენს.

**საშელავათო პოლიტიკისეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს
უმადლესი განათლების სისტემაში**


ცხრილი 26. მასწავლებლების მიერ მოსმენისა და ლაპარაკის უნარების განსავითარებლად გამოყენებული სტრატეგიების სიხშირე

	უპასუხო	არასოდეს	თვეში ერთხელ ან უფრო იშვიათად	თვეში რამდენჯერმე	თითქმის ყველა ლექციაზე	ყველა ლექციაზე
ინტერვიუს ჩატარება	.6	42.0	18.9	24.8	10.1	3.6
დიალოგის გათამაშება	.7	11.5	19.1	36.6	20.1	12.0
საკუთარი ამბების და ისტორიების შეთხზვა და თხრობა	.6	7.1	23.9	38.2	20.4	9.8
ტექსტის მოსმენა და ანალიზი	.4	11.0	16.0	28.2	23.9	20.5
საკუთარი გამოცდილების შესახებ საუბარი	1.0	14.2	22.9	35.8	16.8	9.3
დებატები	.9	19.2	23.8	31.6	15.8	8.7
სტუდენტების პრეზენტაციები	.3	21.2	24.8	30.9	13.2	9.5
ტექსტის მოსმენა და ახალი სიტყვების დასწავლა	.3	8.3	9.8	23.1	29.6	28.9
ტექსტის მოსმენა და გრამატიკული სავარჯიშოების შესრულება	.7	11.4	12.4	27.4	23.4	24.8

კითხვარში სტუდენტებს ასევე უნდა გაეცათ პასუხები კითხვებზე, რომლებიც მეტაკოგნიციის წახალისებას აფასებდა სწავლა-სწავლების პროცესში. სტუდენტების დიდი უმრავლესობა თვლის, რომ მასწავლებლები სათანადოდ უხსნიან, თუ როგორ უნდა მიუდგნენ სასწავლო საკითხებს სწავლის პროცესში (76.6%). სხვა დებულებებთან განსხვავებით, სტუდენტების მხოლოდ 7.4% არ ეთანხმება დებულებას, ხოლო 16% არ ან ვერ სცემს კითხვას პასუხს.

საშეღავათო პოლიტიკის ეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში

დიაგრამა 12. მასწავლებელთა მიერ სწავლის სწავლასთან დაკავშირებული მეთოდების შეფასება



კონკრეტული მეთოდების დასახელების შემთხვევაში, სტუდენტების პასუხების მიხედვით, თითოეული მეთოდი გამოკითხვის შეფასების - „თვეში რამდენჯერმე და ყველა ლექციაზე“ შუალედში არის განთავსებული. ამასთან, მასწავლებლები „ჩანაწერების წარმოებას“ სტუდენტების 37%-ს ურჩევს თვეში რამდენჯერმე, ხოლო „ახალი საკითხის ახსნის შემდეგ დამოუკიდებლად ან ჯგუფებში გასაკეთებელ დავალებას“ სტუდენტების 30%-ს აძლევენ თვეში რამდენჯერმე, 26%-ზე მეტს - თითქმის ყველა ლექციაზე, ხოლო, 21%-ზე მეტს კი - ყველა ლექციაზე.

ახსნილი მასალის მოკლედ შეჯამებას მასწავლებლები სტუდენტების 33%-ზე მეტს პასუხების მიხედვით თვეში რამდენჯერმე იყენებენ, 23%-ს თითქმის ყველა ლექციაზე, ხოლო თითქმის 18%-ს - ყველა ლექციაზე. სტუდენტების მიერ სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენების ინტენსივობა, საერთო ჯამში, თანხვედრაშია სტუდენტების მიერ მასწავლებლების აქტიური ჩართულობის აღიარებასთან. მაგ. „მასწავლებლები გვიხსნიან, რა მეთოდების გამოყენებით უნდა ვიმუშაოთ სახლში“ ან „მასწავლებლები გვეკითხებიან, რა იყო გაკვეთილზე ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი“ - ხშირად არის დასახელებული, როგორც ყველა ან თითქმის ყველა ლექციაზე გამოყენებული აქტივობა.

რაც შეეხება მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენებას სტუდენტების მიერ დამოუკიდებლად მუშაობის პროცესში, ყველაზე მეტი გამოკითხული აცხადებს, რომ თვეში რამდენჯერმე იყენებს მუშაობისას მეტაკოგნიტურ სტრატეგიებს. მეოთხედზე მეტი ყოველი ლექციისათვის ცდილობს გაიაზროს სასწავლო მასალის მნიშვნელობა, ხოლო 23% მასალას ყოველთვის განსხვავებულ დროს და ენერგიას უთმობს ინტერესის მიხედვით.

საერთო ჯამში, სტუდენტების მოსაზრებების მიხედვით, შეიძლება ვისაუბროთ „სწავლის სწავლების“ სტრატეგიების წახალისებაზე პროგრამის ფარგლებში, რაც უდავოდ უნდა ჩაითვალოს მნიშვნელოვან კონტრიბუციად პროგრამის გრძელვადიანი და ეფექტური შედეგების მიღების მიზნით.

საშელავათო პოლიტიკისეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში


ცხრილი 27. მასწავლებლების მიერ სწავლის სწავლისთვის გამოყენებული სტრატეგიების სიხშირე

	უბასუხო	არასოდეს	თვეში ერთხელ ან უფრო იშვიათად	თვეში რამდენჯერმე	თითქმის ყველა მოხიბიაში	ყველა ლეწციაზე
მასწავლებლები გვირჩევენ ჩანაწერების წარმოებას	1.9	10.4	18.9	37.0	18.8	13.0
მასწავლებლები გვთხოვენ ახსნილი მასალის მოკლედ შეჯამებას	1.3	7.1	16.7	33.9	23.1	17.9
მასწავლებლები გვიხსნიან, რა მეთოდების გამოყენებით ვიმუშაოთ სახლში	1.1	6.6	17.1	29.9	22.1	23.2
მასწავლებლები გვეკითხებიან, რა იყო გაკვეთილში ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები	.9	5.0	13.8	28.3	28.3	23.6
ახალი საკითხის ახსნის შემდეგ გვაძლევენ დამოუკიდებლად ან ჯგუფებში გასაკეთებელ დავალებას	1.0	5.4	15.5	30.3	26.4	21.4
მე ყოველთვის ვცდილობ გავიხსენო, რა ვიცოდი ადრეც სასწავლო საკითხის შესახებ	1.4	9.0	17.2	35.9	18.1	18.4
ყოველთვის ვცდილობ გავიაზრო, რატომ არის სასწავლო	1.3	6.3	12.7	30.5	23.8	25.5
სასწავლო მასალას სხვადასხვა დროს და ენერგიას ვუთმობ იმის მიხედვით, რამდენად საინტერესოა	1.0	6.3	15.2	29.5	24.2	23.8

6.4. კლასგარეშე აქტივობების შეფასება

პროგრამის ფარგლებში, კლასგარეშე სწავლების გამოყენების შესახებ დადებით პასუხს იძლევა სტუდენტების 48.1%, ხოლო 31.9% კი უარყოფითად პასუხობს კითხვას. 20%-ზე მეტი არ ან ვერ პასუხობს კითხვას.

დიაგრამა 13. მასწავლებელთა მიერ კლასგარეშე აქტივობების გამოყენების შესახებ



საშელავათო პოლიტიკისეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში

თუ ცალკეული აქტივობის სიხშირეების შეფასებას დავაკვირდებით ქვემოთ მოცემულ ცხრილში, აშკარად ჩანს, რომ 30%-დან 70%-მდე სტუდენტებს არასდროს მიუღიათ მონაწილეობა ცალკეულ აქტივობაში. თუმცა, მეორე მხრივ, სტუდენტების თითქმის 24% აცხადებს, რომ ფილმის ჩვენება-განხილვა ხშირად (თვეში რამდენჯერმე) ან ძალიან ხშირად (13.5%) გამოიყენება პროგრამის ფარგლებში. მოწვეული სტუმარი, 20.5% სტუდენტების მოსაზრების მიხედვით, თვეში რამდენჯერმე მიღებული პრაქტიკაა. საერთო ჯამში, სტუდენტების მიერ კლასგარეშე პერიოდისა და სივრცის გამოყენების ზოგადი შეფასება უფრო მაღალია, ვიდრე ცალკეული აქტივობის კუთხით მაღალი სიხშირული გადანაწილება. დასახელებული აქტივობები, რომლებიც უფრო ხშირად გამოიყენება, მეტ-ნაკლებად მრავალფეროვანია.


ცხრილი 28 ცალკეული კლასგარეშე აქტივობის გამოყენების სიხშირე

	უბასუხო	არასოდეს	თვეში ერთხელ ან უფრო იშვიათად	თვეში რამდენჯერმე	თითქმის ყველა ლექციის ფარგლებში	ყველა ლექციის ფარგლებში
ფილმის ჩვენება და განხილვა	1.1	33.6	24.5	23.8	13.5	3.4
მოწვეული სტუმართან საუბარი	2.4	41.7	24.8	20.5	8.1	2.4
საჯარო ლექციაზე წასვლა	2.0	50.3	18.9	16.7	9.0	3.1
კონკურსების ორგანიზება	2.0	47.6	22.9	18.7	6.4	2.4
მუზეუმებში, კულტურულ ცენტრებში ვიზიტი	1.1	47.4	19.2	18.8	10.5	2.8
ექსკურსიები შემეცნებით მიზნით	5.4	53.4	18.4	16.1	4.8	1.9
საზაფხულო, ზამთრის ან სხვა ტიპის ინტენსიური სკოლები	1.7	68.5	12.7	11.0	4.7	1.4
გასვლითი ტრენინგების, ვორკშოპების ორგანიზება	2.3	53.6	19.5	15.5	6.6	2.6
ჩათის/საუბრის დრო და სივრცე	1.3	34.5	20.8	22.1	15.1	6.3
სპექტაკლზე ვიზიტი ან სპექტაკლის დადგმა	2.0	60.0	15.4	14.1	5.4	3.1

6.5. ტექნოლოგიებისა და ონლაინ პლატფორმის გამოყენება სასწავლო პროცესში

რაც შეეხება ტექნოლოგიების გამოყენებას სწავლა-სწავლების პროცესში, სტუდენტების 44% აცხადებს, რომ სწავლების პროცესში გამოიყენება ელექტრონული პლატფორმა, თითქმის 15% კი უარყოფითად პასუხობს კითხვას. შესაბამისად, 41%-ზე მეტი არ ან ვერ პასუხობს კითხვას.

დიაგრამა 14. მასწავლებელთა მიერ ტექნოლოგიებისა და ონლაინ პლატფორმის გამოყენების შესახებ



კალკულ დებულებებზე, რომლებიც სასწავლო პლატფორმის გამოყენების სხვადასხვა მეთოდს აღწერს, სტუდენტების საშუალოდ მეოთხედი აცხადებს, რომ სხვადასხვა მიმართულებით ტექნოლოგიები და ინტერნეტი ხანდახან გამოიყენება. ამასთან, ინტერნეტს და ტექნოლოგიებს სასწავლო რესურსების შესარჩევად მასწავლებლების თითქმის მეოთხედი იყენებს ხანდახან, თითქმის 18% ხშირად და 8.7% - ინტენსიურად. 22%-ზე მეტი სტუდენტი საუბრობს, რომ მასწავლებელი ინტერნეტისა და კომპიუტერის გამოყენებას საკლასო დავალების შესრულებისათვის ხშირად მოითხოვს. ამდენივე სტუდენტი აცხადებს, რომ მასწავლებელი ინტერნეტის, კომპიუტერის და ბიბლიოთეკის გამოყენებას საშინაო დავალების შესრულებისათვის ხშირად ითხოვს, სტუდენტების 27.8% კი აცხადებს, რომ ხანდახან იყენებს მასწავლებელი სწავლების ამ ტექნიკას.

მიუხედავად იმისა, რომ ნაკლები ინტენსივობით ფასდება თავად მასწავლებლის ჩართულობა ტექნოლოგიების გამოყენებაში, მათ შორის მასწავლებლების ელექტრონული ჩართულობა სტუდენტებთან კომუნიკაციისათვის, საერთო ჯამში, ტექნოლოგიების დანერგვა სწავლების პროცესში საკმაოდ მაღალი ინტენსივობით ფასდება სტუდენტების დიდი პროცენტის მიერ. შესაბამისად, მასწავლებლების მიერ გამოყენებული რესურსების შეფასებისას ზოგად ნაწილში, ელექტრონული და ინტერნეტ რესურსების შეფასების დაბალი ინტენსივობა არ შეესაბამება სტუდენტების მიერ კონკრეტულად ტექნოლოგიების დანერგვის სხვადასხვა დებულების შეფასებას.

**საშელავათო პოლიტიკის ეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს
უმალესი განათლების სისტემაში**

ცხრილი 29. მასწავლებელთა მიერ ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის ცალკეული მიდგომების გამოყენების სიხშირე

	უბსაუხი	არასოდეს	იშვითად	ხანდახან	ხშირად	ინტენსიურად
მასწავლებელი იყენებს ინტერნეტსა და ტექნოლოგიებს სასწავლო რესურსების შესარჩევად	1.4	25.5	21.7	24.8	17.9	8.7
მასწავლებელი გვითხვს ინტერნეტისა და კომპიუტერის გამოყენებას საკლასო დავალების შესრულებისას	1.7	23.5	21.9	23.1	22.6	7.1
მასწავლებელი ითხოვს ინტერნეტს, კომპიუტერის და ბიბლიოთეკის გამოყენებას საშინაო დავალების შესასრულებლად	2.1	18.7	20.8	27.8	23.4	7.3
მასწავლებელი იყენებს ინტერნეტს, ელ. ფოსტას ან სხვა საშუალებას სტუდენტებთან კომუნიკაციისას	1.3	27.4	23.2	20.1	19.9	8.1
მასწავლებელი იყენებს ინტერნეტსა და საინფორმაციო ტექნოლოგიებს სტუდენტთა კონსულტირებისთვის	1.7	28.6	22.8	24.1	16.8	6.0

6.6. პროგრამის ინფრასტრუქტურის შეფასება

პროგრამისათვის ტექნიკურ და ინფრასტრუქტურულ შესაბამისობას, სტუდენტების მაღალი წილი, საშუალოდ 50%-60% კარგად ან ძალიან კარგად მიიჩნევის. დაახლოებით მეოთხედი თვლის, რომ ის მეტ-ნაკლებად შესაბამისობაშია ქართული ენის პროგრამის ეფექტურობის ამოცანებთან. ტექნიკური და აკადემიური რესურსებით უზრუნველყოფის მაღალი ან ძალიან მაღალი შეფასების საერთო ფონზე, მცირედ ნაკლები წილი სტუდენტებისა თვლის, რომ სხვადასხვა ვიზუალური მასალა ძალიან უწყობს ხელს სწავლა-სწავლების პროცესს.

**საშელავათო პოლიტიკის ეფექტურობის და შედეგების კვლევა საქართველოს
უმალლესი განათლების სისტემაში**

ცხრილი 30 სტუდენტთა მიერ პროგრამის ინფრასტრუქტურული კომპონენტების შეფასება

	უპასუხო	1	2	3	4	5
პროგრამისთვის გამოყოფილი ინფრასტრუქტურა (შენობა, გათბობა, გაგრილება, აღჭურვილობა, ავეჯი და ა.შ.) უზრუნველყოფს ენის ეფექტურად სწავლებას	1.3	9.5	11.7	25.5	24.2	27.8
პროგრამის სტუდენტებისთვის კომპიუტერი და ინტერნეტი მუდმივად და შეუზღუდავად ხელმისაწვდომია	1.3	12.5	12.5	26.1	21.2	26.4
გამოყოფილი აღჭურვილობა (კომპიუტერები, პროექტორები, აუდიო-ვიდეო აპარატურა უზრუნველყოფს ენის შესწავლის ეფექტურობას	1.4	12.7	14.4	22.2	25.8	23.5
პროგრამის სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია მდიდარი ბიბლიოთეკა ენის სწავლისა და აკადემიური ცოდნის მისაღებად	1.3	10	12.1	21.8	26.4	28.5
პროგრამის სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია, საინფორმაციო-ტექნოლოგიების ოთახი (რესურს ოთახი) ენის სწავლისა და აკადემიური ცოდნის მისაღებად	1.3	10.7	14.2	24.4	24.1	25.4
ენის სწავლებისას კურსებში გამოყენებული ჩვენი საჭიროებების შესაბამისი, ხარისხიანი სახელმძღვანელოები	1.6	6.0	10.0	24.6	31.1	26.8
პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სახელმძღვანელოები ფინანსურად ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის	1.9	11.0	11.8	24.5	27.4	23.5
სწავლების პროცესში გამოყენებული სახელმძღვანელოების ელექტრონული ვერსიები ხელმისაწვდომია სტუდენტთათვის	2.0	15.1	13.8	21.9	21.2	25.9
პროგრამა უზრუნველყოფილია ვიზუალური მასალით (თვალსაჩინოებებით, პოსტერები, კარტები, რუკები, გასაფრადებელი ფურცლები, ნახატები და სხვა)	1.3	18.7	17.4	28.1	21.5	13.1
თვალსაჩინოებები აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში ყველა კურსზე, ყველა მასწავლებლის მიერ	1.4	12.4	15.2	27.4	24.5	19.1
პროგრამა უზრუნველყოფილია ენის სწავლებისთვის საჭირო საკანცელარიო და დამხმარე მასალით	1.0	13.1	14.5	23.6	27.6	20.1
ვებგვერდი, ელექტრონული პლატფორმა, ე-ფოსტა აქტიურად გამოიყენება ადმინისტრაციის მიერ სტუდენტებთან კომუნიკაციისთვის	1.3	16.4	14.5	22.2	20.9	24.6

თუ სტუდენტების შეფასებას მთლიანობაში გავანალიზებთ, უნდა ვისაუბროთ პროგრამის ყველა კომპონენტით მაღალ კმაყოფილებაზე. რაც შეეხება გამოყენებული

**საშელავათო პოლიტიკისეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს
უმალღესი განათლების სისტემაში**

მეთოდებისა და სტრატეგიების მრავალფეროვნებას და შესაბამისობას პროგრამის მიზნებთან, სტუდენტების შეფასებების მიხედვით, რიგი ინტერაქციული მიდგომების, ანალიზისა და კრიტიკული აზროვნების განვითარებაზე ორიენტირებული მეთოდების ნაკლები სიხშირით გამოყენება შესაძლოა მიუთითებდეს: ა) სტუდენტების არასაკმარის მზაობაზე როგორც ენობრივად, ასევე ზოგად-აკადემიურად, პროგრამის ფარგლებში ამ ტიპის მიდგომებით სწავლის პროცესისათვის; ბ) მასწავლებლების მიერ სწავლა-სწავლების ტრადიციულ მიდგომების გამოყენებისათვის უპირატესობის მინიჭებაზე. გ) მასწავლებლების ნაკლებ მზაობაზე ინტერაქციული, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების განხორციელებისათვის.

6.7. სტუდენტების შეფასებები სამიზნე უნივერსიტეტების დონეზე

გარდა ზოგადი შეფასებისა, ჩვენ საინტერესოდ მივიჩნიეთ, უნივერსიტეტების მიხედვით გაგვეანალიზებინა სტუდენტების მიერ პროგრამის სხვადასხვა კომპონენტის შეფასებები. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია თითოეული კომპონენტის შეფასების ორივე, „ვეთანხმები“ და „სრულიად ვეთანხმები“ ქულებით შეფასებების ჯამი უნივერსიტეტების მიხედვით. თვალსაჩინოა, რომ უნივერსიტეტების მიხედვით შეფასებებში გამოკვეთილია ტენდენციების მსგავსება, თუმცა განსხვავებულია შეფასების ინტენსივობა;

ცხრილი 31 სტუდენტთა მიერ დებულებებზე „ვეთანხმები“ და „სრულიად ვეთანხმები“ შეფასებების ჯამები უნივერსიტეტების მიხედვით


	ოსუ	ილია	სტუ	სსუ	სჯსუ	თსუ
შემოთავაზებული საგნები მრავალფეროვანია და მორგებულია სტუდენტების საგანმანათლებლო საჭიროებებზე	64.6%	83.1%	50.0%	73.6%	75.4%	75.8%
პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებული საგნები საინტერესოა	74.1%	85.8%	62.2%	85.2%	80.7%	88.7%
პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებული საგნები ხელს უწყობს ქართულის ენის დაუფლებას	72.7%	84.9%	65.4%	86.3%	89.5%	73.0%
პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებული საგნები ხელს უწყობს საუნივერსიტეტო განათლებისთვის ზოგად მომზადებას	62.5%	85.0%	58.3%	76.4%	78.9%	75.8%
პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებული დატვირთვა მოსახერხებელია ენის ათვისებისთვის	65.2%	81.8%	61.1%	77.8%	71.9%	73.0%
პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებული ყოველდღიური საათობრივი დატვირთვა ხელს უშლის ენის ეფექტურად დაუფლებას	77.0%	78.4%	68.2%	76.4%	80.7%	87.3%
პროგრამის ფარგლებში მეტი ყურადღება ეთმობა დაზეპირებასა და გრამატიკის სწავლებას	65.4%	86.4%	56.1%	76.8%	49.1%	66.7%

საშეღავათო პოლიტიკის ეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში

პროგრამის ზოგადი შეფასების ნაწილში კარგად ჩანს, რომ ილიაუნის, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის (სსუ), თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის (თსსუ) და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტების (სჯსუ) შეფასებები მნიშვნელოვნად აღემატება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (სტუ) სტუდენტების მაღალ შეფასებებს, სჯსუ-ს სტუდენტების თითქმის 90% დებულებას „საგნები ხელს უწყობს ქართულის ენის დაუფლებას“ მაღალი ან უმაღლესი ქულით აფასებს, ხოლო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებულ საგნებს საინტერესოდ ან ძალიან საინტერესოდ მიიჩნევს თსსუ-ს სტუდენტების 88%-ზე მეტი. იმავე უნივერსიტეტის სტუდენტების 87.3% მიიჩნევს, რომ „პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებული ყოველდღიური საათობრივი დატვირთვა ძალიან უშლის ან ხელს უშლის ენის ეფექტურად დაუფლებას“.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე კარგად ჩანს, რომ მთლიანობაში პროგრამის ეფექტურობას ყველაზე ხშირად მაღალ ან ძალიან მაღალ შეფასებას ანიჭებენ ილიას უნივერსიტეტის სტუდენტები (83.6%), ხოლო ყველაზე ნაკლებად კი, სტუ-ს სტუდენტები (60.2%). ასევე, შედარებით ნაკლებად ინტენსიურია მაღალი ან ძალიან მაღალი შეფასება თსუ-ს სტუდენტებს შორისაც (68.8%).

დიაგრამა 15. პროგრამის პოზიტიური შეფასება უნივერსიტეტების მიხედვით



რაც შეეხება სტუდენტების შეფასებებს პროგრამის ცალკეული კომპონენტების მიხედვით საუნივერსიტეტო ჭრილში, ქვემოთ მოცემულ ცხრილში კარგად ჩანს, რომ, მიუხედავად საერთო ძალიან მაღალი შეფასებისა უნივერსიტეტების დონეზე, სტუ-ს და თსუ-ს, ისევე, როგორც თსსუ-ს შემთხვევაში, შეფასებები კომპონენტების მიხედვითაც განსხვავებულია. დებულებას „მასწავლებლების უმრავლესობა სწავლებისას იყენებს მრავალფეროვან მეთოდებს და სტრატეგიებს“ სჯსუ-ს პროგრამის სტუდენტების 93% ეთანხმება, ხოლო დებულებას „მასწავლებლები კითხვითი უნარების განსავითარებლად მრავალფეროვან მეთოდებს იყენებდნენ“ - სსუ-ს

**საშელავათო პოლიტიკის ეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს
უმალესი განათლების სისტემაში**

სტუდენტების თითქმის 88%, იმავე დებულებას ილიას სტუდენტების 89.9% ეთანხმება.

ზოგადად, ილიას, სჯსუს და სსუ-ს სტუდენტები უფრო ხშირად ეთანხმებიან დებულებებს პროგრამის კომპონენტების შესაბამისობისა და ეფექტურობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ მაღალია იმ სტუდენტების წილი, რომლებიც პროგრამის ყველა კომპონენტს მაღალ შეფასებას ანიჭებენ სსუ-სა და სჯსუ-ში. რაც შეეხება თსუ-ს, აქ მოსაზრებები კომპონენტების მიხედვით, უფრო მეტად არის ყველა შესაძლო ვარიანტს შორის დაბალანსებული.

როგორც აღვნიშნეთ, კითხვის, წერის, მოსმენისა და ლაპარაკის უნარების განვითარებისათვის გამოყენებული მეთოდების ეფექტურობას სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტების განსხვავებული რაოდენობა ეთანხმება. ეს გვამღევეს საფუძველს დავასკვნათ, რომ სტუდენტების მოსაზრებები თანხვედრაშია პროგრამების განსხვავებებთან უნივერსიტეტების დონეზე, სადაც სხვადასხვა კომპონენტზე, განსხვავებულ აქცენტები კეთდება.

ცხრილი 32. პროგრამის ცალკეული კომპონენტების შეფასება უნივერსიტეტების მიხედვით


პროგრამის ცალკეული კომპონენტების შეფასება	თსუ	ილია	სტუ	სსუ	სჯსუ	თსსუ
მასწავლებლების უმრავლესობა სწავლებისას მრავალფეროვან სასწავლო რესურსებს იყენებს	74.1%	82.6%	75.2%	80.7%	84.2%	84.1%
მასწავლებლების უმრავლესობა სწავლებისას იყენებს მრავალფეროვან მეთოდებს და სტრატეგიებს	71.6%	86.6%	77.1%	86.0%	93.0%	76.2%
მასწავლებლები კითხვითი უნარების განსავითარებლად მრავალფეროვან მეთოდებს იყენებდნენ	77.8%	89.9%	65.6%	87.7%	84.2%	74.6%
მასწავლებლები წერითი უნარების განსავითარებლად მრავალფეროვან მეთოდებს იყენებდნენ	71.0%	86.6%	74.5%	77.2%	86.0%	76.2%
მასწავლებლები მოსმენისა და ლაპარაკის განსავითარებლად მრავალფეროვან მეთოდებს იყენებდნენ	77.1%	86.6%	93.0%	86.0%	76.2%	71.6%
მასწავლებლები გვიხსნიან, როგორ უნდა მივუდგეთ საკითხებს სწავლის პროცესში	74.1%	82.6%	75.2%	80.7%	84.2%	84.1%
პროგრამის ფარგლებში, მასწავლებლები ხშირად იყენებენ კლასგარეშე სწავლებას	45.2%	57.0%	57.9%	45.6%	31.7%	48.1%

სტუდენტების მიერ პროგრამის სხვადასხვა კომპონენტის ეფექტურობის პოზიტიურად შეფასების საშუალო უნივერსიტეტების მიხედვით, წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე, რომელიც უფრო მკაფიოდ აჩვენებს რომ ყველაზე მეტი

საშეღავათო პოლიტიკისეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში

სტუდენტი ილიას უნივერსიტეტში აფასებს ქართული ენის ერთწლიანი პროგრამის ყველა კომპონენტს პოზიტიურად.

დიაგრამა 16. პროგრამის კომპონენტების ერთობლივობის პოზიტიურად შეფასების სიხშირე უნივერსიტეტების მიხედვით



საინტერესოდ მივიჩნით, ასევე, სტუდენტების შეფასება ცალკეული რესურსის, აქტივობების, მასწავლებლების სწავლების სააუდიტორიო და კლასგარეშე მიდგომების ტიპების, „სწავლის სწავლების“ სტრატეგიების შესახებ. აქვე მოცემულია ცხრილი, სადაც სტუდენტთა პასუხები დაფიქსირებულია უნივერსიტეტების დონეზე და მოცემულია თითოეული უნივერსიტეტისათვის სხვადასხვა დებულებაზე „ვეთანხმები“ და „სრულიად ვეთანხმები“ პასუხების ჯამის სახით. ცხრილში კარგად ჩანს ის განსხვავებები, რომლებიც საუნივერსიტეტო ჩაშლაში, სტუდენტების მიერ პროგრამის სხვადასხვა კომპონენტის შეფასებაში იკვეთება. მასწავლებლთა მიერ სწავლების მრავალფეროვანი სასწავლო რესურსების გამოყენების კუთხით, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა 7%, სტუ-ს სტუდენტების 5% და თსსუ-ს სტუდენტების 3.2% აცხადებს, რომ მასწავლებლები ხშირად ან ძალიან ხშირად იყენებენ ვიდეომასალებს. ილიაუნის სტუდენტების 40%-ზე მეტი აცხადებს, რომ ვიდეომასალა ხშირად ან ძალიან ხშირად გამოიყენება. საგულისხმოა, რომ დამატებითი საკითხავი ლიტერატურა ხშირად და ძალიან ხშირად გამოიყენება თსსუ-ს სტუდენტების 65%-ის პასუხების მიხედვით, რაც პროგრამის ფარგლებში ამოცანების განსხვავებულ ხედვაზე მეტყველებს და, შესაბამისად, რესურსების ცალკეულ ტიპებზე კეთდება მეტი აქცენტი სწავლა-სწავლების პროცესში.

**საშელავათო პოლიტიკისეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს
უმალღესი განათლების სისტემაში**

ცხრილი 33. მასწავლებლების მიერ სწავლებისას სხვადასხვა რესურსის გამოყენების სიხშირე უნივერსიტეტების მიხედვით

მასწავლებლები სწავლებისას იყენებენ შემდეგ რესურსებს:	სტუ	ილია	სჯსუ	სსუ	თსსუ	თსუ
სახელმძღვანელოებს	39.5%	70.5%	64.9%	56.1%	82.5%	70.4%
დამატებით საკითხავ ლიტერატურას	24.8%	25.5%	31.6%	29.8%	65.1%	24.1%
სავარჯიშოების კრებულს წერთი დავალებებისთვის	52.9%	67.8%	80.7%	71.9%	71.4%	50.6%
აუდიო მოსასმენ მასალას	9.6%	69.8%	24.6%	22.8%	4.8%	32.1%
ფილმებს და სხვა ვიდეო მასალას	5.1%	41.6%	7.0%	8.8%	3.2%	24.1%
ელექტრონულ და ინტერნეტ რესურსებს	10.8%	57.7%	31.6%	10.5%	12.7%	16.7%

საერთო დებულებაში გამოხატული მოსაზრება რესურსების მრავალფეროვნების შესახებ, რომელიც მეტწილად არის შეფასებული მაღალი ან ძალიან მაღალი ქულით, იძლევა სამი ვარაუდის გამოთქმის საშუალებას:

1. სტუდენტები მიიჩნევენ გამოყენებულ რესურსებს მრავალფეროვნად არა რესურსის ფორმის, არამედ მისი შინაარსიდან და არჩევანის პერსპექტივიდან;
2. სტუდენტები განიხილავენ გამოყენებულ რესურსებს საკუთარ საჭიროებებთან მიმართებით ადეკვატურად, და შესაბამისად, მიიჩნევენ მრავალფეროვნადაც;
3. რესურსების მრავალფეროვნებას სტუდენტები უკავშირებენ არა გამოყენების სიხშირეს ან ფორმას, არამედ მათი გამოყენების სტრატეგიებსა და მეთოდებს.

რაც შეეხება მასწავლებლების მიერ გამოყენებული მეთოდებისა და მიდგომების მრავალფეროვნებას, აქაც სურათი არაერთგვაროვანია. ყველა უნივერსიტეტში მაღალი სიხშირით შეფასებულია გრამატიკული წესების შესწავლის კუთხით გამოყენებული მეთოდები და მიდგომები. სჯსუ-ში და თსსუ-ში მაღალი და ძალიან მაღალი შეფასების სიხშირე 86-87% და მეტია. ილიას უნივერსიტეტში კი, თითქმის 80%. გრამატიკული წესების შესწავლაზე გაკეთებული აქცენტი სწავლა-სწავლების პროცესში მიუთითებს, რომ პროგრამის მასწავლებლები ფოკუსირებულები არიან ქართული ენის ფუნდამენტური ცოდნის განვითარებაზე. ლექცია და დებატები სწავლების ის მეთოდებია, რომლებიც ყველა უნივერსიტეტში ყველაზე მაღალი სიხშირით არის შეფასებული მაღალი და ძალიან მაღალი ქულებით. ილიას უნივერსიტეტის სტუდენტები მაღალი და ძალიან მაღალი ქულით ყველაზე ხშირად აფასებენ ინტერაქტიულ მეთოდებს, როგორცაა პრეზენტაცია, ჯგუფური და წყვილებში მუშაობა, დისკუსია, ფილმის ჩვენება/განხილვა და როლური თამაშები. ამ უნივერსიტეტის სტუდენტების შეფასების სიხშირე მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვა უნივერსიტეტების შეფასებისაგან. ასევე მაღალი სიხშირით ფასდება ჯგუფური (35.1%), წყვილებში (28.1%) მუშაობა და დისკუსია სჯსუ-ს სტუდენტების მიერ სხვა ინტერაქტიულ მეთოდებთან შედარებით. შედარებით მაღალი სიხშირით არის შეფასებული დისკუსიის გამოყენება თსუ-ს და თსსუ-ს მიერაც. ამავდროულად, როლური თამაშები, პრეზენტაცია, ფილმის ჩვენება და განხილვა, როგორც სწავლების სტრატეგია, ხშირად არ გამოიყენება სოხუმის უნივერსიტეტში.

საშელავათო პოლიტიკის ეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში

ცხრილი 34: სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებული მიდგომებისა და მეთოდების შეფასება უნივერსიტეტების მიხედვით

სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებული მიდგომებისა და მეთოდების შეფასება	თსუ	ილია	სტუ	სსუ	სჯსუ	თსსუ	ყველა უნივერსიტეტი
ლექცია	59.9%	70.5%	62.4%	47.4%	75.4%	58.7%	63.1%
პრეზენტაცია	10.5%	47.7%	15.9%	1.8%	35.1%	7.9%	21.6%
როლური თამაშები	11.1%	21.5%	5.1%	1.8%	17.5%	9.5%	11.6%
ჯგუფური მუშაობა	17.3%	77.9%	14.6%	10.5%	35.1%	15.9%	31.5%
წყვილებში მუშაობა	13.0%	77.2%	8.9%	12.3%	28.1%	23.8%	29.1%
ფილმის ჩვენება და განხილვა	14.2%	29.5%	6.4%	3.5%	12.3%	3.2%	13.6%
დისკუსია	27.2%	34.2%	10.8%	12.3%	29.8%	22.2%	23.3%
დებატები	75.9%	76.5%	60.5%	66.7%	77.2%	85.7%	72.6%
გრამატიკული წესების დასწავლა	65.4%	79.9%	63.7%	68.4%	86.0%	87.3%	72.6%

საერთო ჯამში, ცალკეული მეთოდის და სტრატეგიის გამოყენების შეფასება კარგად აჩვენებს მიდგომების იმ დინამიკას, რომელიც მთლიანობაში დამახასიათებელია პროგრამის ფარგლებში სწავლა-სწავლების განხორციელებისას თითოეულ უნივერსიტეტში ინდივიდუალურად და ყველასათვის ერთად. კვლავაც, ცალკეული მეთოდებისა და მიდგომების შეფასების შედარება მეთოდებისა და მიდგომების ზოგადი შეფასების სიხშირესთან ადასტურებს, რომ სტუდენტებისათვის გამოყენებული მეთოდები და სტრატეგიები საკმარისად მრავალფეროვანია, ან, რესურსების მსგავსად, გამოყენების სიხშირე არ არის მიჩნეული გამოყენებული სწავლების მეთოდებისა და მიდგომების ეფექტურობის მაჩვენებლად.

სწავლების მეთოდების სიხშირეები კითხვის კომპონენტის მიხედვით გამოკვეთს, ერთი მხრივ, იმ ტენდენციებს, რომლებიც ცალკეული მეთოდის მაღალი შეფასების კუთხით იკვეთება ზოგადად საუნივერსიტეტო დონეებზე, ხოლო, მეორე მხრივ კი - აჩვენებს იმ ტენდენციებს, რომლებიც კონკრეტული მეთოდის გამოყენების სიხშირის მაღალი შეფასებით არის მოცემული თითოეული უნივერსიტეტის მეთოდების შეფასებასთან ურთიერთმიმართებითაც. აქვე კარგად იკვეთება, რომ კითხვის უნარების განვითარებისათვის, პრაქტიკულად ყველა უნივერსიტეტში ხშირად და ძალიან ხშირად გამოიყენება ტრადიციული მეთოდები, როგორცაა რიგრიგობით კითხვა, ერთი სტუდენტის მიერ ხმამაღლა წაკითხვა აუდიტორიისათვის, ლექტორის მიერ ხმამაღლა წაკითხვა აუდიტორიისათვის, წაკითხული ტექსტის გარშემო სავარჯიშოების შესრულება და წაკითხული ტექსტის გარშემო კითხვების დასმა. რაც შეეხება სხვა მეთოდებს, წაკითხული ტექსტის გაგრძელების საკუთარი ვერსიის შექმნის მეთოდი სიხშირულად მაღალი ქულებით ილიას უნივერსიტეტის მიერ არის შეფასებული, ხოლო ინფოგრაფიკების გამოყენება კი ილიას და სოხუმის უნივერსიტეტების მიერ. ინფოგრაფიკების და ცხრილების გამოყენება კითხვის უნარების გაუმჯობესებისათვის ყველაზე იშვიათად უნივერსიტეტებიდან თსუ-ში არის შეფასებული მაღალი ან ძალიან მაღალი ქულით სტუდენტების მიერ. ტექსტის ჯგუფში კითხვა და შინაარსის სხვებისთვის გაცნობა უფრო ხშირი პრაქტიკაა ილიაუნში და თსსუ-ში. ხოლო ტექსტის წაკითხვა და მისი ზეპირად გადმოცემა კი სტუ-ში, თსსუ-ში და სოხუმის უნივერსიტეტშია გასაკუთრებით ხშირი პრაქტიკა.

**საშეღავათო პოლიტიკის ეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს
უმადლესი განათლების სისტემაში**

ცხრილი 35: კითხვის კომპონენტში გამოყენებული კონკრეტული სტრატეგიების შეფასება უნივერსიტეტების მიხედვით

დებულება	ოსუ	ისუ	სტუ	სსუ	სჯსუ	ოსსუ	ყველა
რიგრიგობით კითხვა	71.6%	55.7%	45.2%	78.9%	49.1%	65.1%	59.5%
ერთი სტუდენტი კითხულობს სხვები უსმენენ	54.3%	53.0%	56.7%	70.2%	49.1%	69.8%	57.1%
ლექტორი კითხულობს, სტუდენტები უსმენენ	39.5%	44.3%	54.8%	56.1%	42.1%	34.9%	45.6%
ინდივიდუალური კითხვა	28.4%	56.4%	28.7%	49.1%	29.8%	54.0%	39.4%
ტექსტის ჯგუფში კითხვა და შინაარსის სხვებისთვის გაცნობა	24.1%	54.4%	28.0%	49.1%	38.6%	41.3%	37.2%
ტექსტის წაკითხვა და ზეპირად გადმოცემა	31.5%	34.2%	58.0%	49.1%	29.8%	69.8%	43.7%
წაკითხულ ტექსტზე დაყრდნობით სავარჯიშოების შესრულება	66.0%	67.1%	54.8%	66.7%	66.7%	66.7%	63.7%
წაკითხული ტექსტის გარშემო კითხვების დასმა	59.3%	71.1%	42.0%	50.9%	63.2%	61.9%	57.7%
წაკითხული ტექსტის გაგრძელების საკუთარი ვერსიის შექმნა	19.1%	42.3%	17.2%	31.6%	14.0%	30.2%	25.7%
კითხვის სხვადასხვა ფაზაში დიაგრამას და ცხრილების გამოყენება	11.1%	35.6%	13.4%	33.3%	19.3%	12.7%	20.2%

მიუხედავად იმისა, რომ კითხვის უნარების განვითარებისათვის მრავალფეროვანი მეთოდების შეფასებისას მეტ-ნაკლებად არსებობს შეფასების სიხშირეებში განსხვავება უნივერსიტეტებს შორის, რიგ უნივერსიტეტებში შეფასების სიხშირე მნიშვნელოვნად განსხვავდება დანარჩენების სიხშირეებისაგან, რაც შეიძლება მიანიშნებდეს იმაზე, რომ უნივერსიტეტებში: ა. განსხვავებულია ინტერაქტიული მეთოდების გამოყენების ინტენსივობა კითხვის უნარების განვითარებისათვის, რომელიც გააზრების უნარის გაძლიერებას ანალიზის, სინთეზისა და შეფასების უნარებზე განსაკუთრებული აქცენტის საშუალებით გეგმავს; ბ. უნივერსიტეტებში, რომლებშიც განსაკუთრებით მაღალი სიხშირით ფასდება ე.წ ტრადიციული მეთოდებისა და მიდგომების გამოყენება, უფრო ნაკლები სიხშირით ხასიათდება მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებისაკენ მიმართული მეთოდები და აქტივობები.

წერის მიმართულებით მეთოდებისა და სტრატეგიების სიხშირული გადანაწილება უნივერსიტეტების მიხედვით აჩვენებს, რომ ყველა მეთოდი საკმაოდ ხშირად და ძალიან ხშირად არის გამოყენებული, მათ შორის - კარნახი ტექნიკური უნივერსიტეტის 60%-ზე მეტი სტუდენტების შეფასებით გამოიყენება ხშირად და ძალიან ხშირად, ისევე როგორც შეცდომით დაწერილი სიტყვების გასწორება. წაკითხულ ტექსტზე ესეის დაწერა ილიაუნის სტუდენტების 54%, თსუ-ს სტუდენტების 57%-ის და სსუ-ს სტუდენტების თითქმის 60%-ისთვის შეფასების მიხედვით ხშირად და ძალიან ხშირად გამოყენებული მეთოდია. ილიაუნის სტუდენტების 55%-ზე მეტი კი სხვადასხვა

**საშეღავათო პოლიტიკის ეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს
უმადლესი განათლების სისტემაში**

მასალის გაცნობაზე დაყრდნობით რეფერატების წერას ასახელებს ხშირად და ძალიან ხშირად გამოყენებულ მეთოდად.

ცხრილი 36: წერის კომპონენტში გამოყენებული კონკრეტული სტრატეგიების შეფასება უნივერსიტეტების მიხედვით

დებულება	ოსუ	ისუ	სტუ	სსუ	სჯსუ	ოსსუ	ყველა
ტექსტის გადაწერა	27.5%	49.7%	49.1%	29.8%	42.9%	38.6%	38.6%
კარნახი	38.9%	21.5%	61.1%	57.9%	33.3%	46.0%	42.2%
სუფთა წერა	35.8%	43.0%	50.3%	45.6%	15.8%	54.0%	41.9%
მოსმენილი ტექსტის შინაარსის დაწერა	57.4%	54.4%	42.7%	57.9%	40.4%	36.5%	49.6%
წაკითხულ ტექსტზე ესეის დაწერა	35.8%	51.0%	30.6%	42.1%	49.1%	36.5%	39.8%
ტექსტში გამოტოვებული სიტყვები ჩაწერა	55.6%	51.0%	49.7%	64.9%	45.6%	57.1%	53.2%
ტექსტში შეცდომით დაწერილი სიტყვების გასწორება	47.5%	54.4%	61.8%	52.6%	50.9%	47.6%	53.3%
ტექსტში გრამატიკული შეცდომების გასწორება	47.5%	59.7%	56.1%	61.4%	50.9%	60.3%	55.2%
სხვადასხვა მასალის გაცნობა და რეფერატის წერა	35.8%	55.6%	26.5%	39.6%	37.6%	35.1%	22.8%
ტექსტიდან სიტყვების ლოგიკურად დაკავშირება	37.0%	49.0%	43.3%	47.4%	36.8%	55.6%	44.0%

მოსმენისა და ზეპირი მეტყველების უნარების განვითარებისათვის გამოყენებულ მეთოდებსა და სტრატეგიებს უნივერსიტეტებს შორის გამოყენების განსხვავებული ტენდენციები ნაკლებად ვლინდება. მთლიანობაში იკვეთება, რომ ინტერვიუს ჩატარება და სტუდენტების ზეპირი პრეზენტაციები ნაკლებად გამოყენებული სტრატეგიებია. სტუდენტთა პრეზენტაცია მხოლოდ ილიაუნის სტუდენტების 50%-ზე მეტის შეფასებით ხშირად და ძალიან ხშირად გამოიყენება ლექტორების მიერ.

**საშელავათო პოლიტიკის ეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს
უმადლესი განათლების სისტემაში**

ცხრილი 37: მოსმენისა და ზეპირი მეტყველების კომპონენტში გამოყენებული კონკრეტული სტრატეგიების შეფასება - უნივერსიტეტების მიხედვით

დებულება	თსუ	ისუ	სტუ	სსუ	სჯსუ	თსსუ	ყველა უნივერსიტეტი
ინტერვიუს ჩატარება	12.3%	29.5%	8.3%	5.3%	5.3%	9.5%	13.8%
დიალოგის გათამაშება	34.6%	43.0%	21.7%	33.3%	28.1%	25.4%	31.8%
საკუთარი ამბების და ისტორიების შეთხზვა და თხრობა	33.3%	29.5%	22.3%	19.3%	40.4%	46.0%	30.4%
ტექსტის მოსმენა და ანალიზი	54.3%	59.1%	27.4%	45.6%	35.1%	34.9%	44.5%
საკუთარი გამოცდილების შესახებ საუბარი	24.1%	33.6%	19.7%	31.6%	14.0%	31.7%	25.7%
დებატები	18.5%	36.2%	15.3%	31.6%	26.3%	22.2%	24.0%
სტუდენტების პრეზენტაციები	10.5%	54.4%	12.7%	15.8%	31.6%	11.1%	23.6%
ტექსტის მოსმენა და ახალი სიტყვების დასწავლა;	54.9%	77.9%	44.6%	70.2%	61.4%	50.8%	59.2%
ტექსტი მოსმენა და გრამატიკული სავარჯიშოების შესრულება	52.5%	61.7%	36.3%	50.9%	38.6%	47.6%	48.8%

გარდა პროგრამის კომპონენტებისა, სტუდენტებმა შეაფასეს უნივერსიტეტის გარემო ინკლუზიურობის, ინტეგრაციის შესაძლებლობისა და სოციალური კავშირების გამყარების თვალსაზრისით.

ცხრილში მოცემული სიხშირეები, რომლებიც კვლავაც „ვეთანხმები“ და „სრულიად ვეთანხმები“ პასუხების ჯამს წარმოადგენს, კარგად აჩვენებს იმ სხვაობებს, რომლებიც სტუდენტების შეფასების თვალსაზრისით არსებობს სხვადასხვა უნივერსიტეტში. ამასთან, განსხვავება მნიშვნელოვანია ყველა მოცემულ დებულებასთან მიმართებით და კარგად აჩვენებს იმ პრიორიტეტებს, რომლებიც 1+4 პროგრამის სტუდენტებისათვის ინკლუზიური გარემოს, ინტეგრაციის შესაძლებლობისა და სოციალური კავშირების გაღრმავების კუთხით არსებობს უნივერსიტეტებში. კვლავაც მაღალი შეფასებები განსაკუთრებით დიდი სიხშირით არის მოცემული ილიაუნის სტუდენტების შემთხვევაში და სხვა უნივერსიტეტების სტუდენტების შეფასებაზე ნაკლები სიხშირით მოცემულია მხოლოდ სხვადასხვა სპეციალური ღონისძიების ჩატარების დებულებაში.

ამ კუთხით, სჯსუ-ს სტუდენტების 70%-ზე მეტი აფასებს ღონისძიებების სიუხვეს და/ან მიზნობრიობას მაღალი და ძალიან მაღალი შეფასებით. თსსუ-ში კი, განსაკუთრებით ბევრი სტუდენტი აფასებს მაღალი და ძალიან მაღალი შეფასებით მასწავლებლების ყურადღებასა და კეთილმოსურნეობას. საინტერესოა ის

**საშელავათო პოლიტიკის ეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს
უმალესი განათლების სისტემაში**

განსხვავებები, რომელიც უნივერსიტეტთა შორის შეფასებაში წარმოჩინდება აკადემიური წლის დასაწყისში საორიენტაციო შეხვედრების ეფექტურობის კუთხით, სადაც თსუ-ს 19%, სტუს-ს 25%, სსუ-ს 26% აფასებს შეხვედრებს მაღალი და ძალიან მაღალი ქულით, ხოლო ილიას სტუდენტების 100% შეხვედრებს მაღალ და ძალიან მაღალ შეფასებას ანიჭებს.


ცხრილი 38: საუნივერსიტეტო გარემოს შეფასება უნივერსიტეტების მიხედვით

საუნივერსიტეტო გარემოს შეფასება	სტუ	ილია	სჯსუ	სსუ	თსსუ	თსუ
უნივერსიტეტში არის სტუდენტთათვის ინკლუზიური გარემო	31.2%	78.4%	52.6%	33.9%	42.9%	37.7%
პროგრამაში მასწავლებლები ერთნაირად ყურადღებიანი და კეთილმოსურნეები	52.6%	85.8%	84.2%	70.2%	82.5%	58.0%
პროგრამის ფარგლებში გვაქვს ქართველ სტუდენტებთან ურთიერთობის შესაძლებლობა	39.5%	65.5%	35.1%	49.1%	46.0%	33.3%
პროგრამის ფარგლებში ხორციელდება უამრავი ღონისძიება, რომლებიც მიმართულია სტუდენტთა სოციალური აქტიურობისა და ინტეგრაციისკენ (ექსკურსიები, საჯარო შეხვედრები, ტოლერანტობის დღეები და ა.შ)	41.2%	33.1%	70.3%	21.1%	50.9%	31.7%
აკადემიური წლის დასაწყისში საორიენტაციო შეხვედრები მნიშვნელოვანი იყო სოციალური და აკადემიური ინტეგრაციისთვის	25.3%	100.0%	61.5%	26.7%	69.5%	19.2%
ლექტორებთან დამატებითი კონსულტაცია საჭიროების შემთხვევაში ყოველთვის შესაძლებელია	44.0%	66.0%	69.6%	44.2%	54.8%	48.4%

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაში შედარებულია საუნივერსიტეტო გარემოს შეფასების საშუალო თითოეული უნივერსიტეტისათვის ინტეგრაციის, ინკლუზიის და სოციალური კავშირების გამყარების თვალსაზრისით, სადაც კარგად იკვეთება საუნივერსიტეტო ტენდენციები. საერთო ჯამში სტუდენტების შეფასება უნივერსიტეტებში მნიშვნელოვნად განსხვავებულია.

საშეღავათო პოლიტიკისეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში

დიაგრამა 17: საუნივერსიტეტო გარემოს შეფასება



რაც შეეხება სტუდენტების საბაკალავრო პროგრამის არჩევანს, ამ შემთხვევაშიც, პასუხები უნივერსიტეტების მიხედვით განსხვავებულია. ყველაზე ხშირად, თსსუ-ს ქართული ენის პროგრამის სტუდენტებმა იციან, რომელ პროგრამაზე უნდათ სწავლის გაგრძელება, რაც ვფიქრობთ, სამედიცინო უნივერსიტეტის მკაფიო სპეციალიზაციით არის განპირობებული. ყველაზე ხშირად სტუდენტები ილიაში და სტუ-ში არ არის ჩამოყალიბებული სასურველ საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებით. დაახლოებით სტუდენტების ნახევარი სჯსუ-ში და თსუ-ში აცხადებს, რომ გადაწყვეტილი აქვს სამომავლო საბაკალავრო პროგრამა. იმის გათვალისწინებით, რომ გამოკითხვა ჩატარდა სწავლის შუა პერიოდში (პირველი სემესტრის დასასრული), ცხადია, სტუდენტებს შეიძლება არ ჰქონდეთ მკაფიო წარმოდგენა და ცოდნა, თუ რომელ პროგრამაზე სურთ სწავლის გაგრძელება.

6.8. დამოკიდებულებები სქესობრივ ჭრილში

გამოკითხვის ანალიზმა სქესობრივ ჭრილში აჩვენა, რომ პროგრამის ცალკეული კომპონენტები განსხვავებულად ფასდება გოგონებისა და ბიჭების მიერ. გოგონები უფრო მეტად არიან მიდრეკილები, რომ პოზიტიურად შეაფასონ პროგრამის ფარგლებში არსებული კურსები მათი მრავალფეროვნებისა და სტუდენტების საჭიროებაზე ორიენტირების თვალსაზრისით. გოგონები ასევე მეტად თვლიან, რომ პროგრამის ფარგლებში საგნები ხელს უწყობს ქართული ენის დაუფლებას.

გოგონები ასევე უფრო მეტ კმაყოფილებას გამოთქვამენ იმ მეტაკოგნიტიური სტრატეგიების გამოყენებასთან დაკავშირებით, რომლებიც თვითშეფასებაზეა მიმართული.

მეორე მხრივ, გოგონები ნაკლებად ეთანხმებიან მოსაზრებას, რომ „პროგრამაში მასწავლებლები ერთნაირად ყურადღებიანი და კეთილმოსურნეები არიან“.

გოგონები ასევე ნაკლებად ეთანხმებიან დებულებას: „ტუტორიუმის პროგრამა ხელს უწყობს ერთწლიანი პროგრამის სტუდენტებს სწავლის პროცესში“.

საშეღავათო პოლიტიკის ეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში

მოცემული დებულებები სქესთან მიმართებით სტატისტიკურად მნიშვნელოვან კორელაციას ($R_0 = 0.01$ და 0.05) გვაძლევს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ამ ფაქტორის გათვალისწინება პროგრამის დაგეგმვისა და განხორციელების შემდგომ ეტაპებზე შესაძლო სუბიექტივიზმის და სტერეოტიპების კვლავწარმოების პრევენციისათვის, რაც გულისხმობს პროგრამის ყველა მიმართულებისა და კომპონენტის მიმართ გენდერულად მგრძობიარე გადაწყვეტილებების მიღებას და დანერგვას. შედეგი ასევე იძლევა ორი ვარაუდის დაშვების საშუალებას: ა. სქესობრივი განსხვავებები გამოწვეულია კულტურული კონტექსტიდან გამომდინარე; ბ. სქესიდან გამომდინარე, მოვლენები, დამოკიდებულებები, შესაბამისად, აღქმებიც. საუნივერსიტეტო სივრცეში განსხვავებულია.

6.9. სტუდენტთა აღქმების შედარებითი ანალიზი წინა წლების გამოკითხვებთან მიმართებით

იმდენად, რამდენადაც საშეღავათო პოლიტიკის ეფექტურობის კვლევის ავტორებმა 2013 და 2016 წლებშიც განხორციელეს ანალოგიური გამოკვლევა (ტაბატაძე და გორგაძე, 2013, 2016), საინტერესოდ მივიჩნიეთ გაგვეჩვენა, ამ წლების განმავლობაში განხორციელდა თუ არა პროგრამების შეფასებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები. 2013 წელს გამოკითხვა განხორციელდა 2 უმაღლეს სასწავლებელში, კერძოდ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხისა და ახალქალაქის ფილიალებში. შესაბამისად, შედარებითი ანალიზისათვის გამოვიყენეთ მიმდინარე კვლევიდან მხოლოდ ამ უნივერსიტეტების სტუდენტთა პასუხები; მიგნებების განზოგადებაც არა მთლიანად ქართული ენის პროგრამის სტუდენტების პოპულაციაზე, არამედ ამ უნივერსიტეტების დონეზე მოხდა (2013 წელს, 2020 წლის კვლევის მსგავსად, გამოკითხული სტუდენტები წარმოადგენდნენ რეპრეზენტატულ შერჩევას საუნივერსიტეტო დონეზე (თსუ $N=259$, $n=185$, სჯსუ $N=39$, $n=25$). 2016 წლის გამოკითხვა განხორციელდა 5 სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც მოიცავდა ყველა იმ უნივერსიტეტს, სადაც ქართული ენის პროგრამის ფარგლებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტი იყო დარეგისტრირებული და სწავლობდა. შერჩევა რეპრეზენტატული იყო ქართულ ენაში მომზადების პროგრამაში ჩართულ სტუდენტთა სრული პოპულაციისათვის ($N=577$, $n=276$).

**საშელავათო პოლიტიკის ეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს
უმალესი განათლების სისტემაში**

6.10 . შედეგების ურთიერთმიმართება 2013 და 2020 წლის გამოკითხვებში

2013 წლის გამოკითხვაში სტუდენტების ყურადღება გავამახვილეთ ქართული ენის პროგრამის ეფექტურობაზე ენის კომპეტენციების განვითარების და მომზადების კუთხით საბაკალავრო საფეხურზე ტრანზიტისათვის. შესაბამისად, გამოკითხულთათვის დასმული კითხვებიც სწორედ ამ პერსპექტივებიდან ანალიზებს მათ აღქმებსა და მოლოდინებს ქართული ენის პროგრამის მიზნის შესაბამისობასთან დაკავშირებით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია საშუალო და სტანდარტული გადახრა რამდენიმე დებულებასთან დაკავშირებით, რომლებიც ქართული ენის ფლობას ანალიზებს სხვადასხვა ასპექტით. 2013 წელს თსუ-ს და სჯსუ-ს სტუდენტები ყველაზე ხშირად ეთანხმებიან დებულებას აკადემიური ლიტერატურის წაკითხვასა და გაანალიზებასთან დაკავშირებულ სირთულეებთან დაკავშირებით (M 4.5, st.d 11.449). თუმცა, ასევე, ხშირად საუბრობენ, რომ თავისუფლად ახერხებენ ქართულ ენაზე ლექციების მოსმენას და დისკუსიაში აქტიურ მონაწილეობას (M 4.12), ხოლო პროგრამის ეფექტურობასთან დაკავშირებით საკუთარ მოლოდინებს კი საშუალოდ M 4.71 ქულით აფასებენ. გამოკითხულების პასუხები გვაჩვენებს, რომ ყველაზე უკეთ, ქართული ენის პროგრამის ფარგლებში, მათ მოსმენის უნარი განუვითარდათ, ხოლო ყველაზე ნაკლებად კი - წაკითხულის გააზრების და წერის უნარები. იმის გათვალისწინებით, რომ კითხვები აკადემიურ სივრცეში ენის კომპეტენციების გამოყენებას გულისხმობდა, სტუდენტებს მიაჩნიათ, რომ პროგრამამ ქართული ენის კომუნიკაციური უნარების განვითარებას შეიწყო ხელი. ამავდროულად, 2013 წელს პროგრამის ხარისხი სრულად თანხვედრაში იყო მათ მოლოდინებთან.

ცხრილი 39. ენის სამეტყველო უნარების განვითარების შეფასება სტუდენტთა მიერ 2013 წელს

2013	საშუალო	სტანდარტული გადაცდომა
ლაპარაკი და წერა ერთნაირად კარგად განმეორებდა.	3.73	.879
ქართული ენის პროგრამის გავლის შემდეგ ვახერხებ თავისუფლად კომუნიკაციას ქართულ ენაზე	3.98	6.660
ქართული ენის პროგრამის გავლის შემდეგ მიჭირს აკადემიური ლიტერატურის წაკითხვა და გაანალიზება	4.50	11.449
ქართული ენის პროგრამის გავლის შემდეგ ვახერხებ აკადემიური ესეს თავისუფლად დაწერას	3.08	1.113
ქართული ენის ერთწლიანი პროგრამის გავლის შემდეგ თავისუფლად ვახერხებ ქართულ ენაზე ლექციების მოსმენას და დისკუსიაში აქტიურ მონაწილეობას	4.12	6.645
ეს პროგრამა ზუსტად ისეთი ეფექტური იყო, როგორც წარმომედგინა	4.71	9.326

საშელავათო პოლიტიკის ეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში

2020 წელს გამოკითხვაში სტუდენტები პასუხობენ ქართული ენის ეფექტურობის ასპექტებს ზოგადად, საუნივერსიტეტო განათლებისათვის მომზადებისათვის, მათი საჭიროებების და მოლოდინების გათვალისწინებით. ცხრილში მოცემულია საშუალო და სტანდარტული გადახრები რამდენიმე დებულებისათვის, სადაც კარგად იკვეთება, რომ სტუდენტები უფრო მეტად მაღალ შეფასებას აძლევენ პროგრამის შესაბამისობას მიზანთან და თვლიან, რომ პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებული საგნები ხელს უწყობს ქართული ენის დაუფლებას (M 4.20, st.d 0.911). უფრო ნაკლებია შეფასების საშუალო საუნივერსიტეტო განათლებისათვის მომზადების კუთხით. აღსანიშნავია ისიც, რომ ყველა დებულებაში, პასუხების სტანდარტული გადახრა ნაკლებია, რაც მიანიშნებს, რომ გამოკითხულ სტუდენტთა პოპულაცია უფრო ერთსულოვანია ქართული ენის მიზნების შესაბამისობის შეფასებისას.

ცხრილი 40: ენის მეტყველების უნარების განვითარების შეფასება სტუდენტების მიერ 2020 წელს

2020	საშუალო	სტანდარტული გადაცდომა
შემოთავაზებული საგნები მრავალფეროვანია და მორგებულია სტუდენტების საჭიროებებზე	3.93	.936
პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებული საგნები საინტერესოა	4.06	.911
პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებული საგნები ხელს უწყობს ქართული ენის დაუფლებას	4.20	.937
შემოთავაზებული საგნები ხელს უწყობს საუნივერსიტეტო განათლებისთვის ზოგად მომზადებას	3.91	.928


შესაბამისად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ 2013 წლიდან 2020 წლამდე, სტუდენტების მიერ პროგრამის ეფექტურობის შეფასება მათი საჭიროებებისა და საუნივერსიტეტო სწავლის მომდევნო საფეხურისათვის მომზადების კუთხით, მეტად ეფუძნება პროგრამის მიზნების სიღრმისეულ გააზრებას და გაცნობიერებას.

გარდა ქართული ენის კომპეტენციების განვითარების პირდაპირი მიზნისა, ორივე გამოკითხვა მიზნად ისახავდა პროგრამაში ჩართული ლექტორ-მასწავლებლების დამოკიდებულებების შეფასებას. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაში სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებული დებულებებია მოტანილი, სადაც კარგად ჩანს, რომ 2013 წელს, თსუ-ს სტუდენტების პასუხები მასწავლებლის ტოლერანტულობასა და პოზიტიურ დამოკიდებულებასთან დაკავშირებით, ორ სხვადასხვა დებულებაში პრაქტიკულად მეორდება და აჩვენებს, რომ სტუდენტების დაახლოებით ნახევარი ეთანხმება ორივე დებულებას, სადაც 23%-ზე მეტი ეთანხმება დებულებას მასწავლებლების ტოლერანტობასთან დაკავშირებით განსხვავებულ ეთნიკურ ჯგუფების მიმართ, და

საშეღავათო პოლიტიკისეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში

თითქმის 19% კი - პოზიტიურ დამოკიდებულებასთან დაკავშირებით საკუთარ ეთნიკურ ჯგუფთან. 2020 წელს, სტუდენტების პასუხები განსხვავებულად ნაწილდება და უფრო მეტად არის გაფანტული სკალის ნეიტრალურ, მე-3 დონესა და დათანხმების და სრულიად დათანხმების დონეებს შორის. საერთო ჯამში, სტუდენტები ნაკლები სიხშირით მიიჩნევენ, რომ პროგრამაში ჩართული მასწავლებლები ერთნაირად ყურადღებიანი და კეთილმოსურნეები არიან (58.1%), ხოლო 30%-ზე მეტი კი, საშუალო, ნეიტრალურ პოზიციას იკავებს. პროგრამის 7-წლიან პერსპექტივაში, ეს დამაფიქრებელი ტენდენციაა და საჭიროებს უფრო დეტალურ კვლევას სტუდენტების აღქმებსა და მოლოდინებთან დაკავშირებით.


დიაგრამა 18: ლექტორ-მასწავლებლების დამოკიდებულებების შეფასება თსუ-ის სტუდენტების მიერ 2013 და 2020 წლებში



ამ ფონზე, განსხვავებულ დინამიკას აჩვენებს სჯსუ-ს სტუდენტების დამოკიდებულებები ლექტორ-მასწავლებლების შეფასებისას; დიაგრამაში კარგად იკვეთება, რომ 2020 წლის გამოკითხვაში სტუდენტების შეფასება მასწავლებლების მათდამი დამოკიდებულებაში, კიდევ უფრო მაღალი სიხშირით არის განაწილებული შეფასების ყველაზე მაღალ დონეზე, თუმცა, საერთო ჯამში, მასწავლებლების პოზიტიური დამოკიდებულება სტუდენტების ეთნიკური ჯგუფის მიმართ 2013 წელს მაღალი და ძალიან მაღალი ქულით დაახლოებით ისევე ძალიან ხშირად ფასდება, როგორც 2020 წელს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სჯსუ-ს სტუდენტების შემთხვევაშიც, სტუდენტები მეტად იხრებიან დებულების შუალედური, ნეიტრალური ქულით შეფასებისკენ, როგორც თსუ-ს, თუმცა ეს ტენდენცია ნაკლებად გამოკვეთილია.

საშელავათო პოლიტიკისეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში

დიაგრამა 19: ლექტორ-მასწავლებლების დამოკიდებულებების შეფასება სჯსუ-ს სტუდენტების მიერ 2013 და 2020 წლებში




დებულებების ამგვარი განაწილება აჩვენებს, რომ ქართული ენის პროგრამის განვითარების მახასიათებლები უნივერსიტეტებს შორის განსხვავდება, რაც, შესაბამისად, აისახება სტუდენტების დამოკიდებულებებზეც.

6.11. 2016 – 2020 წლის შედეგების შედარება

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2016 წელს ჩატარებულ კვლევაში მონაწილეობას იღებდა პროგრამის განმახორციელებელი ყველა მსხვილი უნივერსიტეტის სტუდენტი, შესაბამისად, სტუდენტების აღქმებისა და მოლოდინების ანალიზის განზოგადება შესაძლებელია ქართულ ენაში მომზადების პროგრამაში ჩართულ სტუდენტთა სრულ პოპულაციაზე. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაში შედარებულია დებულებები, რომლებიც პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული საგნების/კურსების მრავალფეროვნებას, საჭიროებასა და საინტერესოებას აფასებს. ორივე წლის სიხშირული გადანაწილება აჩვენებს, რომ საერთო ჯამში სტუდენტების პრაქტიკულად ერთი და იგივე პროცენტი ეთანხმება ან აბსოლუტურად ეთანხმება დებულებებს კურსების მრავალფეროვნებასა და მიზნობრიობასთან დაკავშირებით. ასევე შემცირებულია იმ სტუდენტების წილი, ვინც სრულიად არ, ან არ ეთანხმება დებულებას კურსების მრავალფეროვნების შესახებ და 2020 წლის გამოკითხვაში მეტია იმ სტუდენტების წილი, ვინც არ ეთანხმება დებულებას კურსების მრავალფეროვნების შესახებ.

საშეღავათო პოლიტიკის ეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში

დიაგრამა 20: ქართული ენის პროგრამის საგნების შეფასება 2016 და 2020 წლებში




საგულისხმოა, რომ 4 წლის დინამიკაში, პროგრამების მიმდინარეობის გამოცდილების გათვალისწინებით, ფიქსირდება მცირეოდენი პოზიტიური ცვლილება პროგრამის შემადგენელი კურსების მრავალფეროვნებასთან დაკავშირებით, რაც დამაფიქრებელია და შესაბამის ანალიზს საჭიროებს უნივერსიტეტების ადმინისტრაციის, პროგრამის ხელმძღვანელებისა და ჩართული პედ-კოლექტივის მხრიდან, იმდენად, რამდენადაც განახლებულ პროგრამებში სწორედ გამდიდრებულ და მრავალფეროვან კურსებზე კეთდება მნიშვნელოვანი აქცენტი.

ამ ჭრილში პოზიტიურად იკვეთება ტენდენცია, რომელიც სტუდენტების გამოკითხვაში დაფიქსირდა მასწავლებლების მიერ მრავალფეროვანი მეთოდებისა და სტრატეგიების გამოყენების შეფასებისას. 2016 წელს სტუდენტების 68%-ზე მეტი, ეთანხმებოდა ან სრულიად ეთანხმებოდა შეფასებას მასწავლებლების მიერ გამოყენებული მეთოდების მრავალფეროვნების შესახებ, რომელიც „საინტერესოს და სახალისოს ხდიდა სწავლას“. 2020 წელს, სტუდენტები მეტი სიხშირით ეთანხმებიან (74.9%) იგივე ტიპის დებულებას. მხოლოდ 11.3% გამოკითხული სტუდენტებისა მიიჩნევს, რომ მასწავლებლების უმრავლესობა სწავლებისას მრავალფეროვან მეთოდებსა და სტრატეგიებს არ იყენებს. ასევე, შემცირებულია იმ სტუდენტების წილი, ვინც ნეიტრალურ პოზიციას იჭერს მასწავლებლების მიდგომების შეფასებისას. ეს ტენდენცია საინტერესო და პოზიტიურია და საჭიროებს შემდგომში კიდევ უფრო მეტ ყურადღებას სტუდენტებისათვის პროგრამის ფარგლებში საინტერესო და სასარგებლო სწავლების მეთოდების გაძლიერებისა და დანერგვისათვის.

საშეღავათო პოლიტიკისეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში


დიაგრამა 21: ლექტორ-მასწავლებლების გამოყენებული სწავლების მეთოდების შეფასება 2016 და 2020 წლებში



რაც შეეხება ტექნოლოგიების გამოყენების პრაქტიკას სასწავლო პროცესში, 2016 წლის პასუხების შედარებისას, სტუდენტები ნაკლებად მიიჩნევენ, რომ ტექნოლოგიების გამოყენება ხშირად ან ინტენსიურად მიმდინარეობს სწავლების პროცესში. 2020 წლის შეფასების ნაწილში მოცემულია სტუდენტების მიერ ტექნოლოგიების სხვადასხვა კონკრეტული მიზნისთვის გამოყენების სიხშირეების საშუალო. თუ 2016 წელს სტუდენტების ნახევარზე მეტი ამბობს, რომ ტექნოლოგიები ინტენსიურად და ხშირად გამოიყენება სწავლების პროცესში, 2020 წელს მაღალი ან ძალიან მაღალი ქულით იმავს დაახლოებით 27% ამბობს. ცხადია, საგულისხმოა, რომ 2016 წელს თითქმის 10% არ პასუხობს დებულებას, თუმცა, 2020 წელს სტუდენტების თითქმის 29% აცხადებს, რომ მასწავლებლები არასდროს არ იყენებენ ტექნოლოგიებს სწავლების პროცესში, ხოლო 20%-ზე მეტი კი აცხადებს, რომ ტექნოლოგიები იშვიათად გამოიყენება. ტექნოლოგიების სწავლებაში დანერგვა პროგრამის ფარგლებში და მისი შედარება წინა წლის გამოკითხვის შედეგებთან მნიშვნელოვანია არა მხოლოდ აკადემიური, არამედ სტუდენტების მომზადების თვალსაზრისითაც თანამედროვე ცხოვრების საჭიროებებისთვის და, შესაბამისად, მოითხოვს მნიშვნელოვან ყურადღებას პროგრამის შემქმნელებისა და განმახორციელებელი პირების მხრიდან.


საშეღავათო პოლიტიკის ეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში

დიაგრამა 22: ლექტორ-მასწავლებლების მიერ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების შეფასება 2016 და 2020 წლებში



კლასგარეშე აქტივობების კომპონენტი, რომელსაც, ასევე, გააჩნია არა მხოლოდ აკადემიური, არამედ სოციალურ-კულტურული მნიშვნელობა და სტუდენტების ინტეგრაციის ხელშეწყობ მიმართულებად უნდა განვიხილოთ, ასევეა მოცემული ოთხი წლის შემდგომ შეფასებისათვის შედარებით ჭრილში.

დიაგრამა 23: სასწავლო პროცესში კლასგარეშე აქტივობების შეფასება 2016 და 2020 წლებში



დიაგრამიდან ჩანს, რომ 2020 წელს სტუდენტების წილი, რომლებიც კლასგარეშე აქტივობების გამოყენებაზე საუბრობენ სასწავლო პროცესში ნაკლებია 2016 წელთან შედარებით. თუმცა, ყურადსაღებია, რომ 2020 წლის დებულებაში სტუდენტებს ვთხოვთ შეაფასონ კლასგარეშე აქტივობების გამოყენების სიხშირე, ხოლო 2016 წელს კი, სტუდენტებს ზოგადად მოეთხოვებოდათ კლასგარეშე აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელების შეფასება.

შესაბამისად, არ შეიძლება ვისაუბროთ იმაზე, რომ 2020 წელს კლასგარეშე აქტივობები ნაკლები ინტენსივობით არის წარმოდგენილი ქართულ ენაში მომზადების


საშეღავათო პოლიტიკის ეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში

პროგრამაში. მეორე მხრივ, შედარება გვაძლევს საშუალებას ვიცოდეთ ის ნიშნული, როდესაც სტუდენტების ნახევარზე მეტი საუბრობს კლასგარეშე აქტივობების გამოყენების შესახებ პროგრამის ფარგლებში და მხოლოდ 13%-ზე ოდნავ მეტი აცხადებს, რომ აქტივობები არ ხორცილდებოდა.

კიდევ ერთი დებულება პროგრამის ფარგლებში ქართულ ენაში მომზადების პროგრამაში ჩართული სტუდენტების ეთნიკურად ქართველ სტუდენტებთან ურთიერთობის შესაძლებლობებს აფასებს და დიაგრამაზეა მოცემული 2016 და 2020 წლის პასუხების გადანაწილების მიხედვით.

2020 წლის დიაგრამაზე სრული დათანხმების მაჩვენებელი ჩამორჩება 2016 წლისას, თუმცა, დებულებაზე დათანხმების მაჩვენებელი კვლავ მაღალია. 2020 წელს ასევე პრაქტიკულად არც ერთი სტუდენტი არ აფასებს დებულებას როგორც არარელევანტურს. შესაბამისად, საუბარი შეიძლება დამოკიდებულების მცირედ გაუმჯობესებაზე, რომელიც 4 წლის განმავლობაში ამ კუთხით მოხდა პროგრამის ფარგლებში. თუმცა, კვლავაც, თვისებრივი ცვლილება არ აღინიშნება.

დიაგრამა 24: ქართული ენის პროგრამის ფარგლებში ქართველებთან ურთიერთობის შესაძლებლობა 2016 და 2020 წლებში



საერთო ჯამში, თუ სტუდენტების 2013, 2016 და 2020 წლის ცალკეულ დებულებათა შედარების მოკლე დასკვნას გავაკეთებთ, პოზიტიური ტენდენციები განსაკუთრებით მკაფიოდ არ ვლინდება იმ ჭრილებში, რომელიც შედარებულია. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს როგორც პროგრამების პროგრესის არასაკმარისობაზე, ასევე სტუდენტების მომდევნო ნაკადების მეტ ინფორმირებულობაზეც პროგრამის შესახებ, რაც უფრო მაღალ მოლოდინებს ქმნის და მეტ კრიტიკულ ხედვებსაც აყალიბებს.

საშეღავათო პოლიტიკისეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში

დასკვნა

თუ მოკლედ შევაჯამებთ, შეიძლება ვისაუბროთ სტუდენტების მიერ ზოგად პოზიტიურ დამოკიდებულებაზე ქართული ენის ერთწლიანი პროგრამის მიმართ როგორც სწავლა-სწავლების ხარისხისა და პროგრამის მიზნების შესაბამისობის კუთხით, ასევე - მის გავლენაზე საბაკალავრო სწავლისათვის მომზადების თვალსაზრისით.

- გამოკითხვის დეტალური ანალიზი გვაჩვენებს, რომ ზოგადი დამოკიდებულებების განმსაზღვრელ დებულებებში პროგრამის გამართულობის, სწავლების მიდგომების, რესურსების შესაბამისობის, სტუდენტების აკადემიურ ინტეგრირებისაკენ მიმართული ინტერვენციების კუთხით, სტუდენტები უფრო მეტად ავლენენ პოზიტიურ დამოკიდებულებას, ვიდრე ცალკეული ასპექტებისა და კომპონენტების შეფასებისას;
- მიუხედავად ზოგადი პოზიტიური დამოკიდებულებისა, სტუდენტების შეფასება პროგრამის მიმართ განსხვავებულია უნივერსიტეტების მიხედვით;
- სტუდენტების დამოკიდებულება განსხვავებულია რიგ კომპონენტებთან დაკავშირებით სქესობრივი ნიშნით, სადაც პროგრამისადმი ზოგადი დამოკიდებულების გამსაზღვრელი დებულებების მიმართ, გოგონები უფრო მეტად არიან პოზიტიურად განწყობილები. მასწავლებლების შეფასებისას, გოგონები ნაკლებად ეთანხმებიან მოსაზრებას „მასწავლებლების ერთნაირად ყურადღებიანობასა და კეთილმოსურნეობასთან დაკავშირებით“;
- სტუდენტების დამოკიდებულებების კვლევა 2013 და 2016 წლების დინამიკაში აჩვენებს პროგრამისადმი პოზიტიური შეფასების ზოგადი ზრდის დინამიკას. თუმცა, ცალკეული ასპექტები 2020 წელს უფრო კრიტიკულად არის შეფასებული.

თავი 7. საბაკალავრო საფეხურზე არსებული პრობლემატიკა

კვლევის ერთ-ერთ საკითხს წარმოადგენდა საბაკალავრო დონეზე არსებული პრობლემების შესწავლა, კერძოდ: (ა) საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ეთნიკური უმცირესობების პრობლემების შესწავლა საბაკალავრო პროგრამებზე; ბ) კვოტირების გზით ჩარიცხული სტუდენტების გამოწვევების შეფასება აკადემიური, სოციალური და სამოქალაქო ინტეგრაციის თვალსაზრისით; გ) კვოტირების სისტემით ჩარიცხულ სტუდენტებში სწავლის მიტოვების მაღალი მაჩვენებლის განსაკუთრებული მიზეზების შეფასება.

ამ შეკითხვებზე პასუხების გასაცემად შევისწავლეთ როგორც პოლიტიკის დოკუმენტები და სტატისტიკური ინფორმაცია საბაკალავრო დონეზე, ასევე სტუდენტებთან ფოკუსჯგუფებისა და ლექტორებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან და ადმინისტრაციასთან ინტერვიუებით მოვახდინეთ საკითხების კვლევა. ფოკუსჯგუფების დისკუსიებისა და ინტერვიუების კოდირება განხორციელდა სწორედ ამ სამი თემატური საკითხების გარშემო.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს პოლიტიკის დონეზე არსებული ხარვეზი საბაკალავრო საფეხურის დაფინანსების შესახებ. 2013 წლიდან სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხორციელდება სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროგრამა, რომელიც ე.წ. უფასო ფაკულტეტების პროგრამის სახელითაა ცნობილი. 2013 წლიდან დღემდე არ ხორციელდება ამ პროგრამაში კვოტირების სისტემით ჩარიცხული სტუდენტების ჩართვა, ანუ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ ფაკულტეტებზე სწავლის გადასახადს არ იხდიან მისაღები გამოცდების სრული სპექტრით ჩარიცხული სტუდენტები, ხოლო კვოტირების სისტემით ჩარიცხული და ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი პროგრამის სტუდენტებისთვის სწავლის გადასახადია დაწესებული. ბოლო, 2019 წლის 21 აგვისტოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 175N ბრძანების „2019-2020 სასწავლო წელს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე პროგრამული დაფინანსების გაცემის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ მე-6 მუხლის მე-5 პუნქტში პირდაპირ არის მითითებული, რომ პროგრამის ფარგლებში „დაუშვებელია პროგრამული დაფინანსების ფარგლებში ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ ბაკალავრიატის/მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირების სწავლის დაფინანსება, რაც არ ზღუდავს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის უფლებას, სწავლა გააგრძელოს (ჩარიცხოს) ბაკალავრიატის/მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული

საშეღავათო პოლიტიკისეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში

საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამაზე. ასეთი სტუდენტების უმაღლესი განათლების დაფინანსება განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.“ ამ დისკრიმინაციული მიდგომის აღმოფხვრა ვერ ხერხდება უკვე შვიდი წლის განმავლობაში. ეს დამატებით ქმნის პრობლემებს, მაგალითად, სტუდენტთა მოსაზიდად ისეთ პროგრამებზე, როგორცაა მასწავლებელთა განათლების პროგრამა, რომელიც ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია არაქართულენოვანი სკოლებისთვის საკადრო რესურსების მომზადების თვალსაზრისით. ამ მნიშვნელოვანი საკითხის მიღმა წარმოგიდგენთ კვლევის საკითხების ანალიზს სამივე თემატური მიმართულებით.

7.1. კვოტირების სისტემით ჩარიცხულ სტუდენტებში სწავლის მიტოვების მაღალი მაჩვენებლის მიზეზების შეფასება

საბაკალავრო დონეზე სწავლის მიტოვების მაღალი მაჩვენებლისა და საბაკალავრო საფეხურის დამთავრების დაბალი მაჩვენებლის შესახებ ინფორმაცია უკვე გავაანალიზეთ ანგარიშის მეოთხე თავში. აქ შევეცდებით ავხსნათ არსებული სტატისტიკის მიზეზები. ფოკუსჯგუფების დისკუსიებმა როგორც ლექტორებთან, ასევე სტუდენტებთან სწავლის მიტოვების რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი გამოკვეთა: (ა) დაქორწინება; (ბ) ენობრივი კომპეტენციები, რომლის გამოც ვერ ხერხდება სასწავლო კალენდრის ადეკვატური მიდევნება; (გ) სხვადასხვა სპეციალობაზე აკადემიური მოუზნადებლობა, რაც საბოლოოდ ან მიტოვებით ან მობილობის გზით სპეციალობის შეცვლით სრულდება; (დ) ფინანსური პრობლემები, არასპეციალობით მუშაობა, რის გამოც სწავლაში ექმნებათ პრობლემები; (ე) ქვეყნის დატოვება. მოკლედ განვიხილავთ თითოეულ მიმართულებას.

(ა) დაქორწინება

მიუხედავად იმისა, რომ ამ ასაკში უკვე ადრეული გათხოვების პრობლემა არ არის და ზრდასრული ადამიანები სწავლობენ საბაკალავრო საფეხურზე, ფოკუსჯგუფების დისკუსიაში მაინც გამოიკვეთა გათხოვების გამო სწავლის მიტოვების მიზეზი. გათხოვება, რომელიც ამ ასაკშიც საკმაოდ გავრცელებულია, სერიოზული დაბრკოლებაა სწავლის გასაგრძელებლად. გათხოვების შემდგომ სტუდენტები ფაქტობრივად ვერ ახერხებენ ლექციებზე დასწრებას, ხოლო ალტერნატიული სწავლების მექანიზმები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შემუშავებული არ აქვთ. დაქორწინების მიზეზით სწავლის შეწყვეტის რამდენიმე განსხვავებული მიზეზი სახელდება: (ა) გათხოვების შემთხვევაში მეუღლე და მეუღლის ოჯახი აღარ აძლევს გოგონებს სწავლის გაგრძელების უფლებას „ოჯახი

საშელავათო პოლიტიკისეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში

მოკიდებს ხელს და აბა ეხლა დამთავრდა შენი სწავლა“-აცხადებს კვლევაში მონაწილე ერთ-ერთი პირი; (ბ) დაქორწინების შემთხვევაში, გოგონებს აღარ რჩებათ დრო სწავლისთვის, რადგან ოჯახში, ბავშვების გაჩენის შემდეგ ბავშვს სჭირდება ყურადღება და სტუდენტები ვეღარ აგრძელებენ სწავლას; (გ) არის შემთხვევები, როცა დაქორწინება ხდება საქართველოს მიღმა სომხეთის ან აზერბაიჯანის მოქალაქესთან, ასეთ შემთხვევაში სტუდენტები ტოვებენ ქვეყანას და ისინი ვეღარ აგრძელებენ სწავლას ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში „თუ გათხოვდა და თანაც გათხოვდა არა საქართველოში, თუ გათხოვდა სომხეთში“- ასახელებს კვლევაში ერთ-ერთი მონაწილე სწავლის შეწყვეტის მიზეზებს.

(ბ) დაბალი ენობრივი კომპეტენციები

მიუხედავად იმისა, რომ ყველა სტუდენტს გავლილი აქვს ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი პროგრამა, ეს არ გახლავთ გარანტია, რომ მათი ენობრივი კომპეტენცია საკმარისად მაღალია ბაკალავრიატში სწავლის უპრობლემოდ გაგრძელებისთვის. ფოკუსჯგუფის მონაწილეები მიუთითებენ ენობრივ პრობლემებს მასალის გაცნობისას „ენობრივი თვალსაზრისით არის სირთულე, რომ შევასრულოთ საშინაო დავალებები“. ამასვე აღნიშნავენ ლექტორები და ადმინისტრაციის თანამშრომლები. მიუხედავად იმისა, რომ მათ ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი პროგრამა დაძლეული აქვთ, საბაკალავრო დონეზე სპეციალობების სამეცნიერო ენა მაინც სხვა, უფრო მაღალ კომპეტენციებს მოითხოვს, რაც დაბრკოლებაა სტუდენტებისთვის: „უბრალოდ, უცებ გადადიან და უმნიშვნელოვანეს და საკმაოდ რთული საგნების სწავლას იწყებენ ქართულ ენაზე... ამიტომ, რაც სჭირდებათ იქ, რა უნარებიც, ის განსხვავდება იმისგან, რაც აქვთ“.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ენობრივი პრობლემა განსხვავებულად იკვეთება სხვადასხვა სპეციალობაზე და, შესაბამისად, სწავლის მიტოვების ან სპეციალობის შეცვლის მიზეზი მხოლოდ ზოგიერთ ფაკულტეტზეა - „სამედიცინოზე ისეთი მასალაა, ვერაფერს იგებ“... „სამართალში ისეთი ტექსტები იყო, სხვა პროგრამაზე გადასვლა გადავწყვიტე“. ერთ-ერთი მონაწილე დეტალურად იხსენებს საკუთარ ისტორიას:

„პირველი ორი წელი ჯოჯობითი იყო, ძალიან ვიწვალე. საერთაშორისო ურთიერთობებზე ვიყავი, ძალიან გამიჭირდა და რადგან ვერ შევძელი, გარე მობილობით გადავედი სხვა უნივერსიტეტში. იქ ადგილები არ იყო ჩემს სპეციალობაზე, მეორე სემესტრის შემდეგ შიდა მობილობით გადავედი ამ სხვა უნივერსიტეტში ჩემთვის სასურველ პროგრამაზე. ამდენი წლის შემდეგ ძლივს დავამთავრე“.

თუმცა, ამავე დროს, განსხვავებული ვითარებაა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე: „ჩვენთან, ჰუმანიტარებთან, ეს პრობლემა არ დგას“, ისევე, როგორც ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამაზე „ბიზნესის ადმინისტრირება ისეთი

საშელავათო პოლიტიკისეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში

პროგრამაა, რომ საერთაშორისო ტერმინოლოგიაა, არ უჭირთ ამიტომ“ - აღნიშნავენ ამ პროგრამების ხელმძღვანელები. შესაბამისად, ამ სპეციალობათა განსხვავებული ლინგვისტური მოთხოვნები, ალბათ, უნდა გაითვალისწინოს ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანმა პროგრამამ და მეორე სემესტრიდან, როცა სტუდენტს უკვე მეტ-ნაკლებად განსაზღვრული აქვს არჩევანი, შესაძლოა დიფერენცირებული პროგრამები შესთავაზოს არა მხოლოდ ერთი არჩევითი კურსის დონეზე, არამედ უფრო მოდულის დონეზე. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს უნიფიცირებული პროგრამებიდან - სტუდენტზე მორგებული დიფერენცირებული და მრავალფეროვანი მიდგომების ამუშავების მნიშვნელობას ქართულ ენაში მომზადების ერთწლიან პროგრამაზე.

(გ) დაბალი აკადემიური მომზადება

ზოგადი აკადემიური მომზადების თვალსაზრისით, პრობლემები დასახელდა კიდევ ერთ მიზეზად, რის გამოც სტუდენტები ან ვეღარ აგრძელებენ სწავლას, ან სხვა პროგრამაზე თუ უნივერსიტეტში გადადიან. კვლევაში მონაწილეები საუბრობენ, რომ ენობრივი პრობლემა არსებობს, თუმცა, ხშირად სტუდენტები, სწორედ ზოგადი განათლების პრობლემის გამო, აკადემიურად მოუმზადებლები არიან ამა თუ იმ პროგრამაზე სწავლისათვის. „სამედიცინო უნივერსიტეტია. რთულია, აბა, რა თქმა უნდა? - ამბობს ფოკუსჯგუფებში ერთ-ერთი მონაწილე. აკადემიური მოუმზადებლობის საკითხის წამოწევა ნათელს ჰფენს, ქართულ ენასთან ერთად, ზოგადი განათლების ხარისხის გაუმჯობესებისთვის ზრუნვის მნიშვნელობას ზოგადი განათლების საფეხურზე.

(დ) ფინანსური პრობლემები და არაპროფილური დასაქმება

ფინანსური პრობლემების გამო, სწავლის შეჩერების ან შეწყვეტის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია მთელს საქართველოში და სტატუსშეჩერებული სტუდენტების დიდი ნაწილი (11000 სტუდენტზე მეტი) სწორედ ფინანსური პრობლემების გამო იჩერება სტატუსს. ეს პრობლემა უცხო არ არის კვოტირებული სისტემით ჩარიცხული სტუდენტებისთვისაც. მათი ნაწილი სწავლას წყვეტს ან დროებით იჩერებს სტატუსს ფინანსური სიდუხჭირის გამო. ეს პრობლემა ცალსახად დასახელდა როგორც სტუდენტების ფოკუსჯგუფებში, ასევე ლექტორებთან დისკუსიისა თუ ლექტორთა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუებში. როგორც კვლევაში ერთ-ერთი მონაწილე შენიშნავს: „თუ ვერ მიიღო გრანტი, ხშირად არის, რომ იჩერებს სტატუსს“. ეს ტენდენცია კიდევ ერთხელ ნათელს ხდის, ზემოთ უკვე განხილული - სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული უმაღლესი დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების გავრცელების აუცილებლობას კვოტირების სისტემით ჩარიცხულ სტუდენტებზე. კიდევ ერთი მიზეზი ამავე კონტექსტში სახელდება არაპროფილური დასაქმება

საშეღავათო პოლიტიკისეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში

რომელიმე ბიზნეს ორგანიზაციაში. „ხშირია შემთხვევები, როცა თვითონ ან მათი ნათესავი იწყებს კომერციულ საქმიანობას და სტუდენტებიც ჩაებმებიან ამ საქმიანობაში, საიდანაც შემოსავალი აქვთ და სწავლა მათთვის ნაკლებ პრიორიტეტული ხდება“... „სწავლაზე უარს ამბობს, რაღაც საქმეში თუ არის ჩართული - კომერციულ, რაღაც გარკვეული ტიპის სამუშაოზე“-აცხადებენ კვლევაში მონაწილე ლექტორები.

(ე) ქვეყნის დატოვება

მიუხედავად იმისა, რომ სტატისტიკამ ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩაბარების მსურველთა თვალსაზრისით მკვეთრი გაუმჯობესება აჩვენა, სწავლის დაწყებამდე თუ სწავლის ეტაპზე, მაინც ხშირია პრეცედენტები, როდესაც სტუდენტები სამუშაოს შოვნისა თუ სხვა კარიერული პერსპექტივის თვალსაზრისით, საზღვარგარეთის ქვეყნებს მიაშურებენ. ეს ტენდენციები ძირითადად არა ისტორიული სამშობლოს მიმართ ფიქსირდება, არამედ ორი გამოკვეთილი ქვეყანაა სამიზნე დანიშნულების ადგილი: თურქეთი -აზერბაიჯანულენოვანთათვის და რუსეთი - სომხურენოვანთათვის: „მიდიან რუსეთში, ან ოჯახი მიდის, ან ვიღაცა მიდის, ან თვითონ ამას უშვებენ.“ აღნიშნავენ კვლევაში მონაწილენი. ეს ტენდენცია საკმაოდ დასაფიქრებელია, რადგან, როგორც ზოგადი და ახლა უკვე უმაღლესი განათლების საფეხურზე, სახელმწიფო დებს უამრავ რესურსს მიგრანტთა გასაზრდელად, რომლებიც საკუთარ პერსპექტივას მაინც უცხო ქვეყანაში დასაქმებასა და ფინანსურ საქმიანობაში ხედავს „ცალსახად სამუშაოა რუსეთში წასვლის მიზეზი, ისინი დასაქმების გამო მიდიან და ქვეყანას ტოვებენ ან ოჯახი მიდის ან ბოლოს ასე წყვეტს თავის ბედს და იქ დასაქმებისთვის მიდის“.

7.2. აკადემიური, სოციალური და სამოქალაქო ინტეგრაცია

აღნიშნული მიმართულებით კვლევამ საინტერესო ტენდენციები გამოავლინა. კვლევამ დაადასტურა, რომ დისკრიმინაციული ეპიზოდები კვლავ დამახასიათებელია აკადემიურ პროცესში, თუმცა, ამავე დროს, აჩვენა საინტერესო და პოზიტიური მაგალითები ლექტორთა მხრიდან.

სოციალური და სტუდენტური ინტეგრაციის თვალსაზრისით, საბაკალავრო პროგრამისთვის მომზადებასთან დაკავშირებულ ხარვეზებზე ცალსახად საუბრობენ ფოკუსჯგუფების მონაწილენიც. საბაკალავრო საფეხურზე სომეხი და აზერბაიჯანელი სტუდენტები ქართველ სტუდენტებთან ერთად აგრძელებენ სწავლას, რაც მათთვის ახალი გამოწვევაა. ქართული ენის ერთწლიანი პროგრამისგან განსხვავებით, სადაც ისინი ზოგიერთ შემთხვევაში ფიზიკურადაც კი იზოლირებულნი არიან, საბაკალავრო

საშეღავათო პოლიტიკისეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს
უმალღესი განათღების სისტემაში

ღონეზე უკვე უწევთ ჩვეუღებრივ გარემოში სწავღა და აქ აწყღებიან გარკვეულ წინააღმღეგობებს, რომელთა დაღღევაც უწევთ და რომელთა შესახებაც მტკივნეულად საუბრობენ. ამ თვალსაზრისით, პრობღემა სხვადასხვა მიმართუღებით სახეღღება (ა) სტუღენტებთან ინტერაქცია აკადემიურ თუ ლექციებს მიღღმა სივრცეში; (ბ) ლექტორებთან და აღმინისტრაციასთან ინტერაქცია აკადემიურ თუ ლექციის მიღღმა სივრცეში; (გ) სამოქალაქო და სტუღენტური ინტეგრაციის განსხვავეღული მექანიზმები და აქტივობები სხვადასხვა უნივერსიტეტში; (ღ) დაბრკოღებები, რომღებიც ხეღს უშღლიან სტუღენტებს უფრო აქტიური ჩართუღობისთვის.

*(ა) სტუღენტებთან ინტერაქცია აკადემიურ თუ ლექციებს მიღღმა
სივრცეში*

სტუღენტთაშორისი ურთიერთობების თვალსაზრისით, განსხვავეღული აღქმა აქვთ ლექტორებსა და სტუღენტებს. ლექტორები მიიჩნევენ, რომ არანაირი პრობღემა ქართუღენოვან და არაქართუღენოვან სტუღენტებს შორის ინტერაქციაში არ არსებობს: „სტუღენტებს აქვთ ერთმანეთთან ძალიან საღი და ჯანმრთეღი დამოკიღებუღება, ანუ არ არის გარჩევა, რომ ის არ არის ქართვეღი“... „აბსოღუტურად ნორმაღურად, არავითარი პრობღემა არ არის.“ - აღნიშნავენ უმალღესი საგანმანათღებღო დაწესებუღებების ლექტორები და აღმინისტრაციის წარმომადგენღები, თუღცა, სტუღენტთა ფოკუსჯგუფებში საინტერესო ტენდენციები გამოიკვეთა. რა თქმა უნდა, სტუღენტებიც აღნიშნავენ არსებულ პოზიტიურ გარემოს და პოზიტიურ პრაქტიკას, თუღცა ამ მიმართუღებით სპეციფიკური არასასიამოვნო მაგალითებიც სახეღღება:

„პირვეღად, რომ არ ვიციღდი ქართუღი, იყო ის, რომ იცინოღდნენ. მერე მე რომ მათზე მაღაღი ქუღები მქონდა, იმაზეც რაღაცნაირი დამოკიღებუღება ჰქონდათ. კიღევ ასეთი სტერეოტიპუღი მიღღგომა ხომ არის, ყვეღა სომეხი აფერისტია, ეგ რომ მეუბნებოღდნენ როგორ...სულ კამათი იყო ჩემსა და იმათ შორის. ყვეღა სომეხი აფერისტიაო, ასე რომ მეუბნებოღდნენ“.

*(ბ) ლექტორებთან და აღმინისტრაციასთან ინტერაქცია აკადემიურ
თუ ლექციის მიღღმა სივრცეში;*

ლექტორებსა და სტუღენტებს შორის საბაკალავრო ღონეზე ინტერაქციის თვალსაზრისით საკმაოდ პოზიტიური ტენდენციები ვღინღება და ამაზე საუბრობენ როგორც ლექტორები, ასევე სტუღენტები. ლექტორთა დიღი ნაწიღი ცდიღობს, გარკვეულწიღად შეცვაღოს საკუთარი სასწავღლო პრაქტიკა და გაითვალისწინოს სტუღენტთა საჭიროება. აგრეთვე ლექტორთა დიღი ნაწიღისთვის თანასწორობა და თანაბარი შესაღღებღობების შექმნა შეურყვნეღი პრინციპებია:

„ერთი შემთხვევა მახსოვს, როღესაც შევეღით უნივერსიტეტში, აფხაზეთიღან ჩამოსღლები იყენენ მეგრეღები. ძალიღან ეშიწოღათ: იმიტომ, რომ - როგორ უნღა მოვეცეთ. ხომ არის ისეთი სტერეოტიპი, რომ რაღღან ისინი ცხოვრობენ აფხაზეთში უფრო რუსებთან აქეთ ურთიერთობა და რუსული ენა უფრო კარგად იღიღან, ვიღღრე ქართული. ეშიწოღათ სტუღენტებს და როღესაც შევეღით ჩვენს ლექციაზე, შემოვიღა ლექტორი და გვითხრა, რომ არავითარ შემთხვევაში არავითარი ღისკრიმინაცია არ იენება, ყვეღანი თანასწორეღი ხართ, როგორც ქართვეღები, აზერბაიჯანეღები, ასევე სომხეღი, ყვეღამ ერთად უნღა ისწავღოთ. საგანს როგორც ისწავღით, ისე მიიღებთ ქულას. ეშიწოღა სტუღენტს, მაგრამ როღესაც მღნ უთხრა უკვე დაწყნარღა და ჩვეუღებრივად სწავღობღა“.

სტუღენტეღი კონკრეტულ მიღღომებსაც იხსენებენ, როღესაც ლექტორი საწყის ეტაპზე ცდიღობღა გაეთვალისწინებინა მათი ეწობრივი კომპეტენცია და პირვეღი სემესტრის განმავღობაში მათ სასწავღო პროცესში ჩასართავად განსხვავებულ მიღღომებს იყენებღა, აწუ ლექტორმა შეცვალა მიღღომეღი სტუღენტთა საჭიროეღიღან გამომღინარე:

„მაგალითად როღესაც ჩემს კურსეღს ჰქონღა ეწის პრობლემა, კურსზე ვიყავით ორმოცწი და სულ ქართვეღები იყენენ, მარტო ხუთწი ვიყავით არაქართულენოვანი სტუღენტი. გვრცხვენოღა, რომ გამოვსულიყავით და საგანი მოგვეყოღა, ამიტომ შეღავათი გაუკეთა და ერთი სემესტრის განმავღობაში გვექონღა შეღავათი. ჩვენ ვეღოღებოღით 40 აღამიანი გაღიოღა, როღესაც მარტო ვრჩებოღი მერე ვყვებოღით გაკვეთიღს მარტო ლექტორთან. ეს ყვეღგან არ ხღება, დარწმუნებული ვარ, იმიტომ, რომ ეს გააჩწია აღამიანს“.

თუმცა, პოზიტიური მაგალითებისა და ტენღენციების მიღმა იკვეთება არასასიამოვნო ინციღენტეღი, რომღლებიც მძიმე გავღენას ახღენენ სტუღენტებზე და ხშირ შემთხვევაში მათი ფსიქოლოგიური მიღღომარეობა მძიმეა. აქვე უნღა აღვწიწოთ, რომ ლექტორებისა და სტუღენტების ინტერაქციისას არსებულ პრობლემატიკაზე საუბრობენ როგორც ლექტორეღი, ასევე სტუღენტეღი.

საინტერესო და ყურადღსაღები საკითხეღი გამოიკვეთა სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტში. როგორც კვლევაში მონაწიღეთა ინტერვიუებით და ფოკუსჯგუფებით იკვეთება, სომხურენოვანი სტუღენტების აკადემიური და სოციაღური ინტეგრაციის პრობლემა არ ღგას აქ არსებული სოციაღური ურთიერთობეღიღან და რეგიონის სპეციფიკიღან გამომღინარე, რის გამოც სჯსუ-ში ყვეღაზე დაბალია უნივერსიტეტის მიტოვების მაჩვენებელი 1+4 პროგრამის კურსაღამთავრებულეღბში. ამ პოზიტიურ ეფექტს ერთხმად აღწიწნავენ ლექტორეღიც, აღმინისტრაციაც და სტუღენტეღიც, თუმცა კვლევაში გამოაჩინა სხვა ჯგუფთან არსებული პრობლემაღი. სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტში სწავღობენ 1944 წელს ღეპორტირებული ჯგუფების შთამომავღები, რომელთაც სწავღის პროცესში როგორც

საშეღავათო პოლიტიკისეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში

ენობრივი, აგრეთვე აკადემიური და სოციალური თვალსაზრისით ინტეგრაციის პრობლემები აქვთ, რაც მნიშვნელოვნად ყურადსაღებია და ამაზე მუშაობს უნივერსიტეტიც. ვფიქრობთ, დამატებით მნიშვნელოვანი ღონისძიებების დაგეგმვა შეიძლება ამ მიზნობრივ ჯგუფთან მიმართებით, მათ შორის არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან. რაც შეეხება უშუალოდ ლექტორთა და სტუდენტთა შორის ინტერაქციას, კვლევის დროს სწორედ ამ თვალსაზრისით გამოჩნდა გარკვეული გამოწვევები: *„ყოფილა მესხებთან ასეთი რამე, რომ აი რატომ; ენობრივი პრობლემა დამდგარა უფრო, მესხებთან ენის პრობლემა დამდგარა და რა არის იგი? ამ რეგიონში მესხებისა და აი, ამ მაკმადიანი და ქრისტიანი მესხების დაპირისპირება, სხვა ფესვების მატარებელია და რაღაც ეს სიმპტომები ჩანს ხოლმე ხანდახან. ისიც იშვითად ძალიან“... - აღნიშნავს კვლევაში ერთ-ერთი მონაწილე.*

რაც შეეხება თბილისში განთავსებულ უნივერსიტეტებს: როგორც ზემოთ ითქვა, უამრავი პოზიტიური ფაქტია წარმოჩენილი ლექტორთა და სტუდენტთა მხრიდან, თუმცა რამდენიმე მძიმე ეპიზოდიც გაიხსენეს სტუდენტებმა, რომლებმაც დამთრგუნველად იმოქმედა მათზე. ბაკალავრიატის საფეხურზე მყოფი ერთ-ერთი სტუდენტი იხსენებს: *„ლექტორი იყო და ახლო აღმოსავლეთის შესახებ ლექციას ატარებდა და არ იცოდა რომ ლექციაზე აზერბაიჯანელი იჯდა. დაიწყო ლექცია, აი ეს მუსულმანები, საქართველოში ნახე, უკვე ქართველების რიცხვი შემცირდა. აზერბაიჯანელები უკვე ოთხშვილიანები არიან, გამრავლდნენ, საქართველო გათურქდება... მე ისე ვიყავი... მერე ნახა ჩემი სახელი და გვარი, ისეთი სახით შემომხედა დაიბნა და ახლა როცა ვხვდებით უნივერსიტეტის გარეთ, ლექციებზე, მის სახეზე ისევ ის დაბნევა არის ჩემ მიმართ. ძალიან გული დამწყდა“.*

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც წინა კვლევებშიც გამოჩნდა, აზერბაიჯანულენოვანი თემის არასწორად და სტერეოტიპულად სახელდება. ამ სახელდებას იყენებენ, როგორც სტუდენტები, ასევე, რაც უფრო მეტად სამწუხაროა, აკადემიური სფეროს წარმომადგენლებიც და აზერბაიჯანულენოვან სტუდენტებს უწევთ მნიშვნელოვანი ძალისხმევის გაწევა, რათა მათი თემის ამ ფორმით სახელდება არ მოხდეს. ერთ-ერთი სტუდენტი იხსენებს შემთხვევას:

„მაგალითად, სტერეოტიპი არსებობდა აზერბაიჯანელების მიმართ - თათრები. ანუ იყო ერთი ლექტორი, მე მგონი (ასახელებს საგანს) იყო თუ არ ვცდები, რაღაც იყო და იკითხა: ჯგუფში გვყავს თათარი ვინმეო? ჯგუფში მე ვიყავი. არ ამოვიღე ხმა, წავიდა ჩვეულებრივად სიას კითხულობდა (ასახელებს საკუთარ სახელს და გვარს). აბა, რომ არ არისო არავინო, მე ვუთხარი: ჯერ ერთი არ ვარ თათარი, ვარ აზერბაიჯანელი. მერე ავუხსენი, რატომ. ეს არ არის სწორი“.

საშეღავათო პოლიტიკისეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს
უმალღესი განათღების სისტემაში

*(გ) სამოქალაქო და სტუდენტური ინტეგრაციის განსხვავებული
მექანიზმები და აქტივობები სხვადასხვა უნივერსიტეტში*

უნდა აღინიშნოს, რომ თბიღისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და იღიას უნივერსიტეტებში ფუნქციონირებს ახალგაზრდული ცენტრები და ტუტორიუმის პროგრამები, რომღებიც მნიშვნეღვან როღს თამაშობენ არაქართულენოვანი სტუდენტების აკადემიური, სტუდენტური და სოციაღური ინტეგრაციის თვალსაზრისით. ამ ცენტრებისა და ტუტორიუმის პროგრამის პოზიტიურ გავღენაზე ცალსახად საუბრობენ როგორც ამ უნივერსიტეტების, ასევე სხვა უნივერსიტეტების ლექტორები და სტუდენტები. უნდა აღინიშნოს, რომ თბიღისის სამედიცინო უნივერსიტეტისა და საქართვეღოს ტექნიკური უნივერსიტეტების სტუდენტები მოკღებულნი არიან ანაღოგიურ შესაძღებღობას, მიუხედავად იმისა, რომ მათი ჩართვა გარკვეულ ღონისძიებებში ახალგაზრდული ცენტრების მიერ ხორციღდებღდა. სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები პირდაპირ მიუთითებენ იმ პოზიტიურ შედეგებზე რაც ამ პროგრამებს სხვა უნივერსიტეტებში აქვთ და რასაც ისინი მოკღებულნი არიან:

„ტუტორი რომ გეყოღოდა, მაღალკურსელი იქნებღდა და სწავღის შესახებ რაღაც ინფორმაცია გვექნებღდა. თან ქალაქში რომ მოვეღით, არ ვიცოღით საერთოღ ქალაქი და აღბათ მისი დახმარება დაგგჭირდებღდა იმ დროს. ... (ტუტორიუმის პროგრამის შესახებ ვიცით) სხვა უნივერსიტეტიღან. ჯავახიშვიღიღან, მაგალითად იღიას უნივერსიტეტიღან მეგობრები სწავღობენ.... არ დავღიღით (ექსკურსიები და კლასგარეშე აქტივობები), გვინდღდა, მაგრამ ფინანსური იმღენი დახმარება არ გვექონდა... არ აფინანსებს ექსკურსიებს“.

*(ღ) დაბრკოღებები, რომღებიც ხეღს უშღიან სტუდენტებს უფრო
აქტიური ჩართუღობისთვის*

უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტები აქტიურად მონაწიღეობენ მათთვის განკუთვნიღ სპეციაღურ საინტეგრაციო პროგრამებში: „პიტაში აქტიურად ჩართული ვარ, ძალიან საინტერესოა“ - აღნიშნავს ერთ-ერთი სტუდენტი, თუმიცა, ამავე დროს თავს იკავებენ უნივერსიტეტების თვითმმართვეღობის საქმიანობაში აქტიურად ჩართვისგან და ამის მიზეზად მათ დაბალ ენობრივ კომპეტენციას და მიმღებღობის შიშს ასახეღებენ. „სტუდენტური თვითმმართვეღობა არის. ერთხეღ შევეღი, პირვეღ შეხვედრაზე ვიყავი. მერე რა ვიცი, ცოტა მიჭირდა კომუნიკაცია და მერე ვეღარ წავეღი.... ძალიან საინტერესო იყო, მაგრამ მრცხვენღდა ქართუღის გამო. ისე კი - ძალიან მინდღდა“. - აღნიშნავს კვღვის ერთ-ერთი მონაწიღე. მსგავსი უარყოფითი გამოცდიღების გათვალისწინებით, მნიშვნეღვანია, რომ მუშაობა წარიმართოს არა მარტო ეთნიკური უმცირესობების მიზნობრივ ჯგუფთან, არამედ სტუდენტურ

საშეღავათო პოლიტიკის ეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში

თვითმართველობასა თუ სხვა სტუდენტურ ჯგუფებთან მათში მიმდებლობის ხარისხის გასაზრდელად.

7.3. საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ეთნიკური უმცირესობების პრობლემების შესწავლა საბაკალავრო დონეზე

საბაკალავრო საფეხურზე სწავლის პროცესში წარმოქმნილი პრობლემები გაანალიზებულია კვლევის როგორც წინამდებარე, ასევე სხვა თავებშიც, მაგრამ მნიშვნელოვნად მივიჩნით, რომ ეს საკითხები კონცენტრირებულად იყოს განხილული და აჩვენოს საბაკალავრო საფეხურზე წარმოქმნილი პრობლემები როგორც სპეციფიკის, ასევე, დროისა და სივრცითი დინამიკის გათვალისწინებითაც.

ეს პრობლემები შემდეგი მიმართულებით შეიძლება იყოს კლასიფიცირებული:

1. საბაკალავრო პროგრამებში წარმოდგენილი სწავლების ფორმატი და შინაარსობრივი დატვირთვა, რომელიც არ არის ნაცნობი სტუდენტებისათვის და, შესაბამისად, ითხოვს გარკვეულ დროს ადაპტირებისათვის;

2. პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე კონკრეტული პრობლემატიკა, რომელიც აკადემიურ და ენობრივ სირთულეებსა და ადმინისტრაციულ საკითხებს უკავშირდება;

3. საბაკალავრო პროგრამებისათვის დამახასიათებელი საერთო პრობლემები, რომლებიც პროგრამის არჩევანსა და ქართული ენაში მომზადების პროგრამის კურსდამთავრებული სტუდენტებისათვის დამახასიათებელ კონკრეტულ პრობლემატიკას ეხება.

1. საბაკალავრო პროგრამებში წარმოდგენილი სწავლების ფორმატი და შინაარსობრივი დატვირთვა, რომელიც არ არის ნაცნობი სტუდენტებისათვის და, შესაბამისად, ითხოვს გარკვეულ დროს ადაპტირებისათვის.

ეს პრობლემები მოიცავს: ა. ინტერაქციის ფორმატის ცვლილებას, რომელიც გულისხმობს ინდივიდებზე ორიენტირებული, სასკოლო სწავლებასთან მიახლოებული ფორმატიდან სალექციო ფორმის სწავლებაზე გადასვლას, სადაც ხშირ შემთხვევაში სწავლება სტუდენტების დიდი რაოდენობისათვის ერთდროულად მიმდინარეობს. ამ შემთხვევაში, პირდაპირი უკუკავშირის ნაკლებობის გამო, ქართული ენის პროგრამის კურსდამთავრებულებისათვის რთულდება იმ საკითხების გარკვევა ლექტორთან პირდაპირი კომუნიკაციის და ინტერაქციის საშუალებით, რაც გაუგებარი იყო მათთვის ლექციის მსვლელობისას (პირდაპირი უკუკავშირისა და ინტერაქციის შეზღუდული შესაძლებლობები).

ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართულ ენაში მომზადების პროგრამის კურსდამთავრებულები საუბრობენ იმ ხარვეზზე, რომელიც

საშეღავათო პოლიტიკისეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში

ერთწლიან პროგრამას გააჩნია მათი საბაკალავრო პროგრამის ფორმატსა და კურსის ფარგლებში ინტერაქციის კუთხით:

„ახალი გარემო, ქართველი სტუდენტები. ძირითადი პრობლემა ის არის რომ მოსამზადებელ პროგრამაზე არიან აზერბაიჯანელები და სომხები. ქართველ სტუდენტებთან, ახალგაზრდობასთან კომუნიკაცია არ გვექონია, როცა პირდაპირ იქ [საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში კურსები], მოვხვდით ჩემთვის ეს ძალიან ცუდი იყო. ამან ძალიან ცუდი გავლენა მოახდინა ჩემს ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე. პირდაპირ ახალი მეგობრები, ქართველი სტუდენტები; მათ შორის ხარ და ძალიან შეშინებული ხარ. რა უნდა გააკეთო შენ, არავის არ იცნობ, კომუნიკაციის პრობლემები გაქვს, გრცხვენია“.

თუმცა, გამოიკვეთა, რომ პროგრამების ნაწილი ისეა დაგეგმილი, რომ ეთნიკური უმცირესობის სტუდენტებს საერთო დიდი ლექციის შემდეგ, სემინარები ცალკე უტარდებოდათ, რაც აადვილებს მათთვის საკუთარი აზრების გაზიარებას, კითხვების დასმას და საკითხების ბოლომდე გარკვევას.

ასევე გამოვლინდა საუნივერსიტეტო პრაქტიკები, სადაც არსებობს ხელშეწყობა ენობრივი პრობლემებით გამოწვეულ აკადემიური სირთულეების გადასალახავად. ქართული ენის კურსდამთავრებული სტუდენტებისათვის ლექციის შემდგომ ცალკე სემინარები იგეგმება, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტებს, ბოლომდე გაარკვიონ ის საკითხები, რომლებიც მათთვის არ იყო სრულიად გასაგები. თუმცა, ამ შემთხვევაშიც კი, სტუდენტები საუბრობენ იმ განსაკუთრებულ ძალისხმევაზე, რომელიც მათ სჭირდებოდათ სახლში, დამატებითი მუშაობის სახით, რათა ყველაფერი გაიგონ და ისწავლონ.

ლექტორები ასევე საუბრობენ, რომ სწავლების პერიოდში მუშაობენ არა მხოლოდ კონკრეტული საგნობრივი მიმართულებით, არამედ იმ სოციალური და სიცოცხლისათვის აუცილებელი უნარების განვითარებაზე, რომელიც ქართულ ენაში მომზადების პროგრამადამთავრებულ სტუდენტებს განსაკუთრებით სუსტად აქვთ განვითარებული სასკოლო განათლების პერიოდიდან.

სოციალური და „სოფტ“ უნარების განვითარებისათვის უნივერსიტეტები დამატებითი სემესტრის გავლას სთავაზობენ ამ სტუდენტებს საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში:

„თუ რომელიმე საგანს ვერ აზარებს, ვერ ასწრებს, შეუძლია ზაფხულის დამატებითი სემესტრის განმავლობაში გაიაროს ეს საგანი, რომ შემდეგი სემესტრისათვის შეძლოს მომდევნო კურსზე სწავლის გაგრძელება და მთელი წელი არ დაკარგოს“.

საშეღავათო პოლიტიკისეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში

ბ. სასწავლო მასალის მოცულობა და ახალი ინფორმაციის ნაკადი, რომელიც მკვეთრად განსხვავებულია მანამდე მოცემული მასალისგან და, შესაბამისად, ქართულ ენაში მომზადების პროგრამის კურსდამთავრებული სტუდენტებისათვის პრობლემას წარმოადგენს მისი ხარისხიანი გაცნობა, გაანალიზება და დამუშავება:

„მოსამზადებელზე, მაგალითად, ერთ გვერდს ვსწავლობდით მოყოლით, იქ (საბაკალავრო პროგრამაზე) უკვე 15 გვერდია და, აი, უცებ შოკში ხარ, როგორ უნდა ვისწავლო. მოცულობა გაიზარდა“.

საგულისხმოა, რომ უნივერსიტეტების ნაწილი საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს სთავაზობს ადაპტირებული მასალით მუშაობის შესაძლებლობას ენობრივი სირთულეების გათვალისწინებით. ლექტორები ითვალისწინებენ ინდივიდუალური სტუდენტის შესაძლებლობებსა და ენობრივ მზაობას, თუმცა, ხშირად არის შემთხვევები, როდესაც სტუდენტები თავად აცხადებენ უარს ადაპტირებული მასალებით მუშაობაზე და ცდილობენ, რომ მასალის რაოდენობრივ გამოწვევას და შესაბამისად, ენობრივ სირთულეებს, გამლიერებული დამოუკიდებელი მუშაობით უპასუხონ. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ეს გამოწვევა ძირითადად საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის პირველ კურსებზეა შესამჩნევი და მომდევნო კურსებზე ბალანსდება. არის შემთხვევები, როდესაც ეთნიკური უმცირესობის სტუდენტები საკუთარი მონდომების და დამოუკიდებლად მუშაობის საშუალებით უკეთეს შედეგებზე გადიან, ვიდრე მათი ქართულენოვანი თანატოლები. ამიტომ, უნივერსიტეტებში საუბრობენ ბევრი სტიპენდიანტი, გრანტის მფლობელი ეთნიკური უმცირესობის სტუდენტის შესახებ, რომლებიც საკუთარი შეუპოვრობით და მაღალი მოტივაციით ახერხებენ სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას.

2. პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე კონკრეტული პრობლემატიკა, რაც აკადემიურ და ენობრივ სირთულეებს უკავშირდება.

ენის არასაკმარისი ცოდნა, რომელიც სტუდენტებს აფერხებს კურსის შინაარსობრივი მხარის გარშემო დასვას კითხვები და, შესაბამისად, გაარკვიოს ის საკითხები, რომლებიც მისთვის გაუგებარია. ამასთან, სტუდენტების ენობრივი სირთულეები არ არის დაკავშირებული მხოლოდ ქართულთან, არამედ ასევე შეიძლება უკავშირდებოდეს უცხო ენის ფლობის არასაკმარისობასაც.

საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელები საუბრობენ ქართული ენის პროგრამის სტუდენტების მეტ საუნივერსიტეტო მზაობასა და ცნობიერებაზე, რომელიც მათ ერთწლიან სწავლას უკავშირდება უნივერსიტეტში.

„საბაკალავრო საფეხურზე რომ გადადიან, ბევრად უკეთ იცნობენ საუნივერსიტეტო სივრცეს, აკადემიურ მოთხოვნებს, სწავლის მეთოდებს, ვიდრე მათი ქართულენოვანი თანატოლები, ამიტომ მათთვის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში ადაპტაცია უფრო ადვილია“

საშეღავათო პოლიტიკისეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში

საუნივერსიტეტო გარემო უნივერსიტეტის ადგილმდებარეობის მიხედვით განსხვავებულია. იქ, სადაც სტუდენტები, რომლებიც მრავალეთნიკურ გარემოში ცხოვრობენ და ქართველ მოსახლეობასთან მჭიდრო ურთიერთობები აქვთ, საუნივერსიტეტო სივრცეში უფრო ლაღად გრძნობენ თავს. ამასთან, სტუდენტების აღქმების მიხედვით, მათ მიმართ დამოკიდებულებების მიმართ გააჩნიათ მაღალი მიმდებლობა და ნაკლებად არიან მიდრეკილი სწავლის პროცესში მათ მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციული პრაქტიკების გამოვლენაზე.

ბაკალავრები საუბრობენ პოზიტიურ მაგალითებზეც, როდესაც ქართულენოვანი თანაკურსელები გაუგებარი ტერმინების, შინაარსობრივი მხარეების ან სამუშაო ფორმატის გაგებაში ეხმარებოდნენ.

„ჩვენი ფაკულტეტი ძალიან განვითარებულია მე მგონი, რომ ყველა ბავშვისთვის, ინფორმაციული ტექნოლოგიები, ისე არის, რომ მაგალითად სხვა ენებიც არის მაგისთვის საჭირო, მაგრამ ჩვენ ეგეთი პრობლემა არ შეგვექმნია, რომ ვერ გავიგოთ, მაგალითად, რაღაცები და თუ ვერ გავიგებდით, ჩვენი კურსელები გვიხსნიდნენ“.

საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები ასევე ხაზს უსვამენ ქართულ ენაში მომზადების პროგრამაში შერეული ჯგუფების მნიშვნელობას (სომეხი და აზერბაიჯანელი სტუდენტების ერთად სწავლის პროცესი) ენობრივი განვითარებისათვის და საბაკალავრო პროგრამაში აკადემიური და ენობრივი გამოწვევების შემცირებისათვის.

უნივერსიტეტის წარმომადგენლების მოსაზრებით, საბაკალავრო პროგრამებზე სწავლისათვის მზაობის თვალსაზრისით, სტუდენტების მთავარი გამოწვევა არა სოციალური, არამედ მეტაკოგნიტური უნარების ნაკლებობაა. დამოუკიდებლად მუშაობის უნარი, „სწავლის სწავლის“ უნარი და მონიტორინგი.

გამოწვევებს შორის ასევე დასახელდა არა მხოლოდ ქართული ენის, არამედ ინგლისური ენის არასაკმარის ცოდნასთან დაკავშირებული გამოწვევები, რომლებიც აკადემიური ლიტერატურის გაცნობისა და, რიგ შემთხვევებში, ქართველი თანატოლებისათვის ხელმისაწვდომი სასწავლო რესურსების თანაბარ წვდომას ზღუდავს. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგება იმ შემთხვევებში, როდესაც სტუდენტები ანგლისტიკას ირჩევენ საბაკალავრო პროგრამად და ამავდროულად, ენის საბაზისო უნარებიც კი არ გააჩნიათ, იმ ფონზე, როდესაც ანგლისტიკა ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი პროგრამის კურსდამთავრებულების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. ამ შემთხვევაში, უნივერსიტეტი მათ სთავაზობს პროგრამის ძირითადი კურსების გარდა, ინგლისური ენის სასწავლო კურსებს. ამ შემთხვევაში კი, სტუდენტებს სასწავლო სემესტრები ემატებათ. პროგრამის ხელმძღვანელების განმარტებით, პროგრამულად ქართული ენის კურსდამთავრებულებისათვის გამარტივება გამორიცხულია, თუმცა,

საშელავათო პოლიტიკისეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში

ხელშეწყობისათვის, ხდება კურსების გადანაწილება ისე, რომ სწავლის პროცესი მათთვის უფრო მარტივი და მოხერხებული გახდეს.

კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა ბევრი პოზიტიური ქეისი სტუდენტების პრობლემების და გამოწვევების საპასუხოდ გადადგმული ნაბიჯების სახით.

ძირითადად, მასალის გაუგებრობის შემთხვევაში, ლექტორების მზაობა დახმარებისთვის - არა პრობლემების დემონსტრირებით და ხაზგასმით, არამედ ენობრივი განსხვავების აქცენტირებით, რაც ამ განსხვავების პატივისცემით გამოიხატება.

„შეიძლება მოვიდეს, რაღაც 2 წინადადება სომხურად მითხრას, ესეც ხო ინტეგრირების რაღაც ხერხი და საშუალებაა, შეეძლო 2 წინადადება სომხურად ეთქვა, რომ აი რამდენად პატივს ვცემ შენს კულტურას და მნიშვნელოვანია ჩემთვის და რაღაც ინტეგრირების მექანიზმებიც გამოიყენებინა. რა ვიცი, ლექტორები და ის გარემო, რაც ამ უნივერსიტეტშია, ტოლერანტული გარემო, აი ეგ დამახმარა,“

სტუდენტები ასევე საუბრობენ რუსული ენის გამოყენებაზე ლექტორების მიერ, იმ შემთხვევაში, თუ ქართულად რაიმე გაუგებარია.

მეორე მხრივ, სტუდენტები საუბრობენ იმ შეღავათებზე, რომლებიც ლექტორებისგან აქვთ არა მხოლოდ ენობრივი, არამედ აკადემიური თვალსაზრისითაც;

„არ უსვამენ ხაზს ჩვენს სხვა ეროვნებას, არ იმჩნევენ ლექტორები, რომ ჩვენ უფრო დაბალ დონეზე ვართ“.

ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი პროგრამის კურსდამთავრებულთა მიერ საკუთარი აკადემიური მოსწრების რეალისტური შეფასება, სადაც ისინი თავად საუბრობენ იმ სისუსტეებზე, რომლებიც მათ ქართველ თანატოლებთან შედარებით აქვთ.

სტუდენტების ნაწილი საუბრობს ლექტორების მიდგომაზე, რომელიც გულისხმობს სტუდენტების ინტეგრირებას მათ სრულ მეინსტრიმში ხედავს. *„არ აქცევენ ყურადღებას, ამბობენ, რომ არ აქვს მნიშვნელობა და ჩვენ ისე უნდა ვისწავლოთ, როგორც ქართველებმა“.*

რაც შეეხება სტუდენტების პროგრამების ადმინისტრაციასთან ურთიერთობას, ამ კუთხით ვლინდება პოზიტიური ქეისები, თუმცა, ასევე იკვეთება არასასიამოვნო შემთხვევებიც, რომლებზეც სტუდენტები საუბრობენ.

რიგ შემთხვევებში, ქართული ენის კურსდამთავრებულ ბაკალავრ სტუდენტებს შორის მეორდება პრაქტიკა, როდესაც საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელების ნაწილი საუბრობს საერთო წესებსა და დამოკიდებულებებზე, რომელიც ყველა სტუდენტისათვის ერთნაირია და რაიმე ნიშნით გამოყოფას არ ითვალისწინებს.

„თუ რამე დაგჭირდებათ, ჩემთან მოდიითო, ასე გვეუბნება. თუმცა, როდესაც გვიხსნის, გამოცდაზე როგორ უნდა მივიდეთ, სად და ა.შ. ყველაფერი გასაგებია და არ დამჭირვებია ცალკე მისვლა დახმარებისთვის“.

საშელავათო პოლიტიკისეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში

სტუდენტები საუბრობენ საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სწავლის პერიოდში განხორციელებულ ცვლილებებზე, რომლებიც კვლევის შედეგებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებს გულისხმობს და პოზიტიურად აისახა სტუდენტებისგან უკუკავშირის მიღების რეგულარობაზე.

„აი ჩვენ დროს, მაგალითად, ეგეთი რაღაცეები არ იყო. რაღაცეები შეიცვალა, ალბათ კვლევებმაც აჩვენა. მე ვიყავი მეორე კურსზე, სხვა ქალბატონი იყო მოსული და კვლევა ჩაატარა მანაც, მსგავსი კითხვები იყო და მას შემდეგ იგრძნობა ცვლილებები.“

პრობლემების აღწერისას სახელდება საბაკალავრო კურსის დასრულებისათვის სავალდებულო სადიპლომო ნამუშევარი, რომელიც ხარისხის მინიჭებისათვის არის სავალდებულო, და რომლის დაწერაც უჭირთ სტუდენტებს. თუმცა, უნივერსიტეტების ნაწილმა შეძლო ამ პრობლემის დარეგულირება სადიპლომო ნამუშევარზე მუშაობის პირველსავე კურსებზე დაწყებით და ჯგუფური ნამუშევრების წახალისების საშუალებით.

უნივერსიტეტებში უფრო და უფრო ინტენსიურად ინერგება კონკრეტული შეხვედრებისათვის სპეციალურად გამოყოფილი საათების პრაქტიკა, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს აქვთ საშუალება, შეხვდნენ პროგრამის ადმინისტრაციულ და აკადემიურ თანამშრომლებს და ისაუბრონ მათთვის საინტერესო, საჭირო საკითხებზე. ასევე საინტერესო პრაქტიკაა შეხვედრა რექტორთან თვეში ერთხელ, როგორც უკუკავშირის მუდმივი, მიმდინარე მექანიზმი, რათა არსებული პრობლემებისა და გამოწვევების იდენტიფიცირება მოხდეს მყისიერად.

საუნივერსიტეტო პრაქტიკებს შორის გამოვლინდა სტუდენტებთან არა მხოლოდ ქართული ენის პროგრამის, არამედ საბაკალავრო პროგრამის ფარგლებშიც ისეთი პედაგოგიური კადრების ჩართვა სწავლების პროცესში, რომელიც კარგად იცნობს ეთნიკური უმცირესობებისათვის დამახასიათებელ სპეციფიკურ გამოწვევებს და, შესაბამისად, გეგმავს სწავლების პროცესს. ეს პრაქტიკა ასევე სახელდება პროგრამის კურსების განაწილების თვალსაზრისითაც, სადაც შესავალი სხვადასხვა სპეციალიზაციის / საგნობრივ მიმართულებაში კარგ საფუძველს წარმოადგენს ქართულ ენაში მომზადების პროგრამადასრულებულთათვის, რომ გადალახონ ენობრივი და აკადემიური გამოწვევები თანდათან და შეძლონ საკუთარი პოტენციალის მაქსიმალურად გამოვლენა საბაკალავრო პროგრამის მესამე და მეოთხე წლებში.

მიუხედავად მრავალი პოზიტიური ცვლილებისა, რომელიც საბაკალავრო პროგრამების დონეზე იკვეთება საშელავათო პოლიტიკით მოსარგებლე სტუდენტების მიმართ, კვლავაც სახელდება ისეთი მაგალითები, რომლებიც ხელისშემშლელია ეთნიკური უმცირესობების სტუდენტების აკადემიური წარმოჩენისა და საუნივერსიტეტო სივრცეში ინტეგრირებისათვის. სტუდენტები საუბრობენ ადმინისტრაციული კადრების დაბალ მზაობაზე, დახმარება გაუწიონ მათ აუცილებელ მომენტებში.

„სულ ნერვებზეა ეგ ქალი [ადმინისტრაციული პირი], ყველას ეშინია იმასთან შესვლა... თუ რამე საქმე აქვს. კითხვას ვერ ვუსვამთ, მაშინვე ლანძღვით გამოდის გარეთ“.

სტუდენტები ასევე საუბრობენ საგნის შერჩევის, გამოცდაზე დარეგისტრირების, აუდიტორიის/სექტორის მოძიების იმ განსხვავებულ სისტემებზე, რომლებიც ცალკეულ საბაკალავრო პროგრამაში არსებობს და მათთვის პრობლემურია სწავლისა და სოციალური საკითხების ერთმანეთთან შესათავსებლად. ასეთი პრობლემებია: სემესტრის ფარგლებში საგნების გვიან გამოცხადება, გამოცდის / ტესტირების შედეგების შესახებ დაგვიანებული ან არამკაფიო კომუნიკაცია. მიუხედავად იმისა, რომ ამ ტიპის გამოწვევები არა მხოლოდ ქართული ენის პროგრამის კურსდამთავრებულებს, არამედ მთლიანად, პროგრამაში ჩართულ სტუდენტებს ეხებათ, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტების აკადემიური და ენობრივი საჭიროებებიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ სირთულეებს ქმნის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სწავლის კუთხით.

3. საბაკალავრო პროგრამებისათვის დამახასიათებელი საერთო პრობლემები

საერთო პრობლემად საბაკალავრო პროგრამის არჩევასთან დაკავშირებული საკითხები წარმოჩინდება, რაც შეთავაზებული პროგრამების არასაკმარისი ცოდნით, საკუთარი არჩევანისთვის არადამაჯერებელი არგუმენტაციით და ახლობლების გავლენით / წნეხით, ასევე ადგილობრივ თემში არსებული ხედვებით არის განპირობებული და, შესაბამისად, შესაძლებელია, რომ არჩეული პროგრამის შეუსაბამობა სტუდენტების სწავლის მოტივაციას ამცირებდეს.

პროგრამის შერჩევის დროს, კარიერული ორიენტაციის სხვადასხვა მიმართულების ფარგლებში ამ პრობლემის მოსაგვარებლად, რიგ უნივერსიტეტში დაინერგა საბაკალავრო პროგრამების გაცნობის პრაქტიკა ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე სწავლის პერიოდში, რაც ხელს უწყობს სტუდენტებს ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებაში.

ლექტორები საუბრობენ იმ გენდერულ განაწილებაზე, რომელიც არსებობს საბაკალავრო პროგრამების არჩევისას უნივერსიტეტებში. „ქალების“ და „მამაკაცების“ სპეციალობები ძალიან მკვეთრად არის განაწილებული სტუდენტებში, სადაც ქალები ჰუმანიტარული სპეციალობის პროგრამებს ირჩევენ და მასწავლებლობით არიან დაინტერესებულები, ხოლო ბიჭები კი უფრო ბიზნესის, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის მიმართულების პროგრამებით. ამასთან, შეინიშნება ტენდენცია, რომლის მიხედვითაც, გენდერულად უფრო „ნეიტრალური“ პროფესიის მიმართულების პროგრამები, როგორცაა სამართალი, ეკონომიკა - ნაკლებად არის მიმზიდველი სტუდენტებისათვის. ლექტორების შეფასებით, გენდერულად „მიზანშეწონილი“ პროფესიების არჩევა სტუდენტებში გენდერული როლების

საშელავათო პოლიტიკისეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში

გადანაწილების ადრეულ პერიოდში აღქმაზე, დამკვიდრებულ კულტურულ ნორმებზე დაფუძნებული, რაც საბაკალავრო პროგრამების არჩევისას, უკვე სრულად ჩამოყალიბებულია და არ იცვლება.

„ისინი საკუთარ თავს ხედავენ ბიზნესში, გაძლიერებულია სარესტორნო საქმის, თევზჭერის, ფერმერობის მიმართ ინტერესი. მათ საოჯახო ბიზნესები აქვთ და მათი გაფართოების საშუალებას ხედავენ, რაც ძალიან მიხარია“.

ნიშანდობლივია, რომ სტუდენტების საბაკალავრო პროგრამის არჩევანი განსხვავებულია უნივერსიტეტების მიხედვით. ასე, მაგალითად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ინტერესი სამართლის პროგრამის მიმართ ბევრად მაღალია, ვიდრე სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ლექტორების მოსაზრებით, საბაკალავრო პროგრამის არჩევანს ეთნიკური უმცირესობების სტუდენტები „დასაქმების შესაძლებლობის ანალიზის“ საფუძველზე აკეთებენ.

„ესენი (სომეხი სტუდენტები) სანამ სპეციალობას აირჩევენ, გაიკითხავენ, გაიგებენ, მაქვს შანსი, რომ რამე ვიშოვო ამ მიმართულებით? მიმიშვებენ სადმე ამ მიმართულებით ქართველები?“

შესაბამისად, შეიძლება ვისაუბროთ იმ დამოკიდებულებებზე, რომელიც ქართულის ენის ერთწლიანი პროგრამის კურსდამთავრებულებს შორის არსებობს დასაქმების ბაზარზე ეთნიკური ნიშნით დასაქმების თვალსაზრისით. თუმცა, რეალურად, რამდენად განაპირობებს პროგრამის, მიმართულების არჩევანს ეთნიკური ნიშნის მიხედვით დასაქმების განსხვავებული პერსპექტივების ხედვები ან პროფესიული უნარებისა და ცოდნის უპირატესობა ქართულენოვან უნივერსიტეტდამთავრებულებს შორის, კვლევის ფარგლებში არ იკვეთება.

სტუდენტების საბაკალავრო პროფესიის არჩევანი სწავლის პერიოდში მეტწილად არ იცვლება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი ვერ ახერხებენ კონკრეტული პროგრამის ფარგლებში მოცემული მასალის დამლევას და, შესაბამისად, საუნივერსიტეტო სწავლის გასაგრძელებლად; გამოსავალს სხვა, მათთვის უფრო მარტივად დასაძლევ პროგრამაზე გადასვლაში ხედავენ. ამ ტიპის პრაქტიკებთან ერთად, საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელები საუბრობენ იმაზეც, რომ საბაკალავრო პროგრამის ცვლილება მეტწილად გამოწვეულია სტუდენტის პროფესიული ინტერესის ცვლილების, საკუთარი თავის უკეთ შეცნობის და არა პროგრამის ფარგლებში არსებული სირთულეების მიზეზით. კიდევ ერთი საინტერესო ტენდენცია, რომელიც პროგრამის ცვლილებას უკავშირდება, არის სტუდენტების მიერ საბაკალავრო პროგრამის ცვლილებისათვის დასახელებული სემესტრული ზღვარი, რომელიც საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის პირველ კურსს მოიცავს. ბაკალავრებთან ინტერვიუებმა აჩვენა, რომ ისინი სხვა პროგრამაზე გადასვლისათვის

საშელავათო პოლიტიკისეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში

გადაწყვეტილების მიღების ზღვრად საკუთარ თავს პირველ კურსს უწესებენ და მიაჩნიათ, რომ თუ პირველივე კურსზე არ შეცვალეს საკუთარი არჩევანი, მომდევნო წლებში ამის გაკეთება დაგვიანებულია.

დასკვნა

ამრიგად, საბაკალავრო საფეხურზე არსებული პრობლემური საკითხების ანალიზი აჩვენებს, რომ პოლიტიკის დონეზე კვლავ არსებობს ხარვეზი, რომელიც ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი პროგრამის კურსდამთავრებულებს არ აძლევს საშუალებას, ჩაირიცხონ ბაკალავრიატის/მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რაც ნეგატიურად მოქმედებს არა მხოლოდ ეთნიკური უმცირესობების სტუდენტების პროგრამაზე მოზიდვის კუთხით, არამედ აფერხებს ეთნიკური ჯგუფების განათლების ხარისხის გაუმჯობესებას სასკოლო განათლების საფეხურზეც.

კვლევაში იკვეთება სტუდენტების მიერ საბაკალავრო საფეხურზე სწავლის მიტოვების მაღალ მაჩვენებელთან დაკავშირებული გამოწვევები. მიუხედავად იმისა, რომ მიტოვების მაჩვენებელი ზოგადად მაღალია ქვეყანაში, ეთნიკური უმცირესობების შემთხვევაში, მიტოვების მიზეზები სპეციფიკურია და ხშირად არის გამოწვეული ადრეული ქორწინების მაღალი სტატისტიკით, აკადემიური და ენობრივი ტიპის პრობლემებისა და ქვეყნის დატოვების მაღალი მაჩვენებლით.

კვლავაც აღინიშნება საუნივერსიტეტო და სოციალური ინტეგრაციის საკითხებთან დაკავშირებული არაერთგვაროვანი დამოკიდებულებები და განსხვავებული შემთხვევები, რაც საუნივერსიტეტო დონეზე არაერთგვაროვან, მეტ-ნაკლებად არასაკმარის მზაობასთან, ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი პროგრამის საუნივერსიტეტო სივრცეში არასრულ ინტეგრირებასთან არის დაკავშირებული.

საბაკალავრო საფეხურზე სწავლის პროცესში, ქართული ენის პროგრამის კურსდამთავრებულებისათვის მძაფრად დგას ახალი ფორმატის სწავლასთან, აკადემიურ და სასწავლო მასალების სირთულესთან დაკავშირებული გამოწვევები, რომელთა საპასუხოდ, უნივერსიტეტებს განსხვავებული მზაობა და მიდგომები გააჩნიათ.

თავი 8. სისტემის ეფექტურობა კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და შემდგომი ინტეგრაციის კონტექსტში

2019 წელს სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრმა ჩაატარა დასაქმების ბაზრისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძღებღობების კვლევა. აღნიშნულ კვლევაში მნიშვნეღოვანი ასპექტები გამოიკვეთა რაოდენობრივი კვლევის ფარგღებში, რომელთა დაზუსტება უკვე 2020 წლის კვლევაში განხორციელდა თვისებრივი კვლევის მეთოდის საშუაღებით.

2019 წლის კვლევაში გამოკითხვა განხორციელდა, რომელსაც პასუხი უნდა გაეცა, თუ რამდენად ახერხებენ უნივერსიტეტის საბაკალავრო საფეხურის კურსდამთავრებულები პროფესიით დასაქმებას და რა ტენდენციები იკვეთება ამ პროცესში. გამოკითხვაში მონაწიღეობა მიიღეს კურსდამთავრებულებმა საქართველოს ოთხი უნივერსიტეტიდან, კერძოდ კი, თსუ, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოხუმის სახელმწიფო და თბიღისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტებიდან. კურსდამთავრებულთა კვლევის ფარგღებში გამოიკითხა 140 პირი.

გამოკითხვის ფარგღებში დავინტერესდით, თუ რამდენად აგრძელებენ სწავღას ბაკალავრის საფეხურის დასრუღების შემდგე სტუდენტები მაგისტრატურაში. ამ კითხვაზე დადებითი პასუხი მივიღეთ 140 გამოკითხული სტუდენტისგან 36-გან (25.7%), რომღისგანაც მხოლოდ 8 პირი ამბობს, რომ მაგისტრატურის პროგრამის მიმართუღება განსხვავდებოდა ბაკალავრიატის პროგრამის მიმართუღებისგან, ამასთან ის პირები, რომღებსაც განსხვავებული მიმართუღების პროგრამა აქვთ არჩეული, აზუსტებენ, რომ ასეთი არჩევანი განაპირობა განსხვავებული მიმართუღების მიმართ ინტერესის გაღვიძებამ (4 ადამიანი) და დასაქმების მეტი პოტენციღლის დანახვამ მაგისტრატურის საფეხურის მიმართუღებაში (4 ადამიანი).


რაც შეეხება სამუშაო გამოცდიღებას, გამოკითხული 140 ადამიანიდან, 96 (68.6%) ამჟამად დასაქმებულია. ჯერ კიდევ უნივერსიტეტის საბაკალავრო საფეხურზე სწავღის პერიოდში მუშაობა დაიწყო 31 (22.1%) გამოკითხულმა. გარდა იმისა, რომ გამოკითხვაში გვანტერესებდა ზოგადად დასაქმებულ კურსდამთავრებულთა რაოდენობა, ასევე გვანტერესებდა გავვერკვია, რამდენი დასაქმებული მუშაობს თავისი სპეციღლობის/ განათღების მიმართუღების შესაბამისად. კითხვაზე დადებითად პასუხობს 51 ადამიანი, რაც საერთო გამოკითხულ პირთა 36.4%-ია, ხოლო საერთოდ დასაქმებულ პირთა 53.1%. პროფესიით დასაქმებულ პირთა სამუშაო გამოცდიღება 1 თვიდან 5 წღამდე პერიოდს მოიცავს. კურსდამთავრებუღების სამუშაო სტაჟი, მეტნაკღებად შესაბამისია კურსდამთავრებუღების დამთავრებიდან გასული პერიოდისა.

რაც შეეხება პროფესიის მიხედვით დასაქმებულთა გაღანაწიღებას, 24 ადამიანი (17.1%) კერძო სექტორშია დასაქმებული, ცოტა ნაკღები, 21 (15%) კი - საჯარო

საშეღავათო პოლიტიკისეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში


სექტორშია. არასამთავრობო სექტორშია 5 (3.6%) და სხვა (თვითდასაქმებული) კი ერთი ადამიანია.

დიაგრამა 25: კურსდამთავრებულთა გადანაწილება დასაქმების სექტორების მიხედვით



ჩვენ საინტერესოდ მივიჩნით, რომ პროფესიით დასაქმებულების გადანაწილება ასევე გაგვეანალიზებინა რეგიონის ჭრილში.

დიაგრამა 26: კურსდამთავრებულების დასაქმება რეგიონების მიხედვით




როგორც დიაგრამაზე ჩანს, სამცხე-ჯავახეთში 13 ადამიანი საჯარო სექტორშია დასაქმებული, ქვემო ქართლში კი - 7 ადამიანი. კერძო სტრუქტურაში დასაქმებული კურსდამთავრებულები ყველა გეოგრაფიული არეალიდანაა წარმოდგენილი, ხოლო თვითდასაქმებული სამცხე-ჯავახეთის რეგიონიდანაა.

რაც შეეხება სფეროებს, დიაგრამაზე კარგად ჩანს, რომ 12%-ზე მეტი პროფესიით დასაქმებულებისა, საფინანსო სფეროში მუშაობს. როგორც გამოკითხულების საბაკალავრო განათლების მიმართულება აჩვენებს, ყველაზე დიდი წილი, სწორედ ეკონომიკასა და ბიზნეს-ადმინისტრირებაზე მოდის, და სამუშაო ადგილებიც სწორედ ამ სფეროშია ყველაზე მეტად ხელმისაწვდომი. თუმცა, ის, რომ განათლებაშია დასაქმებული 8%-ზე მეტი იმ მოცემულობაში, როდესაც განათლების პროგრამა მხოლოდ ერთ ადამიანს აქვს დასრულებული, არ ასახავს საბაკალავრო განათლების შესაბამისობას დასაქმების ბაზართან. აქ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა განათლებისა,

საშეღავათო პოლიტიკის ეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში


კულტურის, მეცნიერებისა და სპორტის სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიზნობრივმა პროგრამამ, რომელმაც კურსდამთავრებულთა სოლიდური ნაწილი დაასაქმა სკოლებში, თუმცა ხარვეზად რჩება ამ სპეციალური პროგრამის მონაწილეთა მასწავლებლის სტატუსი და სამომავლო პერსპექტივა განათლების სისტემაში. მიუხედავად ამისა, ეს ფაქტი ცალსახად უსვამს ხაზს სახელმწიფო სპეციალური და მიზნობრივი პროგრამების მნიშვნელობას 1+4 პროგრამის ეფექტურობისთვის.

დიაგრამა 27: კურსდამთავრებულების დასაქმება სპეციალიზაციის მიხედვით



გამოკითხულებს ასევე ვთხოვეთ, შემოეხაზათ ის ბარიერები, რომლებიც, მათი აზრით, არსებობს მათი დასაქმებისათვის და სპეციფიკურია სწორედ ეთნიკური უმცირესობებისათვის. როგორც დიაგრამაზე ჩანს, აბსოლუტური უმრავლესობა ქართული ენის არასათანადო ფლობას ყველაზე დიდი ბარიერად მიიჩნევს საბაკალავრო საფეხურის განათლების დასრულების შემდეგაც. ბიუროკრატიული მექანიზმები ასევე სახელდება 70%-ზე მეტი გამოკითხულისგან, როგორც სერიოზული ბარიერი.

დიაგრამა 28: კურსდამთავრებულთა მიერ დასახელებული ბარიერები დასაქმებისათვის



საშეღავათო პოლიტიკისეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ თითქმის 70% ასევე მიიჩნევს, რომ სასკოლო განათლების დაბალი ხარისხი იმთავითვე ნეგატიურად აისახება მათი დასაქმების ბაზარზე კონკურენტუნარიანობისთვის. 46.4% თვლის, რომ დამსაქმებელია მიკერძოებული ეთნიკური ნიშნის მიმართ. რეალურად, დამსაქმებლის ქსენოფობიურ განწყობაზე ყველაზე ნაკლებად საუბრობენ გამოკითხულები, მაშინ როდესაც დაბალი მიმდებლობა ადგილობრივი თუ ცენტრალური საჯარო დაწესებულებების მხრიდან 60%-მდე გამოკითხულისათვის არის ბარიერი. 56%-ზე ცოტა მეტი კი თვლის, რომ ქართველებთან ინტერაქციისათვის არასათანადო მზაობა ასევეა ბარიერი დასაქმებისათვის.

გამოკითხულთა მიერ დასახელებული პრობლემების უფრო ღრმა ანალიზისთვის 2020 წელს ჩავატარეთ კურსდამთავრებულთა ფოკუსჯგუფები, სადაც თითოეული ეს პრობლემური საკითხი დეტალურად განვიხილეთ. ფოკუსჯგუფებში დისკუსიებმა აჩვენა, აღნიშნული პრობლემების აქტუალობა და მონაწილეებმა უფრო ღრმად გაანალიზეს თითოეული ზემოთჩამოთვლილი პრობლემა, კერძოდ: (ა) ქართული ენის არასათანადო ფლობა; (ბ) ქართველებთან ინტერაქციისა და ინტეგრაციის დაბალი ხარისხი; (გ) დამსაქმებლთა მიკერძოებულობა ეთნიკური ნიშნით; (დ) ზოგადი განათლების დონე, რაც ნაკლებკონკურენტულს ხდის ზოგადი და უმაღლესი განათლების საფეხურზე უხარისხო განათლების გამო; (ე) დაბალი მიმდებლობა ადგილობრივი სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან და ნეპოტიზმი ფორმალური კონკურსები ადგილობრივ სახელმწიფო სტრუქტურებში; (ვ) ბიუროკრატიული მექანიზმები შერჩევისას (სტაჟის და გამოცდილების მოთხოვნა, ვაკანსიების მორგება კონკრეტულ პირებზე და ა.შ.); (ზ) დამოუკიდებელი ეკონომიკური საქმიანობის წამოწყების და ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშემშლელი ფაქტორები.

ქართული ენის არასათანადოდ ფლობა ყველაზე ნაკლებ პრობლემად გამოკვეთეს ფოკუსჯგუფში მონაწილეებმა, განსხვავებით რაოდენობრივი კვლევის მონაწილეებისგან, თუმცა, უშუალოდ დასაქმების ნაწილში, რადგან მათი დასაქმების სამიზნე ხშირ შემთხვევაში უმცირესობათა კომპაქტური დასახლებებია, სადაც ისინი ენობრივი კომპეტენციის თვალსაზრისით მაღალკომპეტენტურნი არიან კონკურენტებთან შედარებით და კონკურენციაში არ შედიან ქართულენოვნებთან. ამასთანავე, კვლევაში მონაწილეებმა გამოკვეთეს უშუალოდ მუშაობის პროცესში არსებული პრობლემატიკა ამ თვალსაზრისით - „ენა იცი, ყველაფერი გესმის, მაგრამ მოდის ტერმინები სამუშაოზე, მოდის განმარტებითი ბარათები და ვერაფერს იგებ. ყველაფერს თავიდან სწავლობ“. ფოკუსჯგუფში მონაწილის ამ ამონარიდში კარგად იკვეთება, რომ აკადემიური ენა პრობლემურია კურსდამთავრებულთათვისაც კი და საკომუნიკაციო ენობრივი უნარები, რომელიც უკვე გამომუშავებული აქვთ, ხშირად დამაბნეველია, რადგან პროფესიული საქმიანობის შესრულება სახელმწიფო ენაზე კვლავ პრობლემატურად რჩება.

საშეღავათო პოლიტიკისეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში

ქართველებთან ინტეგრაციის დაბალი ხარისხი აგრეთვე ნაკლებად წარმოჩინდა ფოკუსჯგუფებში, როგორც დაბრკოლება დასაქმებისთვის. თუმცა, მიზეზი, რატომაც ეს ფაქტი - ფიქსირდება სწორედ ინტეგრაციის დაბალ ხარისხზე მიუთითებს. 1+4 პროგრამის კურსდამთავრებულები, საკუთარ თავს ძირითადად რეგიონებში ხედავენ საკუთარ თემთან მუშაობის თვალსაზრისით და ამ ეტაპზე ქართველებთან კონკურენციას ცენტრში საჯარო თუ კერძო სექტორში ნაკლებად ფიქრობენ. შესაბამისად, ერთი შეხედვით დაბალი ინტეგრაცია დასაქმებისთვის დაბრკოლება ნაკლებადაა, თუმცა მეორეს მხრივ ამ კონტექსტში დასაქმებას არც განიხილავენ.

ფოკუსჯგუფებში მონაწილეები ეთნიკური ნიშნით დამსაქმებელთა მიკერძოებულობაზე კონკრეტული მაგალითების სახით არ საუბრობენ. ამ მიკერძოებულობაზე ისინი საუბრობენ საუნივერსიტეტო დონეზე და არაერთ მნიშვნელოვან პრობლემას წამოწევენ ამ თვალსაზრისით. რაც შეეხება დასაქმებას, მათი აზრით „პირიქითაა, ახლა ჩვენი ეთნიკური ნიშანი პლიუსია დასასაქმებლად“, რადგან, როგორც კვლევაში ერთ-ერთი მონაწილე აღნიშნავს, მან მუნიციპალიტეტში დასაქმება იმიტომ შეძლო, რომ შეეძლო კონკრეტულ ეთნიკურ ჯგუფთან მათთვის გასაგებ ენაზე კომუნიკაცია. ეს ტენდენცია თვალსაჩინოა ქვემო ქართლის რეგიონში, სადაც ძირითადად მუნიციპალურ სტრუქტურებში ეთნიკურად ქართველები არიან დასაქმებული, ხოლო განსხვავებული ვითარებაა სამცხე-ჯავახეთში, სადაც უმცირესობების წარმომადგენლობა მაღალია ადგილობრივ სამსახურებში, თუმცა მათ მიერ სახელმწიფო ენის ცოდნა დაბალი. ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად ორენოვანი 1+4 პროგრამის კურსდამთავრებულთა მოზიდვის სურვილი არ იკვეთება.

ბიუროკრატიული მექანიზმები შერჩევისას (სტაჟის და გამოცდილების მოთხოვნა, ვაკანსიების მორგება კონკრეტულ პირებზე) ის პრობლემაა, რაზეც ღიად საუბრობენ კვლევაში მონაწილენი. სტაჟის მოთხოვნა გადაულახავ ბარიერად რჩება მათთვის: „ერთ წელს ყველა ითხოვს, ძირითადად მეტსაც“- ამბობენ კვლევაში მონაწილეები და ხაზს უსვამენ, რომ, საუნივერსიტეტო განათლების კვალდაკვალ, პრაქტიკული გამოცდილების დაგროვება შეუძლებელია: „საუნივერსიტეტო პრაქტიკა ან ფორმლობაა, ან არც მოგეთხოვება“. უნივერსიტეტებს არ გააჩნიათ კარგად ჩამოყალიბებული მიდგომა სამუშაო პრაქტიკასთან და სტაჟირებასთან დაკავშირებით, შესაბამისად, უნივერსიტეტის დამთავრების შემდგომ, სამუშაო გამოცდილების არქონის გამო დასაქმება საკმაოდ რთულია 1+4 პროგრამის კურსდამთავრებულთათვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით არსებული მიზნობრივი პროგრამები დადებითად ფასდება კვლევაში მონაწილეთა მხრიდან: „შერიგების სამინისტროს სტაჟირების პროგრამაში ვიყავი სახალხო დამცველთან. პროგრამის დასრულების შემდგომ იქვე დავსაქმდი“ - ამბობს ფოკუსჯგუფის ერთ-ერთი მონაწილე. დამსაქმებლებთან უნივერსიტეტის პარტნიორობის პოზიტიურ პრაქტიკაზე საუბრობენ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის

საშეღავათო პოლიტიკისეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში

ფოკუსჯგუფის წევრებიც. „უნივერსიტეტმა დამაკავშირა, ... უნივერსიტეტისგან გავიგე, რომ კადრი სჭირდებოდათ“ . ყველა ეს მნიშვნელოვანი ინიციატივა პოზიტიურად ფასდება კვლევაში მონაწილეთა მხრიდან და მნიშვნელოვანია სამომავლო საქმიანობის დასაგეგმად, რადგან იძლევა მზა რეცეპტს: (ა) სტაჟირების პროგრამების გაძლიერება სახელმწიფო სტრუქტურებში, მათ შორის ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში სამომავლო დასაქმების პერსპექტივით; (ბ) უნივერსიტეტებსა და დამსაქმებლებს შორის ინტენსიური პარტნიორობა კურსდამთავრებულებთან დასაკავშირებლად. აქვე ფოკუსჯგუფებში გამოიკვეთა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შესაძლო ინტერვენცია „უნივერსიტეტსაც შეუძლია სტუდენტების დასაქმება“, - ამბობს ფოკუსჯგუფის მონაწილე. უნივერსიტეტის შიგნით დასაქმება (ბიბლიოთეკა, სხვადასხვა დეპარტამენტები, ადმინისტრაცია, მომსახურება, გამომცემლობა და ა.შ.) არის მნიშვნელოვანი საერთაშორისო პრაქტიკა, სწორედ უნივერსიტეტში დასაქმების შედეგად იღებენ სტუდენტები პირველ პრაქტიკას, რაც მათ უნივერსიტეტის დამთავრებისთვის უკვე აძლევთ როგორც ფორმალურ სამუშაო გამოცდილებას, აგრეთვე დასაქმებისთვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს. ამ პრაქტიკის ამუშავება მნიშვნელოვანია საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებშიც.

როგორც უკვე ითქვა, დაბალი მიმღებლობა ადგილობრივი სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან და ნეპოტიზმი (ფორმალური კონკურსები ადგილობრივ სახელმწიფო სტრუქტურებში) დასახელდა რაოდენობრივ კვლევაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად. ფოკუსჯგუფებში შევეცადეთ ამ საკითხის გაშლას, თუმცა მონაწილეებმა არ ისურვეს ამაზე ფართოდ საუბარი „არ გვინდა ამაზე ლაპარაკი“, იყო რეპლიკა, თუმცა აქვე დაამატეს, რომ არსებული ვითარების მკაფიო მაგალითი და ილუსტრაციაა სკოლა, როგორც ადგილზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დამსაქმებელი: „ნახეთ სკოლები რა ხდება და ყველაფერი ნათელი იქნება... ყველა დირექტორს თავის სანათესაო ჰყავს დასაქმებული, ვინ კითხულობს დიპლომებს, მთავარია ნათესავი იყოს“. კვლევაში მონაწილეები მოერიდნენ ნეპოტიზმისა და ადგილობრივი ხელისუფლების მიმღებლობაზე დეტალურ საუბარს, თუმცა, სკოლის მაგალითზე, რომელზეც ფართოდ ისაუბრეს, კარგად აღწერეს არსებული ვითარება. თვალსაჩინოა, რომ სკოლაში, როგორც მნიშვნელოვან ადგილობრივ დამსაქმებლებში, ისევე, როგორც სხვა ინსტიტუციებში, ახალი კადრების მიმღებლობა ნაკლებია, რადგან კვლავ გაბატონებულია ნეპოტიზტური და კლანური მმართველობა. ამ თვალსაზრისით განსხვავებული ვითარებაა ცენტრალური ხელისუფლების პროგრამებში, მათ შორის - სკოლაზე ორიენტირებულ პროგრამებში, რომლებიც წარმოადგენენ 1+4 პროგრამის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმების მნიშვნელოვან წყაროს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მსგავსი პოზიტიური პრაქტიკის სხვა უწყებებში რეპლიკაცია და, მეორე მხრივ, ამ რეგიონებში ადგილობრივ სამსახურებში, მათ შორის

საშეღავათო პოლიტიკის ეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში

- სკოლებში - მნიშვნელოვანი ინტერვენციების განხორციელება და მერიტოკრატიული სისტემების ამუშავება.

დამოუკიდებელი ეკონომიკური საქმიანობის წამოწყებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშემშლელ ფაქტორებიდან ფოკუსჯგუფებში ორი მთავარი მიზეზი სახელდება : (ა) ფინანსები; (ბ) ცოდნისა და გამოცდილების ნაკლებობა ეკონომიკური საქმიანობისთვის. ფოკუსჯგუფში მონაწილეები ასახელებენ კონკრეტულ ბიზნეს იდეებს, რომლებიც მათ გააჩნიათ და რომელთა განხორციელება მნიშვნელოვანია მათთვის და მათი კონკრეტული თემისთვის „აგროტურიზმი მარნეულში კარგად იმუშავებს... არა მარტო უცხოელებისთვის, ქალაქში მცხოვრებისთვისაც საინტერესოა აგრარული ცხოვრება“. ამბობს ერთ-ერთი კურსდამთავრებული მარნეულიდან. შესაბამისად, 1+4 პროგრამის კურსდამთავრებულთათვის შესაძლებლობების შექმნა გულისხმობს არა მხოლოდ მათ ჩართვას საჯარო თუ სახელმწიფო სამსახურში, არამედ მათ ხელშეწყობას ეკონომიკური დოვლათის შესაქმნელად და თემის განვითარებისა და ეკონომიკური ინტეგრაციისთვის. შესაბამისად, ამ მიმართულებითაც სპეციალური პროგრამების ამუშავება მნიშვნელოვანი გზა იქნება 1+4 პროგრამის ეფექტურობის გასაზრდელად.

თავი 9. რეკომენდაციები პოლიტიკის გასაუმჯობესებლად

კვლევის შედეგად გამოვლენილი საკითხების დასარეგულირებლად უმნიშვნელოვანესია გარკვეული ცვლილებების გატარება როგორც საშელავათო პოლიტიკის დაგეგმვის და საკანონმდებლო უზრუნველყოფის, ასევე საუნივერსიტეტო დონეზე პროგრამის ეფექტურობის გაზრდის თვალსაზრისით. ქვემოთ გთავაზობთ რეკომენდაციებს, რომლებიც ხელს შეუწყობს 2010 წელს დაწყებული რეფორმის უფრო ეფექტურად გაგრძელებას და შესაძლებლობას მოგვეცემს, ამ რეფორმის გატარების შედეგად მაქსიმალური ეფექტი მივიღოთ.

9.1. რეკომენდაციები განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს

(ა) დაფინანსება

- სახელმწიფოს ან უსდ-ის მიერ განსაზღვრული უმაღლესი განათლების ყველა პრიორიტეტულ მიმართულებაზე, რომლებიც ფინანსდება სახელმწიფოს მიერ, დაფინანსების გავრცელება კვოტირების სისტემით ჩარიცხულ სტუდენტებზე; სასურველია, სახელმწიფო დაფინანსება გავრცელდეს კვოტირების სისტემის შედეგად ჩარიცხულ სტუდენტებზე იმ კვოტების პროპორციულად, რაც დადგენილია კანონმდებლობით (დაფინანსებული საერთო ადგილების 5% სომხურენოვანთათვის, 5% - აზერბაიჯანულენოვან-თათვის, 1% - აფხაზურენოვანთათვის და 1% - ოსურენოვანთათვის).
- დაფინანსების სისტემის მოდიფიცირება და მისი გაზრდა აბიტურიენტების და სტუდენტების რაოდენობის პროპორციულად აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტებისთვის;
- სასტიპენდიო ფონდის შექმნა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან სტუდენტთა ცხოვრებისა და სწავლასთან დაკავშირებული სხვა ხარჯების დაფარვის ხელშესაწყობად.

(ბ) მისაღები სისტემა

- მნიშვნელოვანი იქნება, საშელავათო პოლიტიკის ფარგლებში მოხდეს იმ ეთნიკური ჯგუფების ინტერესების გათვალისწინებაც, რომლებიც არ მოიაზრებიან ახლანდელი საშელავათო პოლიტიკის ფარგლებში და, შესაბამისად, იმყოფებიან დისკრიმინაციულ მდგომარეობაში. სასურველია, რომ რუსულ სკოლებსა და რუსულ სექტორებში გაერთიანებული მოსწავლეებისათვის ასევე გამოიყოს შესაბამისი კვოტა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის დასაფინანსებლად. ამასთან, სამართლიანობის უზრუნველსაყოფად და სხვა სკოლებიდან შეღავათით სარგებლობის მოტივაციით მოსწავლეების ტრანსფერის

საშეღავათო პოლიტიკისეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში

თავიდან ასაცილებლად, განისაზღვროს დამატებითი კონტროლის მექანიზმი მოსწავლეების საშეღავათო პოლიტიკით სარგებლობის ვალიდურობის დასადგენად და საშეღავათო პოლიტიკის პირობებით მოსარგებლედ ჩაითვალოს მოსწავლეების ის ნაწილი, რომელიც, მინიმუმ, ბოლო 5 წლის მანძილზე სწავლობს რუსულ სკოლას ან რუსულ სექტორზე.. რუსულენოვანი აბიტურიენტების კვოტა შესაძლებელია იყოს 1% ან ნაკლებიც გამოყოფილი საერთო ადგილებიდან. აღნიშნული ცვლილება სასარგებლო იქნება რამდენიმე მიმართულებით: (ა) ხელს შეუწყობს სომეხი და აზერბაიჯანელი აბიტურიენტების მოზიდვას საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში, რომელთაც რუსულენოვანი განათლება აქვთ მიღებული და თანაბარ პირობებში ჩააყენებს სომხურენოვან და აზერბაიჯანულენოვან სკოლადამთავრებულ თანატოლებთან; ბ) ხელს შეუწყობს დისპერსიული განსახლების სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის სამოქალაქო ინტეგრაციას და მათ თანაბარ პირობებში ჩაყენებას კომპაქტური განსახლების არაქართულენოვან აბიტურიენტებთან; გ) საგულისხმოა, რომ რუსულენოვანი კვოტირების სისტემის შემოღება შეიძლება პოზიტიური ნაბიჯი აღმოჩნდეს აფხაზი და ოსი აბიტურიენტების ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში მოსაზიდადაც; დ) გადაწყვეტილებამ შეიძლება პოზიტიური როლი შეასრულოს რუსეთთან პოლიტიკურ-დიპლომატიური ურთიერთობების გაუმჯობესების თვალსაზრისითაც.

- მისაღები გამოცდების სისტემა შეიცვალა 2019 წლიდან და ზოგადი უნარების გამოცდა აღარ არის სავალდებულო გამოცდათა ნუსხაში; შესაბამისად, გარკვეული მოდიფიცირებაა საჭირო კვოტირების სისტემით ჩარიცხულთათვისაც. კვლევამ გამოკვეთა, რომ სტუდენტები, რომლებიც საერთოდ ვერ ფლობენ სახელმწიფო ენას სწავლის დასაწყისში, ვერ ძლევენ პროგრამას და პრობლემები ექმნებათ საბაკალავრო საფეხურზე სწავლისას, რადგან საკომუნიკაციო უნარებიც კი არ აქვთ საკმარისად განვითარებული ერთწლიანი პროგრამის გავლის შემდეგ და სერიოზული პრობლემები აქვთ აკადემიური ენობრივი კომპეტენციების თვალსაზრისით. შესაბამისად, მიზანშეწონილი იქნება ორი გამოცდის შემოღება: (ა) ზოგად უნარებსა და (ბ) ქართულ ენაში. ზოგადი უნარების გამოცდის გამოყენება მოხდება დაფინანსებისა და პროგრამაზე მოხვედრის თვალსაზრისით, ხოლო ქართული ენის გამოცდა წახალისებს ქართული ენის სწავლის პროცესს აბიტურიენტებში და, ამავე დროს, ტესტის შედეგებიდან გამომდინარე, უმაღლეს სასწავლებლებს მისცემს შესაძლებლობას, პროგრამები დიფერენცირებული მიდგომებით დანერგონ;
- მისაღებ გამოცდებზე ქართულის ენის გამოცდის კვალდაკვალ, მიზანშეწონილია ცვლილებები შევიდეს მე-12 კლასის ეროვნულ სასწავლო გეგმაში და დაემატოს აბიტურის საათები ქართულ ენაში მოსამზადებლად, რაც უზრუნველყოფს

საშეღავათო პოლიტიკის ეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში

აბიტურიენტთა უკეთ მომზადებას ქართული ენაში მომზადების ერთწლიანი პროგრამისთვის.

(გ) ქართული ენის ფლობის დონეების განსაზღვრა

- ქართული ენის შეფასების ინსტრუმენტის შექმნა;
- შეფასების ინსტრუმენტზე დაყრდნობით ქართული ენის ერთწლიანი პროგრამის მოდიფიცირება სტუდენტთა საჭიროებებიდან გამომდინარე;
- ქართული ენის ფლობის დონეების შეფასების სისტემისა და შეფასების ინსტრუმენტის კვალდაკვალ, მნიშვნელოვანია ქართული ენის ფლობის სერტიფიკატის გაცემის სამართლებრივი მექანიზმების ამუშავება; მათ შორის, სერტიფიკატის მოქმედების ვადის განსაზღვრა;
- ენის ფლობის დონის შეფასებისა და შესაბამისი ინსტრუმენტის შემუშავების კვალდაკვალ, დადგინდეს სამართლებრივი მექანიზმები იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც აკმაყოფილებენ ენის ფლობის დონით განსაზღვრულ კომპეტენციას; მიეცეთ უფლება: ნებისმიერ დროს გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში, გააგრძელონ სწავლა საბაკალავრო პროგრამაზე (რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი არ დაკარგავენ ზედმეტ წელს და არ დაიხარჯება დამატებითი ერთი წლის ფინანსები ამ ტიპის სტუდენტთა ერთწლიან პროგრამაზე სწავლებისთვის).

9.2. რეკომენდაციები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს

- უმნიშვნელოვანესია უსდ-ები აქტიურად ჩაერთონ აბიტურიენტთა რეკრუტირების პროცესში და წინასწარ შეხვედრებში მეათე-მეთორმეტე კლასის მოსწავლეებთან, მათ მშობლებთან, სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებთან და მიაწოდონ მათ ინფორმაცია როგორც ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი პროგრამის შესახებ, ასევე იმ საბაკალავრო პროგრამების შესახებ, რომელთაც უნივერსიტეტები ახორციელებენ და რომელთა შერჩევაც მოუწევთ აბიტურიენტებს ქართულ ენაში მომზადების პროგრამის დასრულების შემდეგ;
- უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა, შესაძლოა, გამოიყენონ არასამთავრობო ორგანიზაციების, აგრეთვე შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის სამინისტროს გამოცდილება და საკუთარი სტუდენტები თუ კურსდამთავრებულები ჩართონ რეკრუტირების პროცესში;
- კვლევამ გამოკვეთა სკოლების და მასწავლებლების როლი; შესაბამისად, უსდ-ისთვის რეკრუტირების პროცესში სკოლებისა და მასწავლებლების ჩართვა და მათი სწორი ინფორმირება გახლავთ კარგი ინსტრუმენტი აბიტურიენტებამდე ინფორმაციის მისატანად;

საშეღავათო პოლიტიკის ეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში

- კონკრეტულმა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა, შესაძლოა, იმუშაონ კონკრეტულ მიზნობრივ ჯგუფებთან მათი რეკრუტირებისთვის, მაგალითად, ილიას უნივერსიტეტმა - სომხურენოვან აბიტურიენტებში;
- მნიშვნელოვანია არაქართულენოვან მოსახლეობაში საინფორმაციო კამპანიის წარმოება საქართველოს უმაღლესი განათლების ხარისხისა და დონის შესახებ;
- ქართულ ენაში მომზადების პროგრამის დაწყებამდე, სასურველია სტუდენტებისათვის სპეციალური საორიენტაციო პროგრამის მომზადება, რომელიც საშუალებას მისცემს ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ სტუდენტებს, უკეთ გაერკვნენ საუნივერსიტეტო სტრუქტურაში, ამ სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებსა და დანიშნულებაში. სასურველია, რომ მსგავსი ტიპის ორიენტაციების მოწყობა ქართველ სტუდენტთა ჯგუფების მიერ ხდებოდეს მათთვის გარკვეული პირობებისა და წახალისების მექანიზმების შემუშავების საშუალებით, რაც სტუდენტებს შორის ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და გაღრმავების ამოსავალ წერტილადც შეიძლება იქნეს განხილული. ეს პრაქტიკა დანერგულია რამდენიმე უნივერსიტეტში და მნიშვნელოვანია მისი რეპლიკაცია;
- უნივერსიტეტების მიერ თანამშრომლობითი ურთიერთობების დასახვა და გაღრმავება ქალაქის სამუნიციპალიტეტო სტრუქტურებთან, რაც საშუალებას მისცემს სასოფლო დასახლებებიდან და რეგიონებიდან ჩამოსულ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ სტუდენტებს, მიიღონ სასარგებლო ინფორმაცია მათთვის უცხო ქალაქში არსებული სერვისების, სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი მოძრაობის გრაფიკების, კულტურული და სოციალური ცხოვრების შესახებ. საგულისხმოა, რომ ამგვარი თანამშრომლობითი ურთიერთობები არა მხოლოდ სტუდენტების ორიენტაციას გააადვილებდა, არამედ მათი ინტეგრაციისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის იქნებოდა სასარგებლო. სტუდენტების დახმარება სწავლის დასაწყისში ლოჯისტიკური პრობლემების მოგვარებაში და ამისთვის შექმნილი ვებგვერდის: www.studentnet.ge პოპულარიზაცია და გამოყენება. ამ მხრივ არსებული პოზიტიური პრაქტიკის რეპლიკაცია;
- ქართული ენის ერთწლიანი პროგრამიდან საბაკალავრო პროგრამაზე ტრანზიტულ პერიოდში ბაზებსა თუ ადმინისტრაციულ ბიუროკრატიულ სისტემებთან დაკავშირებული საკითხების დარეგულირება, მათ შორის ამ სტუდენტების სტატუსთან დაკავშირებული სამართლებრივი და ბიუროკრატიული სისტემების დარეგულირება;
- სტუდენტთა აკადემიური მხარდაჭერის ცენტრის შექმნა ამ სტუდენტების დასახმარებლად როგორც ერთწლიანი პროგრამის განხორციელების, ასევე

საშეღავათო პოლიტიკის ეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში

- საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის პერიოდში, ტუტორიუმის პროგრამის რეპლიკაცია სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში;
- ადმინისტრაციისა და ლექტორებისთვის გარკვეული გაიდლაინების შექმნა და სემინარების ორგანიზება ინტერკულტურული კომუნიკაციის თვალსაზრისით;
 - ინტერკულტურული ღონისძიებების ორგანიზება საუნივერსიტეტო დონეზე და ქართველი სტუდენტების აქტიურად ჩართვა მათში ინტერკულტურული მგრძობელობის გასაუმჯობესებლად და არსებული ახალგაზრდული ცენტრების აქტიურად გამოყენება. ახალგაზრდული ცენტრების გამოცდილების განვრცობა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში;
 - კვოტირების სისტემით ჩარიცხული სტუდენტებისა და ქართველი სტუდენტების ინტერაქციის ხელშეწყობა სხვადასხვა კლასგარეშე აქტივობის, პროექტებისა და სილაბუსებში ინტერკულტურული აქტივობების ასახვის გზით; არსებული ახალგაზრდული ცენტრების აქტიურად გამოყენება. ახალგაზრდული ცენტრების გამოცდილების განვრცობა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში;
 - კვოტირების სისტემით ჩარიცხული აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი სტუდენტების ერთმანეთთან ინტერაქციის ხელშეწყობა და მათი ერთობლივი ღონისძიებების და პროექტების წახალისება. არსებული ახალგაზრდული ცენტრების აქტიურად გამოყენება. ახალგაზრდული ცენტრების გამოცდილების განვრცობა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში;
 - კვოტირების შედეგად ჩარიცხული სტუდენტების სოციალური ინტეგრაციისკენ მიმართული საკლასო თუ კლასგარეშე აქტივობების ორგანიზება;
 - კვოტირების სისტემით ჩარიცხული სტუდენტების კულტურის პოპულარიზაცია ქართველ სტუდენტებში, ლექტორებსა და ადმინისტრაციასთან და მათი როლის წარმოჩენა ქართული სახელმწიფოსა და ქართული კულტურის ჩამოყალიბებაში. არსებული ახალგაზრდული ცენტრების აქტიურად გამოყენება;
 - საბაკალავრო საფეხურზე კვოტირების სისტემით ჩარიცხული სტუდენტებისთვის მათი ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად პირველ წელს გარკვეული საუნივერსიტეტო მიდგომის ჩამოყალიბება, რათა ენობრივი კომპეტენცია არ იყოს დაბრკოლება სტუდენტის აკადემიური, დარგობრივი თუ სოციალური უნარებისა და კომპეტენციების განსავითარებლად. ამ თვალსაზრისით კარგი იქნებოდა უნივერსიტეტებს შორის გამოცდილების გაზიარება და არსებული პრაქტიკის გაცვლა (სასწავლო მასალების

საშეღავათო პოლიტიკის ეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში

- გამარტივება, შეფასების სისტემაში ენობრივი უზუსტობების გაუთვალისწინებლობა, სხვა ენაზე პასუხების გაცემის შესაძლებლობის მიცემა, საგამოცდო დროის დამატება ენობრივი ანალიზისთვის ზედმეტი დროის საჭიროების გამო და ა.შ.);
- აბიტურიენტებთან მუშაობა არა მხოლოდ კვოტირების სისტემის შესახებ ინფორმირების შესახებ, არამედ შრომითი ბაზრის მოთხოვნების და დასაქმებისთვის მნიშვნელოვანი ასპექტების შესახებ;
 - უნივერსიტეტების მხრიდან აკადემიური მხარდაჭერის მექანიზმების გაძლიერება უნივერსიტეტის მიტოვების მაჩვენებლების შესამცირებლად;
 - უნივერსიტეტების მხრიდან აქტიური მუშაობა სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის მიმართულებით;
 - საუნივერსიტეტო განათლების დაწყების პირველსავე ეტაპზე და საბაკალავრო პროგრამების მიმდინარეობის პარალელურად, ტერმინოლოგიური, პროფესიული და საქმიანი (ბიზნეს-კომუნიკაცია) უნარების განვითარებაზე ორიენტირებული სხვადასხვა ტიპის ისეთი პროგრამების შექმნა და დაფინანსება, რომლებიც ამ სტუდენტებს აუცილებელი საგნების მიღმა, სურვილისამებრ, ენობრივი კომპეტენციების განვითარების საშუალებას მისცემს;
 - თსუ-ში არსებული „სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია და ბიზნეს-ინკუბატორის“, „თსუ ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ცენტრის“ და სხვა სამეწარმეო უნარებისა და იდეების გენერირებაზე ორიენტირებული რგოლების მუშაობაში 1+4 პროგრამის კურსდამთავრებულების ჩართვაზე აქცენტირებული მუშაობა;
 - ბიზნეს-ინკუბატორების მოდელის დანერგვა და 1+4 პროგრამის სტუდენტების ჩართულობის წახალისება უნივერსიტეტების ბაზებზე;
 - სასწავლო პრაქტიკის კომპონენტის გაძლიერება და დამსაქმებლებთან აქტიური მუშაობა სასწავლო პრაქტიკის ეფექტურად განსახორციელებლად;
 - საუნივერსიტეტო დასაქმების პროგრამების შეთავაზება სტუდენტებისათვის სამუშაო გამოცდილებისა და სამუშაოსთვის საჭირო უნარების უნივერსიტეტშივე განვითარებისთვის;
 - დამსაქმებლებთან აქტიური თანამშრომლობა და კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა დამაკავშირებელი როლის შესრულება შესაბამისი ეფექტური ინსტრუმენტების ამუშავებით.

**9.3. რეკომენდაციები ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი პროგრამების
ეფექტურობის გასაზრდელად**

- მნიშვნელოვანია უმადლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროგრამები არ იყოს ორიენტირებული მხოლოდ ენის სწავლების სხვადასხვა უნარების ლექციებზე, არამედ პროგრამის შინაარსი მოიცავდეს სამოქალაქო განათლების, ინფორმაციული და კომპიუტერული ტექნოლოგიების, ინტერკულტურული კომუნიკაციის და სხვა კურსებს. პროგრამების უმრავლესობაში ასახულია ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების კურსი, მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით არჩევითი საგნების მრავალფეროვანი კურსების შეთავაზება;
- არსებული ა და ბ ბლოკის მოდულების შეფასების მექანიზმების ამუშავება და იმ სტუდენტებზე, რომლებიც განსხვავებული მოდულით სწავლების პროცესშიც ვერ შეძლებენ გათანაბრებას, დამატებითი აქტივობების შეთავაზება, რათა მეორე სემესტრიდან არ მოხდეს მათი ჩამორჩენა;
- არსებული ერთწლიანი პროგრამების დიდი ნაწილი ორიენტირებულია საკომუნიკაციო ენობრივი უნარების განვითარებაზე, ხოლო საბაკალავრო დონეზე სწავლებისთვის სტუდენტებს ესაჭიროებათ აკადემიური ენობრივი კომპეტენციები. აკადემიური ენის განვითარება ბაკალავრიატის კურსდამთავრებულთათვისაც კი პრობლემატურია. შესაბამისად, უმნიშვნელოვანესია პროგრამის ისე დაგეგმვა, რომ შესაძლებელი იყოს სტუდენტებში აკადემიური ენობრივი კომპეტენციების განვითარება. აღნიშნული მიმართულებით შესაძლებელია შესაბამისი საკომუნიკაციო ენობრივი უნარების განვითარების შემდეგ დამატებითი კურსების შემუშავება და განხორციელება. აღნიშნული შესაძლებელია კურსებზე საკონტაქტო საათების დამატებით, ზამთრისა და ზაფხულის კურსების სისტემის ამუშავებით. უპრიანი იქნება საზაფხულო აკადემიური კურსების ორგანიზება, როდესაც სტუდენტებს უკვე მეტ-ნაკლებად განსაზღვრული ექნებათ საკუთარი საბაკალავრო პროგრამა და ამ პროგრამის შესაბამისი აკადემიური ენის კურსის ორგანიზება მათ უფრო ეფექტურად მოამზადებს საბაკალავრო პროგრამისთვის. ამ მიმართულებით არჩევითი კურსების შესაძლებლობა საუნივერსიტეტო ან საფაკულტეტო კურსების სახით შესაძლოა ჰქონდეთ საბაკალავრო საფეხურზეც;
- სასურველია, უსდ-ებმა აქტიურად იმუშაონ განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან ენის ფლობის დონეების განსასაზღვრი ინსტრუმენტის შესამუშავებლად და ეს ინსტრუმენტი გამოიყენონ სტუდენტთა ენის ფლობის დონის შესაფასებლად და სერტიფიკატის გასაცემად აღიარების შესაბამისი მექანიზმებით;

საშეღავათო პოლიტიკის ეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში

- მნიშვნელოვანია, უსდ-ებმა განსაზღვრონ აკადემიური ენის ფლობის ის დონე, რომელიც აუცილებელია სტუდენტისთვის საბაკალავრო პროგრამაზე სასწავლებლად, შესაბამისად, აკადემიური ენის ფლობის დონე გახდეს სტუდენტის ენის ფლობის საერთო დონის დადგენის აუცილებელი კომპონენტი, რომელიც მთლიანობაში გახდება საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების პირობა;
- სასურველია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამების ორგანიზება და მასწავლებელთა წახალისება აღნიშნულ პროგრამებში მონაწილეობისთვის;
- მნიშვნელოვანია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამების ორგანიზება ინტერკულტურული კომუნიკაციის მიმართულებით და ამ თვალსაზრისით მათი კომპეტენციების გაზრდა;
- მნიშვნელოვანია საუნივერსიტეტო დონეზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ისეთი მიდგომების ამუშავება, როგორცაა:
 - (ა) მენტორობა;
 - (ბ) დასწრება და პოზიტიური უკუკავშირი;
 - (გ) სამოდელო გაკვეთილები და ლექციები;
 - (დ) სემინარები.
- სასურველია პროგრამაში იმ მასწავლებლების მაქსიმალურად ჩართვა, რომლებიც სტუდენტთა ეთნიკურ ჯგუფს განეკუთვნებიან, რათა მოხდეს სტუდენტთათვის კულტურულად უფრო ადეკვატური გარემოს შექმნა და, ამასთანავე, ეს ლექტორები შეასრულებენ მისაბამი მაგალითის ფუნქციას სტუდენტებისთვის;
- მნიშვნელოვანია მასწავლებელთა პროფესიული განვითარება თანამედროვე მეთოდების და მაღალი სააზროვნო უნარების განვითარების სტრატეგიების შესახებ.

9.4. რეკომენდაციები ეკონომიკური განვითარებისა და დასაქმების მიმართულებით

- კერძო სექტორის და კერძო ინიციატივების წასახალისებლად კურსდამთავრებულთათვის რეგიონზე ორიენტირებული ბიზნესპროექტების დაფინანსების პროგრამა;
- ადგილობრივ თემებთან საინფორმაციო და ცნობიერების ამაღლებისაკენ მიმართული მუშაობის გაძლიერება, რაც არა მხოლოდ ქართული საუნივერსიტეტო განათლების პროპაგანდას, არამედ უნივერსიტეტდამთავრებული კადრების რეინტეგრაციის მნიშვნელობაზე გაამახვილებს ყურადღებას;

- ინტეგრაციის მნიშვნელობისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრის მნიშვნელობაზე ორიენტირებული განათლების უზრუნველყოფა სამოქალაქო საზოგადოების, კერძო და საჯარო სექტორის, აკადემიური სფეროს წარმომადგენლებისათვის თითოეულ ჯგუფზე მორგებული, მრავალფეროვანი და კარგად დაგეგმილი სტრატეგიის ფარგლებში, რომელიც ერთჯერადი კამპანიის სახეს არ ატარებს.

**9.5. რეკომენდაციები საჯარო სამსახურის გამჭვირვალობასა და
წვდომის გაზრდასთან მიმართებით:**

- ენობრივი მოთხოვნების სტანდარტის შექმნა საჯარო სამსახურში და მისი განხორციელების მონიტორინგი, რათა არ გახდეს ის გადარჩევის ინსტრუმენტი შემრჩევი კომისიის ხელში;
- უკუკავშირის მექანიზმების შექმნა საჯარო სამსახურში კადრების შერჩევასთან დაკავშირებულ ხარვეზებს, შეცდომებსა და დარღვევებზე, რაც საშუალებას მისცემს დასაქმების კანდიდატებს, გამარტივებულ რეჟიმში მოახდინონ მათ მიმართ დისკრიმინაციული პოლიტიკის შესახებ საჯარო ანგარიში;
- სტაჟის მოთხოვნის პოლიტიკის გადახედვა განსაკუთრებით საჯარო სამსახურის დაბალი რანგის თანამდებობებზე;
- საჯარო სამსახურში თანამშრომელთა შერჩევის კომისიების დაკომპლექტების წესის გადახედვა, რათა ვაკანსიებს არ მიეცეთ ფორმალური სახე;
- ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების საჯარო სამსახურის პოლიტიკის გადახედვა და რეგიონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა.

9.6. რეკომენდაციები სკოლაში დასაქმების შესაძლებლობების გაძლიერების შესახებ

- მასწავლებლის პროფესიაში შესვლის მექანიზმების შექმნა იმ კურსდამთავრებულებისთვის, რომელთაც მონაწილეობა აქვთ მიღებული სახელმწიფო პროგრამებში და გააჩნიათ სკოლებში მუშაობის გამოცდილება;
- სკოლის ვაკანსიებზე შერჩევის პროცესზე დაკვირვების და მონიტორინგის სისტემის შექმნა;
- დამხმარე მასწავლებლის სტატუსის შემუშავება და მისი პროფესიაში შესვლის სისტემური ხედვისა და მექანიზმების ჩამოყალიბება, რაც

საშეღავათო პოლიტიკის ეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში

საშუალებას მისცემს სისტემაში მყოფ ადამიანებს ბარიერებისა და სუბიექტური შერჩევის წესის გარეშე განვითარდნენ და დარჩნენ პროფესიაში;

- დამხმარე მასწავლებლების პროგრამის ფარგლებში ინტენსიური მუშაობა არაქართულენოვან სკოლებთან დამხმარე მასწავლებლების ფუნქციების და ვალდებულებების, ასევე სკოლების, ადმინისტრაციისა და პედაგოგიური კოლექტივის ფუნქციების შესახებ პროგრამის ეფექტურად წარმართვისათვის;
- დამხმარე მასწავლებლების მივლინებულ სკოლაში საქმიანობის მონიტორინგის მექანიზმების ამუშავება, რაც საშუალებას მისცემს პროგრამას, გააანალიზოს არსებული პრაქტიკები და გამოავლინოს საუკეთესო და ნაკლებად ეფექტური დამხმარე მასწავლებლები;
- დამხმარე მასწავლებლებისათვის პროცედურულად გამარტივებული მექანიზმების შეთავაზება მასწავლებლის პროფესიაში შესასვლელად აუცილებელი წესებისა და პროცედურების შესრულებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

- გორგაძე, ნ. & ტაბატაძე, შ. (2019) *1+4 პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების შესაძლებლობების კვლევა ზოგადი კონტექსტისა და კონკრეტული მაგალითის ანალიზის საფუძველზე*. სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათმორისი ურთიერთობების ცენტრი, თბილისი, საქართველო
- საქართველოს პირველი ანგარიში ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპული ჩარჩო კონვენციის 25-ე მუხლის პირველი პარაგრაფის შესაბამისად, 2007 წლის 01 აპრილი
- სახელმწიფო სამხრეთ კავკასიაში: ეროვნული უმცირესობების კვლევა საქართველოში და აზერბაიჯანში, სექტემბერი 2006 წ.
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ“ №127 ბრძანების (2005 წლის 28 მარტი);
- საქართველოს განათლების, კულტურის მეცნიერების და სპორტის მინისტრის ბრძანება 1756, 21 აგვისტო, 2019. 2019-2020 სასწავლო წელს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ უმადლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე პროგრამული დაფინანსების გაცემის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე. თბილისი, საქართველო, მოპოვებულია 2020 წლის 25 მარტს ვებგვერდიდან: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4639520?fbclid=IwAR39XbLNJit9RFwiduP4oYrWE3CKwMyZiKCW-Zgujk04e7vXGsxII11JoA8&publication=0>
- საქართველოს კანონი „უმადლესი განათლების შესახებ“ (2004), მოპოვებულია ვებგვერდიდან www.parliament.ge- მოპოვებულია 2019 წლის 29 აგვისტოს;
- სტატისტიკური ანალიზი გაკეთებულია: (ა) განათლების, კულტურის, მეცნიერებისა და სპორტის სამინისტროს განათლების საინფორმაციო სისტემების მართვის (EMIშ) და გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრის სტატისტიკური დაუმუშავებელი ბაზებიდან; (ბ) ილიას უნივერსიტეტის; (გ) თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის; (დ) სამცხე-ჯავახეთის სასწავლო უნივერსიტეტის; (ე) სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის; (ვ) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის; (ვ) თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის; (ზ) გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი; (თ) ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის; (ი) ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის ; (კ) თავდაცვის ეროვნული აკადემიის მიერ სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათმორისი ურთიერთობების ცენტრისთვის 2019-2020 წლის სექტემბერი-მარტის თვეში მოწოდებული ოფიციალურ საჯარო ინფორმაციზე დაყრდნობით.

- ტაბატაძე, შ. (2009) - მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინტიტუტის პოლიტიკის დოკუმენტი "განათლების რეფორმა და არაქართულენოვანი სკოლები
- ტაბატაძე, შ. (2018) *2015-2020 წლების შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასების დოკუმენტი ენა და განათლება*, გამოუქვეყნებელი ნაშრომი
- ტაბატაძე, შ. და გორგაძე, ნ. (2016) *ქართული ენის ერთწლიანი პროგრამის ეფექტურობის შეფასება*. სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათმორისი ურთიერთობების ცენტრი, თბილისი, საქართველო
- Tabatadze, S., and Gorgadze, N. (2013). Evaluation of the effectiveness of the quota system in Georgia. Centre for Civil Integration and Inter-Ethnic Relations. Tbilisi. Georgia.
- Tabatadze, S. and Gorgadze, N. (2017). Affirmative action policy in admissions system of higher education of post-Soviet Georgia. Journal of Applied Research in Higher Education, Vol. 9 No. 3, pp. 363-377.
<https://doi.org/10.1108/JARHE-03-2016-0020>

ცხრიღები

- ცხრიღი 1. სკოღები სიდიღისა და მოსწავღეღების რაღდენობის მიხეღვით სამიზნე რაიონებში;
- ცხრიღი 2. სომხურენოვანი სკოღებიდან კვლევაში მონაწიღეთა შერჩევა;
- ცხრიღი 3. სომხურენოვანი სკოღების შერჩევის გაღანაწიღება რაიონების მიხეღვით;
- ცხრიღი 4. აზერბაიჯანულენოვანი სკოღების მოსწავღეთა შერჩევა;
- ცხრიღი 5. აზერბაიჯანულენოვანი სკოღებიდან შერჩეული პოპულაცია მოსწავღეთა რაღდენობის პროპორციის შესაბამისად;
- ცხრიღი 6. აზერბაიჯანულენოვანი სკოღების შერჩევის გაღანაწიღება რაიონების მიხეღვით;
- ცხრიღი 7. ქართული ენის ერთწლიანი პროგრამის სტუდენტთა შერჩევა უნივერსიტეტების მიხეღვით;
- ცხრიღი 8. აზერბაიჯანულენოვან დარეგისტრირებულთა, გამოცდაზე გასულთა და სწავღის გაგრძეღების უღღების მოპოვების მაჩვენებელი 2010-2019 წღებში;
- ცხრიღი 9. სომხურენოვან დარეგისტრირებულთა, გამოცდაზე გასულთა და სწავღის გაგრძეღების უღღების მოპოვების მაჩვენებელი 2010-2019 წღებში;
- ცხრიღი 10. ჩარიცხულ აბიტურიენტთა გაღანაწიღება უმალღესი საგანმანათღებლო დაწესებუღებების მიხეღვით 2010-2019 წღებში;
- ცხრიღი 11. სომხურენოვანი სტუდენტების გაღანაწიღება უნივერსიტეტების მიხეღვით 2010-2019 წღებში;
- ცხრიღი 12. აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტების გაღანაწიღება უნივერსიტეტების მიხეღვით 2010-2019 წღებში;
- ცხრიღი 13. კურსდამთავრებულღი უნივერსიტეტებისა და პროგრამების მიხეღვით 2015-2019 წღები;
- ცხრიღი 14. 2010-2014 წღებში ჩარიცხულთა დამთავრების მაჩვენებელი;
- ცხრიღი 15. გრანტის მოსაპოვებღად საჭირო სკალირებული ქულა 2010-2019 წღებში;
- ცხრიღი 16. ზოგადი უნარების საშუალო ქულეღი 2010-2013 წღებში;
- ცხრიღი 17. ზოგადი უნარების საშუალო ქულა წღებისა და ტესტის ენის მიხეღვით
- ცხრიღი 18. სკოღის შემდგომი გეგმეღი;
- ცხრიღი 19. კვლევაში მონაწიღეთა გაღანაწიღება უნივერსიტეტების მიხეღვით;
- ცხრიღი 20. სტუდენტების მიერ პროგრამის ზოგადი ეფექტურობის შეფასება;

- ცხრილი 21. პროგრამის საგნების და საათობრივი ზადის შეფასება;
- ცხრილი 22. მასწავღებღათა მიერ გამოყენებული რესურსები;
- ცხრილი 23. მასწავღებღების მიერ გამოყენებული სტრატეგიების სიხშირე;
- ცხრილი 24. მასწავღებღების მიერ კითხვის სწავღების სტრატეგიების გამოყენების სიხშირე;
- ცხრილი 25. მასწავღებღების მიერ წერიტი უნარების განსავითარებღად გამოყენებული სტრატეგიების სიხშირე;
- ცხრილი 26. მასწავღებღების მიერ მოსმენისა და ლაპარაკის უნარების განსავითარებღად გამოყენებული სტრატეგიების სიხშირე;
- ცხრილი 27. მასწავღებღების მიერ სწავღის სწავღისთვის გამოყენებული სტრატეგიების სიხშირე;
- ცხრილი 28. ცალკეული კლასგარეშე აქტივობის გამოყენების სიხშირე;
- ცხრილი 29. მასწავღებღათა მიერ ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის ცალკეული მიღგომების გამოყენების სიხშირე;
- ცხრილი 30. სტუდენტთა მიერ პროგრამის ინფრასტრუქტურული კომპონენტების შეფასება;
- ცხრილი 31. სტუდენტთა მიერ პროგრამის შეფასება უნივერსიტეტების მიხედვით;
- ცხრილი 32. პროგრამის ცალკეული კომპონენტების შეფასება უნივერსიტეტების მიხედვით;
- ცხრილი 33. მასწავღებღების მიერ სწავღებისას სხვადასხვა რესურსის სიხშირე უნივერსიტეტების მიხედვით;
- ცხრილი 34: სწავღა-სწავღების პროცესში გამოყენებული მიღგომებისა და მეთოდების შეფასება უნივერსიტეტების მიხედვით;
- ცხრილი 35. კითხვის კომპონენტში გამოყენებული კონკრეტული სტრატეგიების შეფასება უნივერსიტეტების მიხედვით;
- ცხრილი 36. წერის კომპონენტში გამოყენებული კონკრეტული სტრატეგიების შეფასება უნივერსიტეტების მიხედვით;
- ცხრილი 37. მოსმენისა და ზეპირი მეტყვეღების კომპონენტში გამოყენებული კონკრეტული სტრატეგიების შეფასება უნივერსიტეტების მიხედვით;
- ცხრილი 38. საუნივერსიტეტო გარემოს შეფასება უნივერსიტეტების მიხედვით;
- ცხრილი 39. ენის მეტყვეღების უნარების განვითარების შეფასება სტუდენტების მიერ 2013 წელს;
- ცხრილი 40. ენის მეტყვეღების უნარების განვითარების შეფასება სტუდენტების მიერ 2020 წელს.

დიაგრამები

- დიაგრამა 1. საშუალო ქულა წლების მიხედვით
- დიაგრამა 2. მეთორმეტკლასელთა ინფორმაციის წყარო კვოტირების სისტემის შესახებ
- დიაგრამა 3. მეთორმეტკლასელთა არჩევანი უნივერსიტეტების მიხედვით
- დიაგრამა 4. საზღვარგარეთის უსდ-ში ჩაბარების მსურველთა გადანაწილება ქვეყნების მიხედვით;
- დიაგრამა 5. კვლევაში მონაწილეთა გადანაწილება რეგიონების მიხედვით
- დიაგრამა 6. კვლევაში მონაწილეთა გადანაწილება რაიონების მიხედვით
- დიაგრამა 7. სტუდენტთა შეფასება მასწავლებლების მიერ გამოყენებული სასწავლო რესურსების შესახებ
- დიაგრამა 8. მასწავლებლების მიერ მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენების შესახებ
- დიაგრამა 9. მასწავლებელთა მიერ კითხვის სწავლებისას გამოყენებული მეთოდები
- დიაგრამა 10. მასწავლებელთა მიერ წერიტი უნარების განსავითარებლად გამოყენებული მეთოდები
- დიაგრამა 11. მასწავლებელთა მიერ მოსმენისა და ლაპარაკის უნარების განსავითარებლად გამოყენებული მეთოდები;
- დიაგრამა 12. მასწავლებელთა მიერ სწავლის სწავლასთან დაკავშირებული მეთოდების შეფასება;
- დიაგრამა 13. მასწავლებელთა მიერ კლასგარეშე აქტივობების გამოყენების შესახებ;
- დიაგრამა 14. მასწავლებელთა მიერ ტექნოლოგიებისა და ონლაინ პლატფორმის გამოყენების შესახებ;
- დიაგრამა 15. პროგრამის პოზიტიური შეფასება უნივერსიტეტების მიხედვით;
- დიაგრამა 16. პროგრამის ცალკეული კომპონენტების პოზიტიურად შეფასების სიხშირე უნივერსიტეტების მიხედვით;
- დიაგრამა 17: საუნივერსიტეტო გარემოს შეფასება;
- დიაგრამა 18. ლექტორ-მასწავლებლების დამოკიდებულებების შეფასება თსუ-ს სტუდენტების მიერ 2013 და 2020 წლებში;
- დიაგრამა 19. ლექტორ-მასწავლებლების დამოკიდებულებების შეფასება სჯსუ-ს სტუდენტების მიერ 2013 და 2020 წლებში;
- დიაგრამა 20. ქართული ენის პროგრამის საგნების შეფასება 2016 და 2020 წლებში;
- დიაგრამა 21. ლექტორ-მასწავლებლების გამოყენებული სწავლების მეთოდების შეფასება 2016 და 2020 წლებში;
- დიაგრამა 22. ლექტორ-მასწავლებლების მიერ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების შეფასება 2016 და 2020 წლებში;
- დიაგრამა 23. სასწავლო პროცესში კლასგარეშე აქტივობების შეფასება 2016 და 2020 წლებში;

დიაგრამა 24. ქართული ენის პროგრამის ფარგლებში ქართველებთან ურთიერთობის შესაძლებლობა 2016 და 2020 წლებში;

დიაგრამა 25. კურსდამთავრებულთა გადაწილება დასაქმების სექტორების მიხედვით;

დიაგრამა 26. კურსდამთავრებულების დასაქმება რეგიონების მიხედვით;

დიაგრამა 27. კურსდამთავრებულების დასაქმება სპეციალიზაციის მიხედვით;

დიაგრამა 28. კურსდამთავრებულთა მიერ დასახელებული ბარიერები დასაქმებისათვის.